"კონსერვატორების" ამერიკული კავშირები A2

ჩეჩნებმა პანკისში რუსები არ შეუშვეს A2

გულახდილად B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 18 დეკემბერი, 2004 წელი. №300 (849)

ფასი 50 თეთრი

# საბიუჯეტო წარმოდგენა პარლამენტში

რომლის დროსაც, "მემარჯვენე ოპოზიცია" დარტყმას დარტყმაზე იღებს



*მემარჯვენე ოპოზიცია ცდილობს, მყუდროება დაურღვიოს ფინანსთა მინისტრს, რასაც ნოღაიდელი კონტრდარტყმებით პასუხობს.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

*2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მეორე მოსმენით განხილვა ერთი მსახიობის თეატრს ემსგავსება: პარლამენტში "გასტროლებზე" მყოფი ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი კომიტეტიდან კომიტეტში, ფრაქციიდან ფრაქციაში დარბის და, ერთი და იგივე ტექსტით, მომავალი წლის ძირითადი ეკონომიკური კანონის მთავარ მიმართულებებზე საუბრობს. შეიძლება ითქვას, რომ "წარმოდგენა" (ბიუჯეტის პროექტის), მთლიანობაში, ნორმალურად მიმდინარეობს: მართალია, "ბის!" და "ბრავო!" არ ისმის, მაგრამ "მაყურებლები" (დეპუტატები), პროტესტის ნიშნად, არც ფეხებს აბაკუნებენ.*

გიორგი ასანიშვილი

სრული ჰარმონიის დარღვევას და ფინანსთა მინისტრისთვის დისკომფორტის შექმნას მხოლოდ "მემარჯვენე ოპოზიცია" ცდილობს, მაგრამ მისი გარჯა წყლის ნაყვას ჰგავს: დავით გამყრელიძის "რაზმი" ორი დღეა, ცდილობს ნოღაიდელის "გალახვას", რაც უკუშედეგით მთავრდება - ფინანსთა მინისტრის კონტრდარტყმები გაცილებით ეფექტური და მტკივნეულია.

ორ ბანაკს შორის პირველი შეტაკება ხუთშაბათს, განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის სხდომაზე მოხდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ოქრუაშვილი ბაგაფშის წინააღმდეგ

ნინო გომართელი

*მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის სიტყვას დებს. ბაგაფში მასხრად იგდებს. ოქრუაშვილი იმუქრება. ემუქრებიან მასაც, თანაც, აღზრდას უწუნებენ. სააკაშვილი კვლავ უკომპრომისოა. მაგრამ რა, აფხაზეთს უკვე ჰყავს თავისი პატრონი და მმართველი - რუსეთი, და მისით გაგულიანებული, არჩევნებისთვის მზადებას თავიდან იწყებს.*

აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში გუშინდლიდან ძალაში შევიდა კანონი საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ, რომლის მიხედვითაც, ხელახალი არჩევნები 2005 წლის 12 იანვარს შედგება.

ამავე კანონის თანახმად, პრეზიდენტობის კანდიდატთა დასახელება გუშინვე დაიწყო და 26 დეკემბრამდე გაგრძელდება, რეგისტრაციის ვადა კი 29 დეკემბერს იწურება.

თუ არჩევნებში მხოლოდ ერთი კანდიდატი იყრის კენჭს, მას გამარჯვებისთვის ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტი დასჭირდება, სხვა შემთხვევაში კი, ხმების უმრავლესობა იქნება საჭირო.

კანდიდატი ჯერჯერობით მხოლოდ ერთია - სერგეი ბაგაფში.

გუშინ აფხაზეთის თვითალიარებული რესპუბლიკის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განმეორებით საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის შესახებ სერგეი ბაგაფშის მხარდამჭერი საინიციატივო ჯგუფის განცხადება რეგისტრაციაში გაატარა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ეკონომიკა

### ლექსო ალექსიშვილი: "დღეს ჩვენ ეკონომიკის ძლიერი სამინისტრო გვჭირდება..."



მინისტრი ალექსიშვილი ორი დღეა ეცნობა სამინისტროს სქემას, მიმდინარე საქმეებს და ადგენს უახლოესი პერიოდის აქტივობის გეგმას.

A4

## სამართალი



### ირაკლი როსტომაშვილის თანამდებობრივი მემკვიდრეობა

ირაკლი როსტომაშვილმა, მართალია, თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ეჭვმიტანილის სტატუსით, მაგრამ მაინც უპრობლემოდ დატოვა დედაქალაქის პროკურატურა.

A7

**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

A7

**გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4**

# ქვემო ქართლში დაძაბულობაა

ეს მიწა ჩვენია, - ამბობენ აზერბაიჯანელები

A3




*აზერბაიჯანული ისტორიის სახელმძღვანელოს ყდაზე განთავსებული რუკა, რომლის მიხედვითაც თბილისიც კი აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა მოქცეული.*

მაია მოსიაშვილის ფოტო

# პარლამენტის ბოლო "საშემოდგომო ამოსუნთქვა"

გიორგი ასანიშვილი

*ბიუროს გუშინდელი სხდომის შემდეგ ოფიციალურად დაიხურა პარლამენტის საშემოდგომო სესია. თუმცა, ზამთრის არდადეგებამდე ჯერ კიდევ შორია. სამშაბათს მოწვეული იქნება და დაახლოებით ორ კვირას გაგრძელდება რიგგარეშე სესია, რომელზეც ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა მისაღები. "ახალ წელს სხდომათა დარბაზში არ შევხვდეთ," - "შიშობს" პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე.*

რიგგარეშე სესიაზე ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი მოექცევა, რომლის განხილვა კომიტეტებსა და ფრაქციებში ამ დღეებში დასრულდება. ეტყობა, მოხერხდება "ფინანსური ამნისტიის" მიღებაც. ყოველ შემთხვევაში, საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ირწმუნებიან, რომ მთავრობასთან უთანხმოება დაძლეულია და მიღწეულია კონსენსუსი იმის თაობაზე, თუ ვის უნდა შეეხოს ამნისტია.

წესით, უპრობლემოდ უნდა მოხდეს ახალი საგადასახადო კოდექსისა და "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონპროექტის საბოლოო მიღებაც. თუმცა, აღნიშნული დოკუმენტების მესამე მოსმენით დამტკიცების წინ ზოგიერთი დეპუტატი უკმაყოფილებას გამოთქვამს.

მაგალითად, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის, მაია ნადირაძისა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის, კოტე გაბაშვილისთვის მიუღებელია "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონპროექტის ის მუხლი, რომელიც პროფესორის წოდების მინიჭებას ეხება.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ამინდი

| | 18/12 | 19/12 |
|---|---|---|
| თბილისი | 6 | 8 |
| ქუთაისი | 11 | 11 |
| ბათუმი | 13 | 11 |
| სოხუმი | 10 | 10 |
| ფოთი | 13 | 12 |
| თელავი | 6 | 8 |
| ზუგდიდი | 12 | 12 |
| გორი | 5 | 6 |
| ახმეტა | 6 | 8 |
| ჭიათურა | 8 | 7 |
| გაგრა | 8 | 8 |
| სამტრედია | 12 | 11 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7909 |
| ევრო | 2.3828 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4788 |
| რუბლი | 0.0642 |




A2 ამბები
A3 პოლიტიკა
A4 ეკონომიკა
A5 უცხოეთი
A6 საზოგადოება
A7 სამართალი
A8 ენერგეტიკა
B2 რევიუ
B3 რევიუ
B4 სპორტი
B5 სპორტი
B6 კვირა
B7 სხვადასხვა
B8 სხვადასხვა

## "კონსერვატორების" ამერიკული კავშირები

ზვიად ძიძიგურისა და კობა დავითაშვილის მიერ დაფუძნებულ "კონსერვატიულ პარტიაში" გაწევრიანების მსურველთა რიცხვი მატულობს. ყოველ შემთხვევაში, როგორც პარტიის ლიდერები აცხადებენ, მათ გვერდით ის ადამიანები დადგნენ, ვინც ერთი წლის წინ, **"ვარდების რევოლუციის დროს, წინა ხაზზე იბრძოდნენ და რომელთა წყალობით საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა".**

ზვიად ძიძიგურის თქმით, **"რევოლუციის ერთი წლის თავზე ამ ადამიანებმა დატოვეს "ნაციონალური მოძრაობის" რიგები და იმ ღირებულებების დამცავ ძალას შეუერთდნენ, რომლისთვისაც ისინი იბრძოდნენ".**

ამის პარალელურად, კონსერვატორების ირგვლივ საკმაოდ საინტერესო ხმები ვრცელდება. პირველ რიგში, პოლიტიკურ კულუარებში საუბრობენ, რომ საქართველოში ახალი ოპოზიციური გაერთიანების შექმნისა და გაძლიერების იდეას მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ელიტის ნაწილი. ნიშანდობლივია, რომ კონსერვატორების პარტიული წესდება, რომელიც აშკარად განსხვავდება სხვა პარტიების წესდებებისაგან და საქართველოში ახალი, დასავლური ტიპის პოლიტიკური გაერთიანების შექმნის საფუძველს იძლევა, ამერიკის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მხარდაჭერითა და მასთან აქტიური კონსულტაციების შედეგად მომზადდა.

**"ამერიკელებთან ურთიერთობა ჩვენი ინიციატივა იყო. ამბობენ, გაჭირვებამ დედოფალთან დაგვაწვინაო. ვთხოვეთ დახმარება და მათ ჩვენთან აქტიური კონსულტაციები გამართეს,"** - ამბობს ზვიად ძიძიგური. თუმცა, ამის პარალელურად, თავად კონსერვატორების რიგებიდან გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, საქმე არც ისე მარტივად არის, როგორც ეს პარტიის ლიდერებს სურთ წარმოაჩინონ. მაგალითად, ერთ-ერთი კონსერვატორის თქმით, ამერიკელები მათთან ახლაც ხშირად მართავენ კონსულტაციებს.

საინტერესო დეტალი: როგორც კი კულუარებში აქტიურად დაიწყეს საუბრები იმის თაობაზე, რომ დავითაშვილისა და ძიძიგურის პარტიას მხარს ამერიკელები უჭერენ, პატარა სკანდალი აგორდა - კონსერვატორები პლაგიატობაში დაადანაშაულეს. უფრო კონკრეტულად კი, სახელის მითვისებაში ზვიად ძიძიგური და კობა დავითაშვილი მეორე "კონსერვატიული პარტიის" წევრებმა ამხილეს. მართალია, ამ თემისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილმა პოლიტიკოსებმა გამართეს, მაგრამ "24 საათისთვის" დანამდვილებით არის ცნობილი, რომ ყოფილ თანაპარტიელებს ამ თემაზე ხმაურის ატეხვა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გრიგოლ ჯოჯუამ ურჩია.

ამ პრესკონფერენციაზე "კონსერვატიული პარტიის" წევრმა გიორგი კარტოზიამ განაცხადა, რომ მისი პარტია ჯერ კიდევ 1998 წელს დაარსდა. მანვე იმედი გამოთქვა, რომ იუსტიციის სამინისტრო კობა დავითაშვილისა და ზვიად ძიძიგურის გაერთიანებას ამ სახელწოდებით რეგისტრაციაში არ გაატარებს.

სხვათა შორის, გრიგოლ ჯოჯუა იმ ხუთეულში შედიოდა, რომელიც, პენსიების გაცემის მოთხოვნით, იუსტიციის ყოფილი მინისტრის როლანდ გილიგაშვილის მისაღებში შიმშილობდა. მასთან ერთად იყვნენ ზვიად ძიძიგური, კობა დავითაშვილი და ჯანდაცვის დღევანდელი მინისტრი ლადო ჭიპაშვილი. თანაც, შეგახსენებთ, რომ შიმშილობის დაწყების იდეა სწორედ კობა დავითაშვილს და ზვიად ძიძიგურს ეკუთვნოდა.

ახლა კი ყოფილი თანამებრძოლები სხვადასხვა მხარეს დგანან. თავად ზვიად ძიძიგური პრობლემას ვერ ხედავს იმაში, რომ პარტიის დასახელების ირგვლივ ხმაური ატყდა. მისი თქმით, **"თუ გაუგებრობა კვლავ გაგრძელდება, პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე დასახელების შეცვლაზეც იმსჯელებენ".** ამავე დროს, ზვიად ძიძიგური არაფერს ამბობს ამ დაპირისპირების რეალურ მიზეზებზე, თუმცა ირიბად მიგვანიშნებს, რომ პრობლემა მხოლოდ პარტიის სახელწოდება არ არის.

და მაინც - პარტიის ლიდერები ამ ეტაპზე ერიდებიან იმაზე საუბარს, გაგრძელდება თუ არა თანამშრომლობა ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტთან.

მმართველი პარტიის ლიდერები აშკარად გაღიზიანებულები შეხვდნენ ძიძიგურისა და დავითაშვილის გააქტიურებას. რაც შეეხება დასავლურ დახმარებას, მმართველი პარტიის წევრები ამბობენ, რომ ხმებს ამერიკელებთან თანამშრომლობის თაობაზე თავად კონსერვატორები ავრცელებენ და არავინ არის დაინტერესებული იმით, რომ საქართველოში ახალი, ოპოზიციური და სრულიად განსხვავებული ტიპის პოლიტიკური გაერთიანება ჩამოყალიბდეს.

*24 საათი*

## ათი დღის წინ დაკარგულ კახა იორდანიშვილს კვლავ უშედეგოდ ეძებენ

ათი დღის წინ, თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში მცხოვრები 21 წლის კახა იორდანიშვილი გაუჩინარდა. უგზო-უკვლოდ დაკარგულის ოჯახის წევრები და ახლობლები მას დღემდე უშედეგოდ ეძებენ.

ამ ეტაპზე მხოლოდ ცნობილია, რომ კახა იორდანიშვილი ბოლოს 9 დეკემბერს ღამის 12 საათზე მეტროს სადგურ "ვარკეთილის" მიმდებარე ტერიტორიაზე ნახეს. ამის შემდეგ ის აღარავის უნახავს.

კახა იორდანიშვილის გაუჩინარებასთან დაკავშირებით, არც მისი ოჯახის წევრებს და არც სამართალდამცველებს, ჯერჯერობით, არანაირი ვერსია არ გააჩნიათ. საქმე ისაა, რომ დაკარგულის ოჯახმა დახმარებისთვის პოლიციას დაგვიანებით, ორი დღის წინ, ანუ კახა იორდანიშვილის გაუჩინარებიდან ერთი კვირის თავზე მიმართა.

ჩვენი ინფორმაციით, გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარებული კახა იორდანიშვილი ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტია და სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" დაცვის თანამშრომლად მუშაობდა. დაკარგულის ოჯახის წევრთა განცხადებით, არასდროს ყოფილა შემთხვევა, ის სახლიდან გაუფრთხილებლად დიდი ხნით წასულიყო. **"სადაც შეიძლებოდა, ყველგან მოვიკითხეთ, თუმცა მის კვალს მაინც ვერ მივაგენით,"** - ამბობენ დაკარგულის ოჯახში.

კახა იორდანიშვილის გაუჩინარების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრულია, თუმცა, როგორც უკვე გითხარით, მომხდართან დაკავშირებით, სამართალდამცველებს, ჯერჯერობით, რაიმე კონკრეტული ვერსია არ გააჩნიათ.

**"მუშაობა ყველა მიმართულებით მიმდინარეობს, საქმეს ისიც ართულებს, რომ, სამწუხაროდ, დაკარგულის ოჯახმა მომხდარიდან კარგა ხნის შემდეგ მოგვმართა. გამოკვეთილ ვერსიაზე საუბარი ამ ეტაპზე წარმოუდგენელია. უამრავი დეტალია გასარკვევი, კახა იორდანიშვილის ოჯახის წევრების გარდა, დასაკითხია მისი ყველა ნაცნობი და ახლობელი. ასე რომ, წინასწარ არაფრის თქმა არ შეიძლება,"** - განაცხადეს "24 საათთან" საუბრისას ისანი-სამგორის რაიონის სამართალდამცველებმა.

*24 საათი*

## "არქმშენინსპექცია" მშენებლებს კატეგორიულად აფრთხილებს

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ზამთრის დადგომასთან დაკავშირებით, როცა ყინვა ხუთ გრადუსზე მეტია, იკრძალება სპეციალური დამცავი საშუალებების გარეშე ბეტონის და რკინაბეტონის სამუშაოების ჩატარება. "არქმშენინსპექცია" კატეგორიულად აფრთხილებს სამშენებლო სფეროში დასაქმებულ ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს, რომ დაიცვან მშენებლობის უსაფრთხოების წესები და არ განახორციელონ აღნიშნული ხასიათის სამუშაოები, რადგან ამან, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას მშენებარე ობიექტების მდგრადობას და გამოიწვიოს კონსტრუქციების და შენობა-ნაგებობების ნაწილების ნგრევა.

*24 საათი*

# პარლამენტის ბოლო "საშემოდგომო ამოსუნთქვა"



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ბიუროს წევრებმა პარლამენტის თავმჯდომარისგან გაფრთხილება მიიღეს პრესაში გამოთქმული შენიშვნების გამო.*

პირველი გვერდიდან

როდესაც კანონპროექტს მეორე მოსმენით ეყარა კენჭი, მაია ნადირაძე და კოტე გაბაშვილი, შესაბამისად, ახალ ზელანდიასა და აზერბაიჯანში იმყოფებოდნენ, ამიტომ დღეს უკვე პოსტფაქტუმ უხდებათ რეაგირება და ამდენად, მათი შენიშვნების გათვალისწინება, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

კრიტიკოსები საგადასახადო კოდექსსაც ჰყავს. **"უარეს კოდექსს ვღებულობთ, ვიდრე ახლა გვაქვს,"** - ირწმუნება მემარჯვენე ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ტყემალაძე, რომელსაც თავადაც მოეხსენება, რომ მუშტების ქნევას უკვე აზრი აღარ აქვს.

სამაგიეროდ, ჯერ კიდევ შეიძლება დავა "მაუწყებლობის შესახებ" კანონპროექტის ირგვლივ. როგორც ცნობილია, საპარლამენტო უმრავლესობა ითხოვს, რომ საზოგადოებრივი ტელევიზიის დაფინანსება მოხდეს საშემოსავლო გადასახადების 1,5 პროცენტის ოდენობით (ცენტრალური ბიუჯეტიდან), რაც მთავრობას მიუღებლად მიაჩნია. პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია მიზანშეწონილად თვლის, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლობის დაფინანსება შიდა ეროვნულ პროდუქტს მიებას, რასაც, თავის მხრივ, დეპუტატები არ ეთანხმებიან.

**"ეს არის შემოსავლის არაპრონოგზირებადი წყარო და მასზე ტელევიზიის დაფინანსების მიბმა დაუშვებელია,"** - ხაზგასმით ითქვა ბიუროს გუშინდელ სხდომაზეც.

რიგგარეშე სესიაზე პარლამენტი, აგრეთვე, იმსჯელებს პრეზიდენტის ორ საკანონმდებლო ინიციატივაზე, რომლებიც საკონსტიტუციო ცვლილებებს გულისხმობს. პირველი მათგანი შეეხება შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების გაერთიანებას, რის მართებულობაშიც ბიუროს წევრებს ეჭვი არ ეპარებათ. მიხეილ სააკაშვილის მეორე ინიციატივა კი პარლამენტართა რაოდენობის 150-მდე შემცირებას ითვალისწინებს.

**"შესაძლოა, ამდენი დეპუტატიც არ იყოს საჭირო. ჩვენნაირ ქვეყნებს, როგორც წესი, 80-90 პარლამენტარი ჰყავთ,"** - პრეზიდენტის ინიციატივას პარლამენტის თავმჯდომარე მთლიანად იზიარებს. ნინო ბურჯანაძის განმარტებით, კონსტიტუციაში ჩაიწერება, რომ 2008 წლიდან საქართველოს პარლამენტში არაუმეტეს 150 დეპუტატი იქნება, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრთა ზუსტი რიცხვი კი მას შემდეგ დადგინდება, როდესაც საბოლოოდ გაირკვევა ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის საკითხი და მიღებული იქნება ახალი საარჩევნო კანონი...

საშემოდგომო სესიის მიწურულს პარლამენტის თავმჯდომარე უკვე იჭერს საიმისო თადარიგს, რომ საკანონმდებლო ორგანოს პრესტიჟი არ შეილახოს და მან მომავალში უფრო ნაყოფიერად იმუშაოს. ბურჯანაძის თქმით, პარლამენტის მიმართ პრესაში გამოქვეყნებულ კრიტიკულ მასალებს იგი რეაგირების გარეშე არ დატოვებს და არ დაუშვებს, რომ ცალკეული უდისციპლინო დეპუტატების გამო კანონმდებელთა მთელ კორპუსს ადგებოდეს ჩრდილი.

**"როდესაც დეპუტატი ოთხი თვის განმავლობაში სხდომებზე არ დადის, ის პარლამენტის წევრობის ღირსი არ არის. უნდა დადგეს საკითხი, რომ ასეთებს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდეთ,"** - მოითხოვს პარლამენტის სპიკერი.

უდისციპლინო დეპუტატის "ნიმუშად" კი ბიუროს სხდომაზე, რატომღაც, კობა დავითაშვილი დასახელდა. ვანო ჩხარტიშვილის თქმით, ანაბრების გაუფასურების საკითხების შესწავლელი კომისიის ზოგიერთი წევრი (მათ შორის, კობა დავითაშვილი) კომისიის სხდომებს არ ესწრება. ამის გათვალისწინებით, ფრაქცია "დამოუკიდებელი მაჟორიტარების" თავმჯდომარე ითხოვს, რომ ასეთი პარლამენტარები დასახელებული კომისიიდან გაიყვანონ და ისინი სხვა პარლამენტარებით ჩანაცვლდნენ.

ჩხარტიშვილის ეს მოთხოვნა, რბილად რომ ითქვას, ცოტა უცნაურია, რადგან ანაბრების საკითხის შემსწავლელი კომისია გუშინ პირველად შეიკრიბა, კობა დავითაშვილი კი მას მხოლოდ იმიტომ ვერ დაესწრო, რომ უკრაინაში ვიქტორ იუშენკოსთან შესახვედრად არის წასული.

# ოქრუაშვილი ბაგაფშის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატის ვინაობა მხოლოდ პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციაში გატარების შემდეგ ცხადდება. წინასაარჩევნო დაპირება სერგეი ბაგაფშმა უკვე გააჟღერა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ აფხაზეთი ერთიანი საქართველოს იურისდიქციას კიდევ 100 წელი არ დაუბრუნდება. მისი თქმით, გაპრეზიდენტების შემთხვევაში, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლების პრიორიტეტი რუსეთთან დაახლოება იქნება.

ამის საპასუხოდ ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა, ახლა კი თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა ირაკლი ოქრუაშვილმა სერგეი ბაგაფშს არჩევანი შესთავაზა: **"მას ან მშობლიურ რუსეთში წასვლა მოუწევს, ან იმქვეყნად."**

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით კი, ირაკლი ოქრუაშვილი თავდაცვის მინისტრის პოსტზე მანამ დარჩება, სანამ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგება.

**"საქართველო ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად სამხედრო ძალას არ გამოიყენებს, ეს პოლიტიკური საკითხია,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებთან გამართულ შეხვედრაზე და იქვე დასძინა, რომ საქართველო ქმნის ჯარს იმისათვის, რათა **"ძალებმა, რომლებმაც აფხაზეთში კონფლიქტის პროვოცირება მოახდინეს, კარგად იცოდნენ, რომ ქვეყნის მიმართ მორიგი აგრესიის შემთხვევაში მას თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი და ნატო-ს სტანდარტებით გაწვრთნილი თანამედროვე, ბრძოლისუნარიანი ქართული ჯარი დახვდება."**

მანვე დაადასტურა თბილისის სურვილი აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან დიალოგისა და განაცხადა, რომ უახლოეს რამდენიმე კვირაში ქართული მხარე სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან დაკავშირებით სერიოზული მშვიდობიანი ინიციატივით გამოვა.

**"არავის ვურჩევ ჩვენს ტერიტორიაზე ხელების ფათურს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ მათ ხელებს დავუმოკლებთ,"** - იმუქრება პრეზიდენტი.

თავად ახალი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი კი აფხაზეთის პრობლემის გადაჭრას ხუთ წელიწადში აპირებს.

**"მუდმივად თავდაცვის მინისტრად ყოფნას მე არ ვაპირებ. მაქსიმალური ვადა, რაც მე ამ პოსტზე ვიქნები, ხუთი წელია,"** - თქვა მან და ამით რუსეთის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ყურადღება აშკარად მიიპყრო.

არავის, განსაკუთრებით კრემლს, არ დავიწყებია მიმდინარე წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთში არსებულ საომარ პროცესებში ირაკლი ოქრუაშვილის ჩარევა და, შეიძლება ითქვას, ვითარების კონტროლქვეშ აყვანა. ამიტომაც, თავდაცვის მინისტრის პოსტზე მისი დანიშვნა ყველამ და, პირველ რიგში, რუსულმა მედიამ თვითგამოცხადებული რესპუბლიკების ძალისმიერი მეთოდებით დაბრუნების მცდელობის წინაპირობად აღიქვა.

გუშინ კი ერთ-ერთი რუსული ბეჭდვითი მედიის წარმომადგენელი ირწმუნებოდა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ახალი სამხედრო შენაერთის ჩამოყალიბებას აპირებს, რომელშიც საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქისტები და ჩეჩენი ბოევიკები გაერთიანდებიან.

გაზეთის ცნობით, პანკისის ხეობაში მყოფ ჩეჩენ ბოევიკებს უკვე დაურიგდათ საქართველოს პასპორტები და ისინი სპეცსამსახურების მფარველობის ქვეშ იმყოფებიან.

**"ეს სამხედრო შენაერთი გამოყენებული იქნება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სამხედრო აქციებში, აგრეთვე, რუსეთის მოქალაქეების საწინააღმდეგო დივერსიულ აქტებში,"** - წერს გამოცემა, რომელიც იუწყება, რომ ირაკლი ოქრუაშვილს ამ მიზნით მუდმივი კონტაქტი აქვს საქართველოში ასლან მასხადოვის ემისართან ხიზრი ალდამოვთან, ანუ **"ექსტრემისტული და ტერორისტული სტრუქტურების მეკავშირესთან."**

საქართველოს თავდაცვის მინისტრს თუ დავუჯერებთ, ყველაფერი 5 წელიწადში გაირკვევა. მანამდე კი რუსეთს უნდა მივხედოთ.

## ჩეჩნებმა პანკისში რუსები არ შეუშვეს

ზვიად რუაძე
კახეთიდან

*დიდი მცდელობის მიუხედავად, რუსეთის ხელისუფლება პანკისში მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილების გადაბირებას ამაოდ ცდილობს. ხუთთვიანი ინტერვალის შემდეგ, გუშინ ხეობას რუსეთის საგანგებო სიტუაციების და შინაგან საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლები კიდევ ერთხელ ესტუმრნენ, რომელთაც თან ახლდნენ ჩეჩნეთის რესპუბლიკის წარმომადგენლებიც, მაგრამ პანკისში მცხოვრებმა ჩეჩნებმა მათთან შეხვედრა არ ისურვეს და ისინი ხეობაში არ შეუშვეს. ჩეჩნების ასეთი განწყობის შემდეგ, რუსმა "მშვიდობისმყოფელებმა" მოლაპარაკების მიზნით ხეობაში ჩეჩნეთის რესპუბლიკის წარმომადგენლები დატოვეს.*

რუსებისადმი სიძულვილმა პანკისის ხეობაში მცხოვრებ ჩეჩენ ლტოლვილებში უფრო მოიმატა.

**"აქ სამტროდ არა ვართ ჩამოსულები. ჩვენ პანკისში მცხოვრებ ჩეჩენ ლტოლვილებს დახმარებას ვთავაზობთ. გარწმუნებთ, რომ ჩეჩნეთში არ არის მართლაც ისეთი სიტუაცია, როგორიც ბევრს ჰგონია. ჩვენ პასპორტიზაციის და ცხოვრების პირობების მოწესრიგებას ვთავაზობთ აქ მცხოვრებ ლტოლვილებს,"** - ირწმუნება რუსეთის უშიშროების სამსახურის წარმომადგენელი ალექსანდრ რასტოვცევი. ამ განცხადებას ჩეჩნეთის რესპუბლიკის წარმომადგენელი ელდალბერგ ქუზაევიც ეთანხმება, რომელიც რუსებს, ხეობაში მცხოვრებ ჩეჩენ ლტოლვილებთან მოლაპარაკების მიზნით, უკვე მეორედ ჩამოჰყვა.

**"მე აქ პირველად არ ვიმყოფები. შარშან, პანკისში ყოფნის დროს, სამშობლოში დასაბრუნების სურვილი შვიდმა ლტოლვილმა გამოთქვა. ბოლოს კი თავიანთ ქვეყანას თვრამეტი ოჯახი დაუბრუნდა. იქ საშიში არაფერია. აქ, ხეობაში მცხოვრებ ჩეჩნებს იმ ხალხთან სატელეფონო ურთიერთობა აქვთ, კითხეთ, როგორი ვითარებაა ჩეჩნეთის რესპუბლიკაში,"** - ამბობს ჩეჩნეთის რესპუბლიკის, იტუმკალეს დასახლების ხელმძღვანელი ელდაბერგ ქუზაევი და ხეობაში მყოფ ჩეჩენ ლტოლვილებს სამშობლოში დაბრუნებას ურჩევს.

პანკისში მცხოვრები ლტოლვილები კი სხვაგვარად ფიქრობენ. მათ მიაჩნიათ, რომ რუსებს მათი მოტყუება სურთ, რადგან, როგორც ისინი ამბობენ, ხეობაში მცხოვრები ჩეჩნები სამშობლოს ერთგულნი არიან. მათ, ვინც რუსების გვერდით დგანან, პანკისელი ჩეჩნები სამშობლოს მოღალატეებს უწოდებენ.

**"რაც ხდება, ყველაფერი ფარსია. ის ხალხი კი, რომლებიც რუს "მშვიდობისმყოფელებს" შეხვდნენ, ჩვენი ქვეყნის მოღალატეები არიან. ჩვენ გვირჩევნია აქ გაუსაძლის პირობებში ვიცხოვროთ, ვიდრე სამშობლოში დავბრუნდეთ, რადგან რუსებს მხოლოდ ჩვენი ერის ამოწყვეტა სურთ,"** - ამბობს პანიკისის ხეობაში მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილი რუდიმ ახმადოვი.

რუსებმა ხეობაში ჩეჩნეთის რესპუბლიკის წარმომადგენლები დატოვეს. მათ პანკისში მცხოვრებ ლტოლვილებთან მოლაპარაკებები უნდა აწარმოონ. პანკისელი ჩეჩნები კი მიიჩნევენ, რომ ასეთი გადაწყვეტილებები შედეგს არასდროს მოიტანს. **"ეს არის დროის ტყუილად დაკარგვა. ჩვენ სამშობლოში მანამდე არ დავბრუნდებით, სანამ იქ ნამდვილი მშვიდობა არ იქნება,"** - ასეთია ლტოვილთა უმრავლესობის გადაწყვეტილება და რუსეთის ხელისუფლებისადმი პასუხი იმ იდეაზე, რომლის განხორციელებას პუტინის ხელისუფლება უკვე წლებია, ცდილობს.

### მოკლედ

## სააკაშვილმა ღამით აეროპორტში მოულოდნელი რეიდი განახორციელა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ თბილისის აეროპორტში მოულოდნელი რეიდი განახორციელა. აეროპორტის პერსონალისა და მესაზღვრეების მუშაობის შემოწმების შემდეგ, მან არსებული მდგომარეობით კმაყოფილება გამოთქვა და განაცხადა, რომ 2005 წლის გაზაფხულისთვის აეროპორტი უკეთესად იქნება მოწყობილი და მისი მუშაობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

- არავის ეგონოს, ღამით ცუდად მძინავს და მსგავს რეიდებს იმიტომ ვახორციელებ, - თქვა ჟურნალისტებთან საუბარში სააკაშვილმა. პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ მინისტრები მას მიბაძავენ და საკუთარი უწყებები ყოველთვის კონტროლის ქვეშ ეყოლებათ. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ქვემო ქართლში დაძაბულობაა

## ეს მიწა ჩვენია, - ამბობენ აზერბაიჯანელები

მაია მოსიაშვილი

ყულარის ინციდენტმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი არცთუ სასიამოვნო რეალობას - ქვემო ქართლის აზერბაიჯანული მოსახლეობისთვის საქართველოს ხელისუფლება უცხოა და ამ უკანასკნელს მათთან დასალაპარაკებლად აზერბაიჯანის დახმარება სჭირდება.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახალხო დამცველი ელმირა სულეიმანოვა საქართველოში სპეციალურად სოფელ ყულარში მომხდარი ინციდენტის შესასწავლად და ომბუდსმენის ერთობლივი, ქართულ-აზერბაიჯანული ოფისის მარნეულში დასაფუძნებლად ჩამოვიდა.

ელმირა ხათუნი, ხალხის თხოვნით, ყულარში ჩავიდა, გარდაცვლილი ქალის ოჯახს მიუსამძირა, იქვე შეკრებილ ორასამდე ადამიანს მოუსმინა და პრესისთვის ასეთი განცხადება გააკეთა:

**"მათ უნდათ მიიღონ მიწა, როგორც საქართველოს მოქალაქეებმა. მოხარული ვარ, რომ საქართველოს და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა მოლაპარაკება გამართეს ამ საკითხთან დაკავშირებით და პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ ამ ხალხს მიწის პრობლემას მოუგვარებს. მათი მეორე მოთხოვნაა დაჭერილ იქნენ 76 წლის ქალის მკვლელები და იმედი მაქვს, რომ ისინი სათანადოდ დაისჯებიან. მე და სოზარ სუბარმა უკვე გავაფორმეთ ხელშეკრულება, რომლის მიხედვით უფრო სრულად იქნება დაცული საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი ეროვნების ადამიანების უფლებები და იგივეს გავაკეთებთ ჩვენც აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველებისათვის,"** - განაცხადა აზერბაიჯანელმა ომბუდსმენმა.

საქართველოში აზერბაიჯანის ელჩის რამიზ გასანოვის ინიციატივით, ფონდ "ღია საზოგადოება საქართველოს" ხელმძღვანელი დათო დარჩიაშვილი მარნეულში ჩავიდა.

**"სოროსის ფონდმა მომავალი წლის პროგრამების პრეზენტაცია მოაწყო, რათა ქვემო ქართლი აქტიურად ჩაერთოს ამ ფონდის პროგრამებში და მომავალ წელს უკვე შეძლონ გრანტების მიღება,"** - განაცხადა ელჩმა.

რამიზ გასანოვი ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულს ზურაბ მელიქიშვილსაც შეხვდა. ელჩის თქმით, მათ აზერბაიჯანელი ბიზნესმენების მხრიდან ქვემო ქართლში ინვესტიციების ჩადების საკითხი განიხილეს. აზერბაიჯენელ ბიზნესმენებს მარნეულში სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი ქარხნების აშენება სურთ, აზერბაიჯანის ხელისუფლება კი საკუთარი ხარჯებით იქ გრანდიოზული სპორტკომპლექსის აშენებას გეგმავს, რომელსაც, სავარაუდოდ, პრეზიდენტ ალიევის სახელი დაერქმევა.



მაია მოსიაშვილის ფოტო

*აზერბაიჯანის და საქართველოს ომბუდსმენები ყულარში.*

### რა უნდათ ყულარელებს

მათ მხოლოდ მიწა უნდათ. ამ მიწისთვის ისინი 1996 წლიდან იბრძვიან. სოფლის უხუცესები ჰყვებიან, რომ ჯერ კიდევ მამალაძის დროს მოინდომეს მათ ეს მიწა, მაგრამ - ამაოდ. კითხვაზე - მაშინ რატომ არ აწყობდით გამოსვლებს და აქციებსო, - გლეხები ალალად პასუხობენ: მამალაძე გვაშინებდა... ნილბიანები, "კაგებე" ჩამოიყვანა აქ და სახლებიდან გამოსვლასაც კი ვერ ვბედავდითო...

ისინი იმასაც ამტკიცებენ, რომ მიწა საერთოდ არ აქვთ, რომ ქალები ტყეში კეკნკრას კრეფენ, ჰყიდიან და თავს იმით ირჩენენ...

ყულარის ცხენსაშენის გარშემო ატეხილმა აურზაურმა პიკს მაშინ მიაღწია, როცა იქ მიწისთვის გამართულ მორიგ შეტაკებას მოხუცი ქალი ემსხვერპლა. ის ცეცხლსასროლი იარაღიდან სასიკვდილოდ დაჭრეს. ქვემო ქართლის პროკურორი შოთა რეხვიაშვილი აცხადებს, რომ ძიება კიდევ მიმდინარეობს, თუმცა უკვე დადგენილია მკვლელობაში ეჭვმიტანილის ვინაობა და ის დაუსწრებლად პასუხისგებაშიცაა მიცემული. პროკურორი ამ ადამიანის გვარის აფიშირებას თავს არიდებს. ასევე არ ასახელებს რა სახის, რამდენი ერთეული ან ვისი კუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღიდან ისროდნენ ინციდენტის დროს.

სამაგიეროდ მკვლელების გვარებს ასახელებენ ყულარელები და მათ დაპატიმრებას ითხოვენ, თუმცა მათი მთავარი მოთხოვნა სულ სხვაა.

**"უდანაშაულო ქალი მოკლეს იმის გულისთვის, რომ მიწა უნდოდა. ჩვენ სააკაშვილს ვთხოვთ, რომ 57 ლარად მოგვცეს მიწა იჯარით, ფული ბიუჯეტში შევა და ჩვენც წყნარად ვიქნებით..."**

**"ჩვენ არ გვინდა თანამდებობები და სამსახურები. მიწა და ნიჩაბი გვინდა, მეტი არაფერი..."**

**"ჩემი პაპა და იმისი მამა აქ ცხოვრობდნენ. ეს ჩვენი მიწაა და რატომ არ გვაძლევენ. 70 ცხენს პატივს სცემენ და ჩვენ არაფრად გვაგდებენ..."**

ასეთ ფრაზებს ხშირად გაიგებთ ყულარში.

### "გეირათი" გააქტიურდა

ბოლო მოვლენებმა ქვემო ქართლში საქართველოს ხელისუფლების პოზიციები კიდევ უფრო შეასუსტა, სამაგიეროდ გააქტიურდნენ მისდამი მტრულად განწყობილი ძალები. მარნეულში შექმნილ კრიზისულ მდგომარეობას საკუთარი პოზიციების გასამყარებლად აქტიურად იყენებს ორგანიზაცია "გეირათი", რომლის ლიდერები ყოველთვის ანტიქართული გამოსვლებით გამოირჩეოდნენ.

**"წინააღმდეგობა გაგრძელდება მანამ, სანამ მიწის საკითხი არ გადაწყდება ქვემო ქართლში - ეს ფაქტია. აქ ნაციონალური უმცირესობა ყოველთვის მოტყუებული იყო. ახლაც არავინ მოგვცემს მიწას და გვატყუებენ. მე ხმამაღლა ვაცხადებ, ეს არის პრობლემების კონფლიქტი. კონტრაბანდაო, ამბობენ. საქართველოში მცხოვრები არც ერთი აზერბაიჯანელი კონტრაბანდით არ არის დაკავებული,"** - ასეთ კომენტარს აკეთებს "გეირათის" ლიდერი ალიბალა ასკეროვი. ის ქართულ "ფაშიზმზე" აქტიურად წერს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში გამომავალ გაზეთებში.

"გეირათელებს" საკმაოდ დიდი გავლენა აქვთ ქვემო ქართლის აზერბაიჯანულ მოსახლეობაზე. ისინი აქტიურად მუშაობენ ვახტანგისშიც და ხალხს არწმუნებენ, რომ საქართველოს ხელისუფლება მათ უკანონოდ ჩაგრავს.

### "ეს ჩვენი მიწაა..."

- ეს ჩვენი მიწაა, - ამბობენ ყულარელები.

- ჩვენ საქართველოს ხელისუფლებას არ ვენდობით, - ამასაც ისინი ამბობენ.

რამდენად საგანგაშოა ამგვარი განცხადებები საქართველოსთვის? - დღეს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია, თუმცა არსებობს ერთი ფაქტი, რომელიც თავის დროზე საქართველოს ხელისუფლებამ არ გაახმაურა და რომელიც ამ კითხვას აქტუალურს ხდის.

სექტემბერში, სასწავლო წლის დაწყების წინ, ქვემო ქართლში აზერბაიჯანის განათლების მინისტრი ჩამობრძანდა. მან იქაურ მოსწავლეებს წიგნები ჩამოუტანა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ერთ-ერთი წიგნი ქართულმა მხარემ დაიწუნა და სტუმარს უკანვე გაატანა. უფრო დეტალურად ამაზე საუბარს ყველა ოფიციალური პირი თავს არიდებდა.

"24 საათმა" ეს სკანდალური წიგნი მოიპოვა და ისიც გაიგო, რატომ დაიწუნეს იგი. მე-7 კლასელთათვის განკუთვნილ "შუა საუკუნეების ისტორიის" სახელმძღვანელოს ყდაზე დაბეჭდილია რუკა, სადაც აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოქცეულია ახლანდელი ქვემო ქართლის ტერიტორია და თავად თბილისიც კი.

ისტორიული რუკების გაყალბება ფართოდ გავცელებული საქმიანობაა და ხშირად ამაზე ყურადღების გამახვილებაც არ ღირს, თუმცა ის ფაქტი, რომ სახელმძღვანელო, რომლის ყდაზეც ასეთი რამ ხატია, აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერაა დამტკიცებული და დაბეჭდილი, საკმაოდ ყურადსაღები და შემაშფოთებელია.

უცნობია, მსგავსი სახემძღვანელო პირველად მოხვდა საქართველოს აზერბაიჯანულ სკოლებში თუ მეათედ. ასევე არავინ იცის, როგორ მოიქცევიან ამ ინფორმაციაზე თუ მსგავს იდეოლოგიაზე გაზრდილი საქართველოს აზერბაიჯანელი ეროვნების მოქალაქეები მომავალში.

# საბიუჯეტო წარმოდგენა პარლამენტში

პირველი გვერდიდან

"მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელმა მანანა ნაჭყებიამ წინასწარვე გააფრთხილა ფინანსთა მინისტრი, რომ მკვეთრ განცხადებებს გააკეთებდა. ნოღაიდელმა გამოწვევა მიიღო და თავის მხრივ, ოპონენტს აღუთქვა, რომ საკადრის პასუხს მიიღებდა. მთავრობის წევრისა და ოპოზიციონერი დეპუტატის პოლემიკა მართლაც საინტერესო გამოდგა.

მანანა ნაჭყებიას პრეტენზია, ძირითადად, იმით გამოიხატა, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფინანსური დამოუკიდებლობა საფრთხის ქვეშ დგება, რადგან 2005 წლიდან მისი დაფინასება განათლების სამინისტროს ჭერქვეშ მოხდება.

ფინანსთა მინისტრი "მემარჯვენეების" მოსაზრებას არ ეთანხმება და მათ წარმომადგენელს პასუხობს: **"ცდილობთ, წარმოაჩინოთ, თითქოს მეცნიერებასა და კულტურაზე შეგტკივათ გული, რაც სანამდვილეს არ შეესაბამება. თქვენ გინდათ, რომ ქვეყნის საქმეები უკან მიდიოდეს, მაგრამ, თქვენდა სამწუხაროდ, პირიქით ხდება, - საქმე კარგად მიდის. მინდა გაგაფრთხილოთ, რომ თქვენი ქმედებები განწირულია და ვერაფერს მიაღწევთ".**

მანანა ნაჭყებიას მორიგ ბრალდებას უკვე განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილი პასუხობს. იგი "დემაგოგიას" უწოდებს ოპოზიციის მოთხოვნას, რომ ცნობილ პროფესორებს მინისტრებზე ნაკლები ხელფასი არ უნდა ჰქონდეთ.

**"ამ პროფესორების ხელფასი ჯერ თქვენ 1500 ლარიან ანაზღაურებას შეადარეთ და სხვისკენ მერე გაიშვირეთ ხელი,"** - "ურჩევს" გრიგალაშვილი ნაჭყებიას. ამასთან, იგი მოუწოდებს კოლეგას, კომიტეტის სხდომებზე მიტინგური განწყობა ნუ შემოაქვს.

**"მე თვითონ მიტინგებზე ვარ გაზრდილი და არა კომკავშირში,"** - გრიგალაშვილის ამ რეპლიკის ადრესატის დადგენა სულაც არ არის ძნელი: თავის დროზე, მანანა ნაჭყებია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი და პარტიული მუშაკი იყო...

"მემარჯვენეებისა" და ნოღაიდელის ბრძოლის მორიგი რაუნდი ხუთშაბათსვე შედგა აგრარულ საკითხთა და რეგიონული პოლიტიკის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე. დაპირისპირების საგანი იგივე იყო - 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, ოღონდ, ფინანსთა მინისტრს ოპონირებას ამჯერად მამუკა კაციტაძე უწევდა. უნდა ითქვას, რომ ეს რაუნდი, წინასთან შედარებით, გაცილებით კორექტულად წარიმართა.

"მემარჯვენეებისა" და ფინანსთა მინისტრის პოლემიკა გუშინაც გაგრძელდა, როდესაც ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე დავით საგანელიძემ გადაწყვიტა, ნოღაიდელისთვის "პასუხის პასუხით" მიემართა.

**"თუ თავს უფლებას აძლევთ, რომ პოლიტიკური განცხადებები აკეთოთ, მაშინ პარლამენტში გადმოდით,"** - მინისტრთა კაბინეტის დატოვებას "ურჩევს" საგანელიძე ნოღაიდელს და მას კიდევ უფრო აღიზიანებს - შეახსენებს, რომ, როდესაც საგადასახადო კოდექსის განხილვის დროს "მემარჯვენეებმა" პრესისთვის შეღავათების დაწესება მოითხოვეს, მინისტრმა ამას "დემაგოგია" უწოდა, ხოლო როდესაც იგივეს გაკეთება პრეზიდენტმა სააკაშვილმა დაავალა, ეს "გენიალურ გადაწყვეტილებად" მოინათლა.

თავის მხრივ, ზურაბ ნოღაიდელი განმარტავს, რომ როდესაც პრესის შეღავათების თაობაზე "ახლებმა" ხმაური ატეხეს, დაბეგვრის შემსუბუქების თაობაზე გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო და ოპოზიციის მოქმედებაც მან "დემაგოგიად" ამიტომ შეაფასა.

**"გგონია, რომ გენიალური კითხვა დამისვი?"** - საგანელიძეს მორალური "ტერაქტი" მოუწყო ნოღაიდელმა.

**"შენ კი გგონია, რომ გენიალურად მიპასუხე?"** - მთავრობის წევრის ვალში არ დარჩა ოპოზიციონერი დეპუტატი.

ფინანსთა მინისტრთან დავაში "მემარჯვენეებს" გუშინ მოულოდნელი მოკავშირე გამოუჩნდათ. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ გიგი წერეთელმა სთხოვა ნოღაიდელს, 2005 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნეს გარკვეული შეღავათები იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც ყბადაღებული "ოპტიმიზაციის" მსხვერპლნი გახდნენ და სამსახური დაკარგეს.

**"მაშინ მითხარით, ვინ აიღებს პასუხისმგებლობას იმაზე, რომ მთავრობის მიერ შემუშავებული კურსი საფრთხის ქვეშ არ დადგება?"** - ზურგიდან ჩარტყმულმა დანამ ნოღაიდელი ძალიან გაამწარა. თუმცა, არც გიგი წერეთელმა დათმო და ბოლომდე "მიაწვა", რომ სამსახურიდან დათხოვნილებისთვის მინიმალური სოციალური გარანტიები აუცილებლად უნდა არსებობდესო.

თანაგუნდელის სიჯიუტემ ზურაბ ნოღაიდელი გააცეცხლა. **"თქვენ გინდათ, არც მწვადი დაწვათ, არც შამფური,"** - საკმაოდ მძიმე ბრალდება (ოპოზიციასთან კეკლუცობა) წაუყენა მინისტრმა კომიტეტის თავმჯდომარეს და თან "დაემუქრა", თქვენს პოზიციაზე ფრაქციის სხდომაზე ვიმსჯელებთო...

ბოლოს, იმის თქმაც შეიძლება, რომ მოახლოვდა "მემარჯვენეებისა" და ფინანსთა მინისტრის ერთი-ერთზე შებმის დრო: დღეს "მემარჯვენე ოპოზიცია" 2005 წლის ბიუჯეტის პროექტს ფრაქციის სხდომაზე იხილავს...

უცხოეთი

# თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებაზე მოლაპარაკებები მომავალ წელს დაიწყება

ევროკავშირის ლიდერებმა და თურქეთის ხელმძღვანელობამ კომპრომისს მიაღწიეს. გუშინ ბრიუსელში მღელვარებით ელოდნენ თურქეთის პასუხს ევროკავშირის მიერ წაყენებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით.

გუშინ დილით გაკეთებული განცხადებით, თურქეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დაწყების ვადად მომავალი წლის 3 ოქტომბერი დასახელდა. თუმცა, ამ პროცესის დაწყება დამოკიდებულია ერთ ფრიად მნიშვნელოვან დეტალზე - თურქეთი უნდა დათანხმებულიყო კვიპროსის ოფიციალურ ცნობაზე. შეგახსენებთ, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წლის მაისში კვიპროსი იმ ათი ქვეყნის რიგებში იყო, რომელთაც ევროკავშირის წევრთა რიცხვი 25-მდე გაზარდეს, თურქეთი კატეგორიულ უარს აცხადებდა მის აღიარებაზე. ამის ნაცვლად, ანკარა მხოლოდ კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკას აღიარებს და აცხადებს, რომ კვიპროსის რესპუბლიკის ცნობას მხოლოდ ამ კუნძულის ორად გამყოფი 30 წლიანი კონფლიქტის მოგვარების შემდეგ აპირებს.

ამავდროულად, ევროპის კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ, ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრმა იან პეტერ ბალკენენდემ არ გამორიცხა, რომ თურქეთთან მოლაპარაკების პროცესი შესაძლოა, შეწყდეს თუ ანკარა ბრიუსელის მიერ წამოყენებულ პირობებს არ შეასრულებს. ევროკავშირის ქვეყნების ლიდერები თურქეთის ხელისუფლებისგან მომავალი წლის 3 ოქტომბრამდე ევროკავშირის წევრი "კვიპროსის ბერძნული რესპუბლიკის" დე იურე აღიარებას მოითხოვენ. როგორც იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ სააგენტო "ასოშეითიდ პრეს"-ს აუწყა, თურქეთის პრემიერმა რეჯეპ ტაიპ ერდოგანმა მასთან საუბრისას დაადასტურა, რომ ანკარა მზადაა პარლამენტს კვიპროსის ბერძნული ნაწილის დე იურე აღიარების თხოვნით მიმართოს.

ზოგიერთი ექსპერტი სკეპტიკურად არის განწყობილი გუშინდელი გადაწყვეტილების მიმართ. ისინი აღნიშნავენ, რომ ღარიბი და ამავდროულად, სწრაფად მზარდი მუსლიმური მოსახლეობის ქვეყნისთვის ევროკავშირში "კარების გაღება", ამ ორგანიზაციის "ევროპულ და ქრისტიანულ" სახეს მთლიანად შეცვლის.

მიუხედავად ყველაფრისა, ევროკომისიის პრეზიდენტის ჟოზე დურაო ბაროსოს განცხადებით, "ევროკავშირმა უკვე გაუღო კარი თურქეთს", თუმცა იქვე დასძინა, რომ ანკარა "ამ ძალიან კარგ წინადადების" და ყველა მოთხოვნის (მათ შორის კვიპროსის ცნობა უპირველესია) დაკმაყოფილებაზე უნდა დათანხმდეს.

*24 საათი*

# "იუკოსი" ხსნას ამერიკაში ეძებს

კოტე ელიზბარაშვილი

15 დეკემბერს ნავთობკომპანია "იუკოსმა", მისი ძირითადი ნავთობმომპოვებელი საწარმო "იუგანსკნეფტეგაზის" აუქციონზე გაყიდვის თავიდან აცილების იმედით, გაკოტრების შესახებ და კრედიტორებისგან დაცვის განცხადებით, ჰიუსტონის საოლქო სასამართლოს მიმართა. "იუკოსის" ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ სასამართლო რუსეთის ხელისუფლებას მილიარდობით დოლარის ზარალის ანაზღაურებას დაავალდებულებს, რომელიც კომპანიამ "უკანონო, დისკრიმინაციული და შეუსაბამო საგადასახადო პრეტენზიების უპრეცედენტო კამპანიის" შედეგად იწვნია. თუმცა ანალიტიკოსები თვლიან, რომ "იუკოსი" ვერ შეძლებს აუქციონის შეჩერებას. მსგავსი მოვლენების ფონზე, ოთხშაბათს "იუკოსის" აქციები 13 პროცენტით დაეცა. რუსეთის ფედერალური ქონების ფონდი აცადებს, რომ კომპანია "იუგანსკნეფტეგაზის" გასაყიდად აუქციონის ჩასატარებლად მზად არის. აუქციონი 19 დეკემბერს დაინიშნა. "იუკოსის" შვილობილი კომპანიის აქციების 78 პროცენტის საწყისი ფასი დაახლოებით 9 მილიარდ ევროს შეადგენს.

პარასკევს ჰიუსტონის საოლქო სასამართლომ "იუკოსის" აქტივებთან დაკავშირებული ყველა ოპერაციის დროებითი შეჩერების შესახებ გამოიტანა გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილება, მოსამართლე ლეტიცია კლარკმა ოთხშაბათსა და ხუთშაბათს სასამართლოში გამართული მოსმენების შემდეგ გამოაცხადა. სასამართლო მოსმენა "იუკოსის" ამერიკული კანონმდებლობით გათვალისწინებულ გაკოტრების შესახებ კომპანიის რეორგანიზებასთან დაკავშირებულ განცხადებას ეხებოდა. სასამართლოს განაჩენი "იუკოსნეფტეგაზის" აქციების გასაყიდად 19 დეკემბერს დანიშნულ აუქციონზეც ვრცელდება. ჰიუსტონის სასამართლო მისი გამართვის შეჩერებასაც აუცილებლად თვლის. მოსამართლე კლარკმა "იუკოსის" სასარგებლოდ გადაწყვეტილება რუსეთში შექმნილი სიტუაციით განმარტა.

**"რუსეთის, აშშ-სა და სხვა ქვეყნების საერთაშორისო ვაჭრობის მონაწილეებს, საზღვარგარეთულ საწარმოებში ინვესტიციების ჩადებით, არ უნდა ეშინოდეთ, რომ მათი ინვესტიცია უცხოეთის სამთავრობო უწყებების მხრიდან საკონფისკაციო ქმედებებს დაექვემდებარება"**, - ხაზგასმით აღნიშნა კლარკმა წერილობით გადაწყვეტილებაში. ჰიუსტონის სასამართლოს ვერდიქტი ათი დღის განმავლობაში იმოქმედებს. ამ პერიოდში რუსული კომპანიის ხელმძღვანელობას ვადის გაგრძელების მიღწევა შეუძლია. რუსეთში ჰიუსტონის სასამართლოს გადაწყვეტილებას იურიდიული ძალა არ გააჩნია. რუსეთის ფედერალური ქონების ფონდის პრეს-სამსახურის განცხადებით, აუქციონი სასამართლო ბოქაულების გადაწყვეტილებით ტარდება და მათივე გადაწყვეტილებით შეიძლება შეჩერდეს. ცნობილია, რომ "გაზპრომის" კრედიტორმა "დოიჩე ბანკმა" "იუკოსის" სარჩელი გააპროტესტა. გავრცელებული ინფორმაციით, ჰიუსტონის სასამართლოში ბანკის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ჰიუ რეიმ ოფიციალურად გააპროტესტა რუსული ნავთობკომპანიის განაცხადი გაკოტრების შესახებ. რეის არგუმენტი ის იყო, რომ ბანკმა უკვე დაიწყო "გაზპრომისთვის" კრედიტის გამოყოფა და აუქციონის შეჩერება "დოიჩე ბანკს" ზარალს მიაყენებს.

ცხადია, რომ "იუკოსის საქმეზე" გამართული სასამართლო ბრძოლა ერთი ქვეყნის ჩარჩოებს გასცდა და ტრანსნაციონალური ბიზნეს-გიგანტების ინტერესის სფეროდ იქცა. **"აშშ თვლის, რომ "იუკოსის" მენეჯმენტს იურიდიული თავდაცვის ნებისმიერი საშუალების გამოყენების უფლება აქვს, რაც, მისი აზრით, ყველაზე კარგად პასუხობს კომპანიისა და მისი აქციონერების ინტერესებს,"** - ასეთი იყო აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა რიჩარდ ბაუჩერის რეაგირება. ბაუჩერმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკვე გამოხატა შეშფოთება "იუკოსის საქმეზე", თუ რა შესაძლო შედეგი შეიძლება მოუტანოს რუსეთის ეკონომიკას და რეპუტაციას ქვეყნისა, სადაც ბიზნესის წარმოება შეიძლება. **"ჩვენ ამის შესახებ რუსეთის ხელისუფლებას ვესაუბრებოდით როგორც საჯაროდ, აგრეთვე პირადი შეხვედრებისას"**, - განაცხადა ბაუჩერმა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ვაშინგტონის რეაქციის კომენტირებისგან თავი შეიკავეს იმ მოტივით, რომ მოცემულ შემთხვევაში რეაგირება გენერალურმა პროკურატურამ უნდა მოახდინოს.

## ორი სიტყვით

**უკრაინა.** უკრაინის ცესკო-ს გადაწყვეტილებით, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის განმეორებით ჩატარებამდე, 20 დეკემბერს პირველ ეროვნულ ტელეარხზე იუშენკოსა და იანუკოვიჩის 100 წუთიანი ტელედებატები გაიმართება. დებატებამდე 20 წუთით ადრე კენჭისყრით გახდება ცნობილი, თუ რომელი კანდიდატი გახსნის ტელედებატებს და რომელი დაასრულებს. დებატები სამნაწილიანი იქნება. პირველი ნაწილი კანდიდატების 5 წუთიან მისასალმებელ სიტყვას მოიცავს, მეორე ნაწილი დაეთმობა 80 წუთიან დისკუსიას, რომელიც თავის მხრივ, კითხვა-პასუხისაგან შედგება. კითხვები არ უნდა აღემატებოდეს 1 წუთს, ხოლო პასუხები არ უნდა სცდებოდეს 3 წუთს. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ თუ ერთ-ერთი კანდიდატი არ უპასუხებს რომელიმე კითხვას, მეორეს ოპონენტისათვის დამატებითი კითხვების დასმის უფლება აქვს მანამდე, სანამ არ მიიღებს პასუხს. დისკუსია ამოიწურება დებატების დამთავრებამდე 10 წუთით ადრე. დებატების მესამე ნაწილი ითვალისწინებს კანდიდატების 5 წუთიან დასკვნით სიტყვას, ხოლო 30 წამი მათ რეპლიკებისთვისაც რჩებათ. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე კანდიდატი ადრე დატოვებს სტუდიას, მეორეს აქვს უფლება, საეთერო დრო მთლიანად გამოიყენოს თავისი გამოსვლისათვის. თუ არც ერთი კანდიდატი არ გამოცხადდება სტუდიაში ტელედებატებისათვის, სატელევიზიო არხს აქვს უფლება, გამოიყენოს საეთერო დრო საკუთარი შეხედულებისამებრ, თუმცა აღნიშნული დროის ფინანსური ანაზღაურება ცესკო-ს მიერ არ მოხდება. **ნიუსრუ**

# საქართველო რუსეთთან შეწყვეტილ სატვირთო გადაზიდვებს აღადგენს

*საბორნე-სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, "ჩრდილოეთ-სამხრეთის" პროექტში საქართველოს ჩართვა, ძველი ვალების დამატებითი ჯარიმებისგან გათავისუფლება - ეს იმ მიღწევების ჩამონათვალია, რასაც "საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელობამ რუსეთის რკინიგზის ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას მიაღწია. შპს "საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა დავით ონოფრიშვილმა მოსკოვში რუსეთის რკინიგზის ხელმძღვანელობასთან მიღწეულ შედეგებსა და საქართველოს რკინიგზაზე არსებულ მდგომარეობას სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა, სადაც არაერთხელ დააფიქსირა, რომ რუსეთთან მიღწეული შედეგებით კმაყოფილია.*

სოფიკო ოხანაშვილი

"საქართველოს რკინიგზის" დელეგაციის რუსეთში ვიზიტისას მიღწეული გადაწყვეტილებით, საქართველო-რუსეთს შორის (ფოთისა და კავკაზის ნავსადგურებს შორის) პირდაპირი საბორნე-სარკინიგზო მიმოსვლა მომავალი წლის იანვარში დაიწყება.

ფოთი - "კავკაზის" საბორნე გადასასვლელის ამოქმედებით აღდგება რუსეთთან შეწყვეტილი სატვირთო გადაზიდვები. საცდელი გადაზიდვების განხორციელება მომავალი წლის იანვრიდან დაიწყება. **"მართალია, საბორნე მიმოსვლით ჩვენ აფხაზეთის ჩაკეტილ საზღვრებს ვერ გავარღვევთ, მაგრამ, მერწმუნეთ, სერიოზული მიღწევაა, როცა პირდაპირი საბორნე-სარკინიგზო მიმოსვლა გვექნება რუსეთთან,"** - განაცხადა დავით ონოფრიშვილმა და იქვე დაუმატა, რომ პირდაპირი საბორნე-სარკინიგზო მიმოსვლა ხელს შეუწყობს ტრანსპორტის სფეროში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის განვითარებას, შეამცირებს სატვირთო გადაზიდვებზე არსებულ ტარიფებს და მიმზიდველს გახდის სატვირთო გადაზიდვებს. გარდა ამისა, შეიქმნება საავტომობილო-სატვირთო გადაზიდვების ალტერნატიული მარშრუტი. ონოფრიშვილის თქმით, რუსეთი მზად არის, შეღავათიანი ტარიფები დააწესოს იმ ტვირთების გადაზიდვაზე, რომელიც "კავკაზიდან" საქართველოსკენ გამოემართება. **"შეღავათიანი ტარიფების საკითხს ჩვენც განვიხილავთ, თუმცა, ჯერჯერობით, გადაწყვეტილება მიღებული არ არის,"** - განაცხადა "საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა.

საბორნე მიმოსვლის აღდგენის გარდა, რუსეთში ვიზიტისას ქართულმა მხარემ კიდევ ერთ შეთანხმებას მიაღწია, კერძოდ, ონოფრიშვილის თქმით, რუსეთის მხარე მზადაა, საქართველო "ჩრდილოეთი-სამხრეთის" მიმართულებით (კავკასიის გავლით) განხორციელებულ ტვირთბრუნვებში ჩართოს. ამ პროცესში უკვე აქტიურადაა ჩართული რუსეთი, აზერბაიჯანი და ირანი. **"ჩვენ დავინტერესდით "ჩრდილოეთ-სამხრეთის" მიმართულებით ტვირთბრუნვებით და მასში ჩართვის სურვილიც დავაფიქსირეთ. ამ პროცესში ჩართვით ჩვენს გზაზე გატარებული ტვირთების მოცულობა გაიზრდება, რაც კარგი იქნება, როგორც რკინიგზისთვის ასევე მთლიანად ქვეყნისთვის,"** - განაცხადა ონოფრიშვილმა.

მოსკოვში გამართული მოლაპარაკებების დროს განხილული იყო "საქართველოს რკინიგზასა" და რუსეთის რკინიგზას შორის არსებული ფინანსური პრობლემებიც. რუსეთის რკინიგზის ხელმძღვანელთან ალექსანდრ ფადეევთან შეხვედრისას გადაწყდა, რომ რუსეთის რკინიგზის წინაშე არსებულ ძველ დავალიანებას - 14 მილიონ შვეიცარულ ფრანკს დამატებითი ჯარიმები აღარ დაერიცხება. ამ შეთანხმების წყალობით, საბოლოო ჯამში, საქართველო მილიონობით შვეიცარიულ ფრანკს დაზოგავს. ასეთი შეთანხმებების წყალობით, წლის ბოლომდე ონოფრიშვილი ხუთი ათასი დოლარის დაზოგვას ვარაუდობს. ამჯერად კი, "საქართველოს რკინიგზა" რუსეთის რკინიგზას არსებული ვალის ფარგლებში ყოველთვიურად 300 ათას დოლარს უხდის.

რაც შეეხება "საქართველოს რკინიგზაში" არსებულ მდგომარეობას, დავით ონოფრიშვილის განცხადებით, იმის მიუხედავად, რომ ეს ორგანიზაცია საქართველოს ბიუჯეტში ყველაზე მსხვილ გადამხდელად რჩება, მას რესურსები არ ჰყოფნის დარგის განვითარებისთვის. მიმდინარე წელს სახელმწიფო ბიუჯეტში "საქართველოს რკინიგზამ" 75 მილიონი ლარი შეიტანა. აქედან, 15 მილიონი ძველი დავალიანებების გასტუმრებას მოხმარდა.

ონოფრიშვილმა პრსკონფერენციაზე მომავალი წლის გეგმებზეც ისაუბრა, კერძოდ, "საქართველოს რკინიგზა აქცენტს მშრალი ტვირთების მოცულობის გაზრდასა და ორი-სამი დასახელების ახალი ტვირთების გადაზიდვაზე გააკეთებს. უახლეს მომავალში კი გაირკვევა USAID-ის მიერ ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებული საკონსულტაციო კომპანიის ვინაობა, რომელიც "საქართველოს რკინიგზას" სამომავლო სტრატეგიის შემუშავებაში დაეხმარება. ონოფრიშვილი არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, დღის წესრიგში შპს "საქართველოს რკინიგზის" სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის საკითხიც დადგეს. კიდევ ერთი საკითხი, რასაც "საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელობა მომავალი წლისთვის გეგმავს, მის საკუთრებაში არსებული არაპროფილური ობიექტების ნუსხის შედგენაა. ონოფრიშვილის თქმით, ამ მიმართულებით მუშაობა უკვე მიმდინარეობს და, სავარაუდოდ, ამ ნუსხაში 80-მდე ობიექტი მოხვდება. ნუსხის საბოლოო ვარიანტი მომავალი წლის დასაწყისისთვის უკვე მზად იქნება.

რაც შეეხება აზერბაიჯანის საზღვართან გაჩერებულ ტვირთებს. ონოფრიშვილის ინფორმაციით, აზერბაიჯანთან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, საზღვარზე მხოლოდ ორი ტვირთი - საწვავით დატვირთული 100 ვაგონი და ხორბლით სავსე 300 ვაგონი დარჩება. დანარჩენი ტვირთის გამოშვებაზე აზერბაიჯანულმა მხარემ თანხმობა განაცხადა. საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელი იმედოვნებს, რომ დანარჩენი 400 ვაგონის ბედიც უახლოეს მომავალში საქართველოს სასარგებლოდ გადაწყდება.

## მოკლედ

### "თბილტრასის" მძღოლები და კოოპერატიული ბინათმშენებლობის წარმომადგენლები კვლავ ბიუჯეტს გარეთ აღმოჩნდნენ

"თბილტრასის" მძღოლები და კოოპერატიული ბინათმშენებლობის წარმომადგენლები თანხებს ვერც 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღებენ. ამის შესახებ გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ლაშა გოცირიძემ განაცხადა.

მისი თქმით, "თბილტრასის" მძღოლებისა და კოოპერატიული ბინათმშენებლობის წარმომადგენლებისთვის ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა არ არის გათვალისწინებული. თუმცა, აღნიშნულმა პირებმა, სურვილის შემთხვევაში, შესაძლოა სახელმწიფოსგან ვალი უძრავი ქონების სახით მიიღონ.

**"პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად, შექმნილია სამთავრობო კომისია, რომელიც "თბილტრასის" მძღოლებისა და კოოპერატიული ბინათმშენებლობის წარმომადგენლების მიმართ სახელმწიფოს დავალიანების საკითხებს სწავლობს. კომისიამ უნდა მოამზადოს წინადადებები, თუ რა გზით შეიძლება გაისტუმროს სახელმწიფომ ამ კატეგორიაში შემავალ პირთა დავალიანება,"** - აღნიშნა გოცირიძემ.

შეგახსენებთ, რომ სახელმწიფოს "თბილტრასის" მძღოლებისა და კოოპერატიული ბინათმშენებლობის წარმომადგენლების მიმართ მილიონობით ლარის დავალიანება გააჩნია, რომლებიც ქვეყნის შიდა ვალად არის აღიარებული. თუმცა, ვინაიდან შიდა ვალის მომსახურება ჯერ არ დაწყებულა, ფინანსთა სამინისტრო თანხების გაცემაზე უარს აცხადებს. **24 საათი**

### "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**19 დეკემბერს, 10.00-დან 18.00 სთ-მდე:**
თემქის III მიკრორაიონის V კვარტლის, თემქის XI მიკრორაიონის III კვარტლის მაცხოვრებლებს.

**20 დეკემბერს, 10.00-დან 18.00 სთ-მდე:**
მუხიანის IVბ მიკრორაიონის მაცხოვრებლებს.

**20 დეკემბერს, 10.00-დან 18.00 სთ-მდე:**
რუსთავის გზატკეცილის(ნაწილობრივ), მარნეულის, სადგურის ქუჩების მაცხოვრებლებს.

# ლექსო ალექსიშვილი: "დღეს ჩვენ ეკონომიკის ძლიერი სამინისტრო გვჭირდება..."

თამარ ხორბალაძე

*უკვე ორი დღეა ეკონომიკური განვითარების მინისტრის პორტფელს "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" ყოფილი თავმჯდომარე, პარლამენტის სპიკერის ზურაბ ჟვანიას ყოფილი თანაშემწე, მინისტრ ნოღაიდელის ყოფილი მოადგილე, როგორც დღეს უყვართ აღნიშვნა - "დასავლეთში განათლებამიღებული" ლექსო ალექსიშვილი ფლობს.*
*ორი დღეა, როგორც თავად ამბობს, ეცნობა სამინისტროს სქემას, მიმდინარე საქმეებს, მათ შორის - პრივატიზაციასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების შედეგებს და ადგენს უახლოესი პერიოდის აქტივობის გეგმას.*
*ლექსო ალექსიშვილს საკმაოდ რთული ხვედრი ერგო წილად - კახა ბენდუქიძის მსგავსი კოლორიტული ფიგურის შემდეგ მინისტრის სავარძლის ახალი პატრონი უდავოდ არის განწირული წინამორბედთან მუდმივი შედარებისთვის და მისი მინისტრობის შესაძლო მოკლე ვადაზე საუბრისთვისაც. "24 საათმაც" მინისტრთან საუბარი სწორედ მისი მინისტრობის ვადაზე საუბრით დაიწყო.*



იური ლოზოდინის ფოტო

*მინისტრი ალექსიშვილი ორი დღეა, ეცნობა სამინისტროს სქემას, მიმდინარე საქმეებს და ადგენს უახლოესი პერიოდის აქტივობის გეგმას.*

**- როგორ ფიქრობთ, რა ვადით მოგიწევთ მინისტრის პოსტზე ყოფნა?**

- ეს, ვფიქრობ, იმ ამოცანების შესრულების ხარისხზე იქნება დამოკიდებული, რომლებიც მინისტრისა და სამინისტროს წინაშე დგას. ამ ამოცანების შესრულება იქნება მთავარი პარამეტრი იმის განსასაზღვრად, თუ რამდენი ხნით და როგორი ეფექტურობით ვიმუშავებ ამ პოსტზე.

სამინისტროს ამოცანა, ერთი მხრივ, მდგომარეობს იმაში, რომ პრივატიზაციის საკითხი დასრულდეს. მეორე მხრივ კი, ქვეყანაში მეტნაკლებად უნდა დალაგდეს სახელმწიფო ქონების მართვის სქემა: სახელმწიფომ უნდა იცოდეს, როგორ მართოს თავისი ქონება - ეხება ეს როგორც ადგილობრივი და ცეტრალურ ხელისუფლებებს შორის ქონების გამიჯვნას, ასევე მსხვილი საწარმოების მომავალ ბედს, მაგალითად, იმას, თუ რას ვუპირებთ მომავალში ფოთის პორტს ან სხვა მსხვილ ობიექტებს. ანუ, უნდა განისაზღვროს ამ ქონების ფლობის კონკრეტული ფორმა. შემდგომი საკითხი არის ეკონომიკის დერეგულაცია სხვადასხვა სფეროებში - იქნება ეს ტრანსპორტი, მშენებლობა, კავშირგაბმულობა თუ ნებისმიერი, ეკონომიკისათვის აუცილებელი და სტრატეგიული მიმართულება და სექტორი, სადაც უნდა მოხდეს კაპიტალის შესვლის გამარტივება, ყველა იმ პროცედურის გამარტივება, რომელიც აუცილებელია ამ ბიზნესში შეღწევისთვის.

**- ეს 2005 წლის გეგმაა?**

- ეს 2005 წლის გეგმაა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, შევაფასოთ სამინისტროს ეფექტურობა. ბუნებრივია, პირველადი შეფასებები 6 თვეშიც შეიძლება გაკეთდეს. ჩვენ, სავარაუდოდ, ორ კვირაში გვექნება კონკრეტულად გაწერილი სქემა მომავალი აქტივობებისაც და იმ ფინანსური შემოსულობებისაც, რომელსაც პრივატიზაციიდან ან დივიდენდებიდან ველოდებით.

**- 2005 წლის ბიუჯეტში პრივატიზაციიდან რა თანხის მიღებაა გათვალისწინებული?**

- ბიუჯეტში გათვალისწინებულია 85 მილიონის შემოსვლა.

**- რამდენად რეალურია ეს ციფრი.**

- ეს ძალიან რეალური ციფრია, თუმცა მოთხოვნა გაცილებით უფრო მაღალია. ამოცანა, რომელსაც ხელისუფლება აყენებს დღეს, ამ თანხას საგრძნობლად აღემატება.

**- თქვენი წარდგენის დროს პრემიერმა განაცხადა, რომ მინისტრი ალექსიშვილი გააგრძელებს ბენდუქიძის კურსს. რა კურსის გაგრძელებაზეა კონკრეტულად საუბარი?**

- პირველ რიგში, საუბარია პრივატიზაციის პროცესზე.

**- თუმცა, ამ ექვსი თვის განმავლობაში პრივატიზაციის პროცესი ძალიან აქტიურად არ წარმართულა.**

- მე ვერ ვიტყვი, რომ ეს პროცესი არ იყო აქტიური. უბრალოდ, ეს პერიოდი მინისტრმა კახა ბენდუქიძემ დაუთმო საკითხების მომზადებას - ჩვენ დღეს უკვე გვაქვს მოლაპარაკებების რამდენიმე, თითქმის ბოლომდე მიყვანილი პროცესი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, რომ უახლოეს პერიოდში რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს წერტილი დავუსვათ.

**- რომელ ობიექტებზე საუბრობთ?**

- დღეს გამიჭირდება კონკრეტული ობიექტების დასახელება. გარკვეული დრო მჭირდება, რომ ამ საკითხებში ღრმად ჩავიხედო.

**- მინისტრ ბენდუქიძის საბოლოო მიზანი ეკონომიკის სამინისტროს გაუქმება იყო. აქვს თუ არა მინისტრ ალექსიშვილს იგივე მიზანი?**

- ვფიქრობ, კახა ბენდუქიძე ამ განცხადებაში გულისხმობდა, რომ სახელმწიფის ჩარევა ეკონომიკაში უნდა იყოს მინიმალური და მე ამ მიდგომას მთლიანად ვიზიარებ.

რაც შეხება თავად ეკონომიკის სამინისტროს, როგორც ინსტიტუტს - მე დღეს, მას შემდეგ, რაც სამინისტროს სქემაში დეტალურად ჩავიხედე, დავინახე, რომ ეს ინსტიტუტი იმდენად ეფექტური არ არის, როგორიც საჭიროა. ამიტომ, ჩემი ერთ-ერთი მთავარი მიზანი იქნება ამ ინსტიტუტის გაძლიერება იმისთვის, რომ მან კონკრეტული ამოცანები შეასრულოს.

**- რა უნდა გაკეთდეს სტრუქტურული რეორგანიზაციის თვალსაზრისით?**

- დღეს ვფიქრობთ ამაზე. ფაქტია, რომ დღეს არსებული ორგანიზაციული სქემა მოდერნიზებას მოითხოვს, მათ შორის - საკადრო ცვლილებებსაც. იმისთვის, რომ სახელმწიფო ეკონომიკაში ნაკლებად ერეოდეს, იმისთვის, რომ ჩვენ ამ მიზანს თუნდაც ერთ ან ორ წელიწადში მივაღწიოთ, დღეს ჩვენ ეს სამინისტრო გვჭირდება ძლიერი - თავისი საკადრო პოტენციალით, თავისი ორგანიზაციული გამართულობით.

**- პრივატიზაციაში პრიორიტეტი ისევ ყველაფრის მაღალ ფასად გაყიდვა იქნება?**

- ჩვენთვის მთავარი და არსებითი იქნება, რომ რაც შეიძლება გამჭვირვალედ განხორციელდეს ეს პროცესი. ეს არის არა მხოლოდ ერთი მინისტრის, არამედ მთელი ხელისუფლების პრიორიტეტი. ეს არის პირობა იმისა, რომ ყველაფერი გაიყიდოს მაქსიმალურად კონკურენტულ გარემოში, რაც ფასსაც გაზრდის და კორუფციულ ელემენტებსაც აღმოფხვრის.

**- გასულ წლებში საკმაოდ ბევრი საწარმო გაიყიდა გარკვეული პირობებით. მაგრამ ძალიან იშვიათი შემთხვევა იყო, როცა ამ პირობების შეუსრულებლობის გამო ვინმე ან ისჯებოდა, ან - ხელშეკრულების გადახედვა ხდებოდა. აპირებს თუ არა სამინისტრო ამ პირობების გადახედვის დაწყებას?**

- გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, პრაქტიკულად, ეს პროცესი უკვე დაწყებულია. თუმცა ზოგჯერ ეს პირობები ხელოვნურად ან გამკაცრებულია, ან - პირიქით. ამასთან, პირობების შესრულება ხარჯს ითხოვს. ამას ემატება მონიტორინგის ხარჯი როგორც სახელმწიფოს, ისე - მეწარმის მხრიდან. თუ ამას კიდევ კორუფციული გარიგებების ალბათობას დავუმატებთ, ცხადი ხდება, რომ ეფექტურობის თვალსაზრისით, მაღალ ფასზე გათვლა სწორია. სწორედ ამიტომ არის მიღებული გადაწყვეტილება, რომ სჯობს გაიყიდოს უპირობოდ, მაგრამ - მაღალ ფასად, ვიდრე - იაფად და პირობებით. რაც შეეხება უკვე განხორციელებულ პრივატიზაციას, ჩვენ ვიმოქმედებთ იურიდიული ჩარჩოების ფარგლებში.

**- გარდა პრივატიზაციისა, რომელი მიმართულებები იქნება პრიორიტეტული სამინისტროსთვის?**

- როგორც უკვე ვთქვი, ერთ-ერთი მთავარი მიზანი იქნება ეკონომიკის დერეგულაცია. ეს გულისხმობს უამრავი ლიცენზიის, ნებართვის, სერტიფიკაციის, რაღაც პროდუქციის შემოტანის და სხვა პროცედურების მაქსიმალურ გამარტივებას. საქართველო წარმოების და ვაჭრობის განხორციელებისათვის მიმზიდველი ქვეყანა უნდა გახდეს. რაც უფრო მეტია ეს პროცედურები, რაც უფრო რთულია ამ პროცედურების გავლა და რაც მეტად უხდება ბიზნესმენს ბიუროკრატიასთან შეხება, მით უარესია საინვესტიციო გარემოსთვის.

გარდა ამისა, ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი აუცილებლად იქნება საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის გაღრმავება, ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს, რომ მათ რეკომენდაციებს ავიღებთ, როგორც უპირობო ფორმულას. ვფიქრობ, რომ ურთიერთობები უნდა ჩამოყალიბდეს ჯანსაღ პარტნიორულ დონეზე, რაც პრაქტიკულად, არის კიდეც. თუმცა ვფიქრობ, ამ მიმართულებით გარკვეული, კიდევ უფრო აქტიური ნაბიჯებია გადასადგმელი.

**- სხვათა შორის, ახალი ხელისუფლება საკმაოდ დიდ იმედებს ამყარებდა საგარეო დახმარებებზე. ეს დახმარებები საქართველოს ამ წლის განმავლობაში მოსალოდნელი მასშტაბით არ მიუღია. რატომ?**

- თუ, დავუშვათ, ვსაუბრობთ "მილენიუმ ჩელენჯის" პროგრამაზე, ამ პროგრამის ფარგლებში დახმარებები საქართველომ 2004-2005-2006 წლებში უნდა მიიღოს. პროექტების მომზადებას, რომელთა დაფინანსებაც უნდა მოხდეს, გარკვეული დრო სჭირდება. სხვა წყაროებიდან გარკვეული მნიშვნელოვანი გრანტები საქართველომ მიიღო, თუმცა უამრავი კიდევ არის გასაკეთებელი. 2005-2006 წლები ფინანსური შემოდინებების მხრივ, ვფიქრობ, ყველაზე აქტიური იქნება.

**- თქვენი სამინისტრო ტრანსპორტისა და კომუნიკაციის დარგებსაც კურირებს. ბოლო წლის განმავლობაში იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს სატრანზიტო ფუნქციისთვის ზრუნვამ, რაც წინა ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იყო, უკანა პლანზე გადაიწია. ამ მიმართულებით გარკვეული პრობლემებიც შეიქმნა. რის გაკეთებას აპირებს სამინისტრო ამ მიმართულებით?**

- პირველ რიგში, მე ვერ დავეთანხმები მოსაზრებას, თითქოს ახალი მთავრობის კურსი იყო ის, რომ ქვეყნის სატრანზიტო ფუნქცია შესუსტებულიყო. მე წელს, მართალია, სხვა რანგში, მაგრამ რამდენიმე მნიშვნელოვან შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა, რომელიც პრემიერ-მინისტრის ინიციატივით გაიმართა და რომელიც უშუალოდ საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის გაუმჯობესებას ემსახურებოდა. პრობლემები, რომელიც ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციასთან დაკავშირებით შეიქმნა, კომპლექსურია. ისინი უკავშირდება როგორც ტარიფებს, ისე - პრობლემებს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, რუსეთთან ურთიერთობას. შესაბამისად, რამე კონკრეტული რეცეპტი, თუ როგორ შეიძლება დღეს არსებული სიტუაციის მოგვარება, ძნელი წარმოსადგენია. თუმცა უდავოდ უნდა შეიქმნას პოლიტიკური ნაბიჯების გეგმა, რომელთა გადადგმის შემდეგაც საქართველო ამ მიმართულებით კონკურენტუნარიანი გახდება. ნებისმიერ სატრანსპორტი სფეროში ჩვენ ჩამოყალიბებული მკაფიო პოზიციები გვექნება. მე უკვე რამდენიმე შეხვედრა მქონდა ამ სფეროს წარმომადგენლებთან. პირველ რიგში, ამ სფეროშიც ბიუროკრატიული ტვირთი უნდა შემცირდეს, უნდა მოხდეს ლიბერალიზაცია. ტარიფი ის საკითხია, რომელიც ჩანს, თუმცა ამის უკან არის ბევრი საკითხი, რომელიც არ ჩანს და რომელიც ასევე დასარეგულირებელია.

**- ინდიკატორულ გეგმას არც თქვენ წყალობთ?**

- ინდიკატორული გეგმა, როგორც ინსტრუმენტი, დღეს აღარ არის იმდენად აქტუალური. ინდიკატორული გეგმის მთავარი მიზანი იყო განვითარების მიმართულებების განსაზღვრა, რომელზეც შემდეგ ბიუჯეტი აიგებოდა. ვფიქრობ, რომ ეს ველარ იმუშავებს. თუმცა, საჭიროა საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური ჩარჩოების და სახარჯო პოლიტიკის ფორმირება, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ჩვენ ჩვენი მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზირების შესაძლებლობა გვქონდეს. ეს შემოსავლების გათვლის და იმის საშუალებას მოგვცემს, რომ არსებული რესურსებიდან გამომდინარე, საშუალოვადიანი გეგმის პრიორიტეტები გავთვალოთ. საუბარია ახალ სქემაზე, როცა რესურსებიდან გამომდინარე, საზღვრავ შესაძლებლობებს და პრიორიტეტებს, რაც უფრო რეალისტური იქნება. ეკონომიკის სამინისტრო, ცხადია, აქტიურად იქნება ჩართული ამ პროცესებში, თუმცა, ბუნებრივია, ამ საკითხებთან დაკავშირებით მთავარი ფუნქცია ფინანსთა სამინისტროს ექნება.

# საქართველოში ისევ ბნელა

*ვერა და ვერ მოგვარდა დედაქალაქის და რეგიონების ელექტროენერგით უზრუნველყოფა. ამჯერად მთავარი დამნაშავეები ენგურჰესის მეხუთე აგრეგატი და "თელასსა" და "სახელმწიფო ელექტროსისტემას" შორის არსებული უთანხმოებაა. ასე რომ, მიმდინარე კვირას გაკეთებული განცხადებები ენერგოკრიზისის დაძლევის შესახებ, ისევ ტყუილი აღმოჩნდა.*

დიანა ჩაჩუა

მეცხრე ენერგობლოკი, რომელიც, თავის დროზე, საქართველოში ენერგოანეკდოტების მთავარი თემა იყო, დღეს ენგურჰესის აგრეგატებმა ჩაანაცვლეს - ამჯერად უკვე სწორედ ამ აგრეგატებს ბრალდება საქართველოს ჩაბნელება.

გუშინ, ენერგეტიკოსების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დედაქალაქს და რეგიონებს ელექტროენერგია შეზღუდვებით მეხუთე აგრეგატის გამორთვის გამო მიეწოდებოდა. როგორც "თელასში" განაცხადეს, ავარიის გამო ელექტროენერგია დედაქალაქის მხოლოდ სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტებს და ცენტრალურ უბნებს მიეწოდებოდა, რომლებიც ელექტროენერგიით სომხეთიდან მარაგდებიან. ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ალექსანდრე ხეთაგურის განცხადებით, ავარია "ენგურჰესის" აგრეგატის ტრანსფორმატორზე მომხდარი ტექნიკური ხარვეზის შედეგია.

გუშინ დენი შეზღუდვით მიეწოდებოდა გლდანსა და ნავთლუღს. ამის უმთავრესი მიზეზი კი "სახელმწიფო ელექტროსისტემასა" და "თელასს" შორის არსებული გაუგებრობა გახდა. როგორც კომპანია "თელასში" განაცხადეს, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი მასზე დაკისრებულ ფუნქციას ვერ ასრულებს და რესურსების სწორად განაწილებას ვერ უზრუნველყოფს. მათივე თქმით, საქართველოს ელექტროსისტემამ "თელასს" უკანონოდ შეუზღუდა 30 მეგავატი ელექტროენერგია. ცნობისათვის, "თელასის" მოთხოვნით, ლიმიტი ცხრა მილიონ 600 ათასი კილოვატსაათით უნდა განისაზღვრებოდეს, თუმცა გუშინ მას რვა მილიონი კილოვატსაათი მიეწოდება, რის გამოც ქალაქი ელექტროენერგიით შეზღუდვებით მარაგდებოდა.

გუშინვე "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" აცხადებდნენ, რომ კომპანია "თელასი" საბითუმო ბაზრის მიერ დადგენილ ლიმიტებს აჭარებს, რის გამოც, ცენტრალური სადისპეტჩერო იძულებულია, დედაქალაქის ელექტრომომარაგება შეზღუდოს. **"თელასის" მიერ ცხრა მილიონ 600 ათასი კილოვატ/საათის მოთხოვნა უკანონოა, რადგან იგი ისედაც აჭარბებს დაწესებულ ლიმიტებს. საბითუმო ბაზრის ცნობით, 20 დეკემბრამდე დადგენილი ლიმიტები მოქმედებს და ამიტომაც ელექტროენერგია "თელასს" ამ ლიმიტით მიეწოდება. ამასთან, "თელასის" მიერ ელექტროენერგიის რომელიმე ერთ რაიონში შეზღუდვა უკანონოა და გრაფიკი სხვადასხვა რაიონზე თანაბრად უნდა განაწილდეს,"** - აცხადებდნენ "სახელმწიფო ელექტროსისტემაში".

მაშინ, როცა ენგურჰესის აგრეგატი გამორთული იყო, "თელასი" და სახელმწიფო ელექტროსისტემა კი ერთმანეთში საყვედურებს ცვლიდნენ, წალენჯიხის რაიონის მოსახლეობამ ელექტროენერგიის 12-საათიანი გრაფიკით მიწოდების მოთხოვნით ენგურჰესის ცენტრალური ქვესადგური რამდენიმე საათით დაბლოკა. მოსახლეობას სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებული გიგი უგულავა შეხვდა, რომელმაც პრობლემის მოგვარებისთვის დრო 21 დეკემბრამდე ითხოვა. მანამდე კი წალენჯიხის რაიონს დენი შვიდსაათიანი გრაფიკით მიეწოდება. აქციის მონაწილეები ენგურჰესის კაშხლის პიკეტირებასაც გეგმავდნენ, თუმცა მორიგი დაპირების შემდეგ დაიშალნენ.

# საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

## აცხადებს კონკურსს

## საეთერო სპეციალიზებულ (საგანმანათლებო-შემეცნებითი) რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად

„კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის 362 მუხლის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე ლიცენზიის გასაცემად კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კონკურსის გამოცხადების საფუძვლების - თავისუფალი რესურსის არსებობის და/ან ლიცენზიის მაძიებლის მიერ კომისიისათვის შესაბამისი განცხადების წარდგენის შემთხვევაში.

კომისია აღნიშნავს, რომ, კომისიას განცხადებით მიმართა "საქართველოს ბავშვთა ფედერაციამ" (03.11.2004 №05/112) საეთერო სპეციალიზებულ რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ.

კანონმდებლობით მაუწყებლებისათვის განსაზღვრული ვალდებულებების, ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების, აგრეთვე, სამაუწყებლო ზონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, არსებული სიხშირული რესურსის მიზნობრივი და ოპტიმალური გამოყენების, ხარისხიანი მაუწყებლობის მიწოდების წინაპირობების შექმნის მიზნით, "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა და 455 მუხლის, "კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე და სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის განსაზღვრისა და სალიცენზიო გადასახდელის გადახდის წესის შესახებ" დებულების მე-2 მუხლის თანახმად, კომისიამ

გადაწყვიტა:

1. გამოცხადდეს კონკურსი საეთერო სპეციალიზებულ (საგანმანათლებო-შემეცნებითი) რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად შემდეგი პირობებით:

ა) ერთი გადამცემის გამოყენებით, პირველ სამაუწყებლო ზონაში:

| № | ქალაქი | სამაუწყებლო ზონა | ანტენის განთავსების ადგილი | გეოგრაფიული კოორდინატები | ანტენის სიმაღლე მიწის ზედ. მ | რადიოსიხშირე მგჰც FM | სიმძლავრე კვტ | ანტენის გამოსხივების დიაგრამა | სამაუწყებლო ზონის საშ.რად კმ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | თბილისი | 1 | თბილისის ანძა | 44E47; 41N41 | 100 | 97.1 | 1 | წრიული | 25 |

შენიშვნა:

სამაუწყებლო ზონები განსაზღვრულია კომისიის 2003 წლის 13 ივნისის №267 გადაწყევტილების პირველი პუნქტით.

გეოგრაფიული კოორდინატები მითითებულია საანძო კონსტრუქციისათვის. შესაძლებელია ანძის კონსტრუქციის აგება აღნიშნული კოორდინატებიდან 1 000 (ერთი ათასი) მეტრის რადიუსში ზღვის დონიდან ანტენის განთავსების მითითებული სიმაღლის შენარჩუნებით (კანონმდებლობით დადგენილი აუცილებელი ნებართვების მიღების შემთხვევაში).

ბ) სამოქმედო ზონა - ქ. თბილისი. (სამაუწყებლო ზონა - 1)

გ) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა განისაზღვროს 11.583 (თერთმეტი ათას ხუთას ოთხმოცდასამი) ლარით;

დ) კონკურსის ჩატარების თარიღად გამოცხადდეს 2005 წლის 11 მარტი 13:00 საათი;

ე) ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მოხდეს 2005 წლის 20 იანვრის 17:00 საათამდე;

2. ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი კომისიას მიმართავს განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) ფიზიკური პირისთვის - სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, რეგისტრაციის მონაცემები, მისამართი, მოქალაქეობა;

ბ) იურიდიული პირისთვის - საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი), სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, მონაცემები დამფუძნებლების შესახებ;

გ) ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის სახე, რომლის მიღებასაც მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;

დ) ტელერადიომაუწყებლობის სავარაუდო ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში;

ე) ტელერადიომაუწყებლობის დადგენილი პრიორიტეტების უზრუნველყოფის პირობები;

ვ) სამაუწყებლო ზონის დასახლებული ტერიტორიის მაუწყებლობით მოცვის გრაფიკი და სამაუწყებლო ზონაში პრაქტიკული საქმიანობის დაწყების ვადები;

ზ) ტელერადიოპროგრამების გავრცელებისათვის გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებები;

3. ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

ბ) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე:

-ბანკი: სააქციო კომერციული ბანკი "თი-ბი-სი";

-ა/ანგარიში: 609326;

-კოდი: 220101830;

-საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050;

ლიცენზიის მიუღებლობის შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს უბრუნდება აღნიშნული თანხა, საბანკო მომსახურების ხარჯების გამოკლებით, კომისიისთვის წერილობითი განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დარჩენილი თანხა გადაიხადოს კონკურსის პირობების შესაბამისად.

გ) სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები; ფიზიკური პირისათვის - აგრეთვე, პირადობის მოწმობის ასლი. თუ ლიცენზიის მაძიებლის დამფუძნებელი იურიდიული პირია, წარმოდგენილ უნდა იყოს ამ იურიდიული პირის სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ხოლო თუ დამფუძნებელი ფიზიკური პირია - მისი პირადობის მოწმობის ასლი;

დ) ლიცენზიის მიღების შემთხვევაში განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია;

ე) სამაუწყებლო საქმიანობის დოკუმენტურად დასაბუთებული დაფინანსების გეგმა;

ვ) განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკური პროექტი, რომელმაც სამშენებლო, სანიტარულ-ჰიგიენური, ეკოლოგიური ექსპერტიზისა და სათანადო ნებართვების უზრუნველყოფის მიზნით ექსპერტიზა უნდა გაიაროს კომისიასთან შექმნილ მუდმივმოქმედ ქვეკომისიაში. ლიცენზიის მაძიებელი კონკურსზე დაიშვება ქვეკომისიის დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში.

4. კომისია არ მიიღებს წარმოებაში ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ, თუ მის მიერ არასრულყოფილადაა წარმოდგენილი ამ გადაწყვეტილების მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული მონაცემები და დოკუმენტაცია, რის თაობაზეც ლიცენზიის მაძიებელს განემარტება განცხადების წარდგენისთანავე. დაუშვებელია კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადებისა და დოკუმენტაციის კომისიისათვის საფოსტო გზავნილების სახით მიწოდება. კონკურსის ჩატარების დროს სავალდებულოა ლიცენზიის მაძიებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის დასწრება;

5. ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის მიღება, "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის 452 და 362 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ეკრძალება:

ა) უცხო ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს და მის წარმომადგენლებს;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეს, მოქალაქეობის არმქონე პირს და მათ წარმომადგენლებს;

გ) უცხოეთის კანონმდებლობის მიხედვით რეგისტრირებულ პირს, მის წარმომადგენლობებსა და ფილიალებს;

დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომლის საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტი ეკუთვნის ამ პუნქტის "ბ"-"გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სუბიექტს.

ე) პირს, რომელიც კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში სიხშირული რესურსის საერთო მოცულობის 50%-ის ან მეტის მფლობელი გახდება ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრულ კონკრეტულ სამაუწყებლო ზონაში.

6. კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება შემდეგი ასპექტების მიხედვით:

ა) ტექნიკური;

ბ) ფინანსური;

გ) პროგრამირების.

7. ტექნიკური ასპექტის შეფასებისას კომისია პრიორიტეტს ანიჭებს ლიცენზიის მაძიებლის მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების პირობას, აგრეთვე მის მიერ მაუწყებლობის პროცესში გამოყენებული ტექნიკური საშუალებების ევროპულ ჰარმონიზებულ სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხს.

ტექნიკური ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 1 ქულა.

8. ფინანსური ასპექტი შეფასდეს წარმოდგენილი სამაუწყებლო საქმიანობის დოკუმენტალურად დასაბუთებული დაფინანსების გეგმის თანახმად, მიმდინარე და მომავალში საქმიანობის დაწყებისა და გაფართოების დაფინანსების წყაროების და მოცულობის მიხედვით, შემდეგი ჩამონათვალის შესაბამისად:

ა) საკუთარი წყაროები (მათ შორის უშუალოდ განხორციელებული საქმიანობიდან მისაღები სავარაუდო შემოსავლები);

ბ) სესხები;

გ) სუბსიდიები, გრანტები და სპონსორული დაფინანსება;

დ) საინვესტიციო ვალდებულებები;

ფინანსური ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 2 ქულა;

9. პროგრამირების ასპექტი შეფასდეს წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციის კომისიის მიერ დადგენილ ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტებთან შესაბამისობის, ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ოდენობის, აგრეთვე სამაუწყებლო ზონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის (მომხმარებლების) მრავალფეროვანი ინტერესების გათვალისწინებით. პროგრამირების ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 3 ქულა.

10. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის "დ", "ე", "ვ", "ზ" ქვეპუნქტით, მე-3 პუნქტის „დ„ და „ე„ ქვეპუნქტებით, მე-8 და მე-9 პუნქტების მოთხოვნების ამსახველი მასალები უნდა წარმოადგინოს ბიზნეს-გეგმის სახით, რომელსაც თან უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

11. გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია - ტექნიკური, ფინანსური და პროგრამირების ასპექტების მიხედვით დაგროვილი ქულების მაქსიმალური რაოდენობა.

12. კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება კომისიის სხდომაზე. კომისიის სხდომაზე დგინდება საჭირო დოკუმენტაციის არსებობა და კონკურსის პირობებთან შესაბამისობა. კონკურსში მონაწილეობისთვის არ დაიშვება ის პირი, რომელსაც არასრულად აქვს წარმოდგენილი დოკუმენტაცია ან მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს ან კონკურსის პირობებს. სხდომის ოქმი, რომელსაც კონკურსის დამთავრების შემდეგ ხელს აწერენ საკონკურსო სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი, მოწმდება კომისიის ბეჭდით.

13. თუ კონკურსის ორი ან მეტი მონაწილის ქულების ოდენობა თანაბარია, კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ„ საქართველოს კანონის 455 მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, შემდეგი წესით:

ა) საკონკურსო სხდომის თავმჯდომარის მიერ ხდება სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის დაფიქსირება და თანხის იმ მინიმალური ოდენობის გამოცხადება, რომელიც უნდა დაემატოს კონკურსის მსვლელობისას ბოლო მაქსიმალურ განაცხადში დაფიქსირებული თანხის ოდენობას (საკონკურსო ბიჯი), რომელიც შეადგენს სალიცენზიო გადასახდელის 5 პროცენტს დამრგვალებულს მთელ რიცხვამდე. საკონკურსო ბიჯი უცვლელია. იგი ჯერადად უნდა დაემატოს კონკურსის მსვლელობისას ბოლო მაქსიმალურ განაცხადში დაფიქსირებულ თანხის ოდენობას;

ბ) კონკურსის მონაწილის მიერ კონკურსის დაწყებისას დაფიქსირებული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს ნაკლები სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობისა და საკონკურსო ბიჯის ჯამისა;

გ) ყოველი მომდევნო მონაწილის მიერ თანხის დაფიქსირება ხდება წინა მონაწილის მიერ თანხის დაფიქსირების შემდგომ საკონკურსო ბიჯის დამატებით. კონკურსის მონაწილეს უფლება აქვს დააფიქსიროს საკონკურსო ბიჯზე მეტი თანხა;

დ) კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლება ის მონაწილე, რომელიც კონკურსის მსვლელობისას დააფიქსირებს გადასახდელი თანხის მაქსიმალურ ოდენობას;

ე) ყოველი მონაწილის მიერ დაფიქსირებული თანხა აისახება სხდომის ოქმში;

14. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ მიიღება კომისიის გადაწყვეტილება. კომისიის გადაწყვეტილების ასლი კონკურსის შედეგების შესახებ ეგზავნება კონკურსის ყველა მონაწილეს;

15. სალიცენზიო გადასახდელის ოდენობა ან სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა და გადახდის პირობები მითითებული უნდა იყოს კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებაში;

16. კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულისათვის ლიცენზიის გაცემის თაობაზე სალიცენზიო გადასახდელის ან სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 20%-ის კომისიის ანგარიშზე, ხოლო 10%-ის კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე თანხების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში. დარჩენილი ნაწილის გადახდა უნდა მოხდეს ლიცენზიის მოქმედების ვადის პირველი წლის გასვლიდან მომდევნო ცხრა წლის განმავლობაში თანაბარწილად ლიცენზიის მოქმედების ვადის ყოველი მომდევნო წლის პირველივე თვის განმავლობაში სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე, კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად;

17. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის პროცესში დაიცვას საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან/და შეთანხმებებით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი„, „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ„, „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ„, „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ„, „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ„, „რეკლამის შესახებ„ და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ„ საქართველოს კანონებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესები;

18. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის განხორციელების პროცესში უზრუნველყოს მისთვის ლიცენზიით განსაზღვრული სამაუწყებლო ზონ(ებ)ის სრულად დაფარვა ლიცენზიით განსაზღვრულ ვადაში, საკუთარი სამაუწყებლო ქსელის შექმნის ან სხვა პირის ტექნიკური საშუალებების სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე გამოყენების გზით;

19. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია კომისიას მოთხოვნისთანავე წარუდგინოს მაუწყებლობის პროცესში ტელერადიოპროგრამის გავრცელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

20. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის დაწყების შემდეგ კვირაში ერთხელ კომისიას მიაწოდოს და გამოაქვეყნოს ყოველი მომდევნო კვირის სამაუწყებლო ბადე.

21. კონკურსის საფუძველზე ლიცენზიის მიღებისას კონკურსის პირობები და ლიცენზიის მაძიებლის მიერ კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნული პირობები აისახება კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიის განსაკუთრებულ პირობებში, როგორც ტელერადიომაუწყებლობის ოპერატორის ვალდებულებები.

22. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საოლქო სასამართლოში (ქ. თბილისი, რობაქიძის გამზ. 7ა) 6 თვის ვადაში;

# საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

## აცხადებს კომერციულ კონკურსს

## კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად

"კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის 362 მუხლის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") კოდის გამოყენებით საერთაშორისო და საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირით საქმიანობაზე ლიცენზიის გასაცემად კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კონკურსის გამოცხადების საფუძვლების - თავისუფალი რესურსის არსებობის და/ან ლიცენზიის მაძიებლის მიერ კომისიისათვის შესაბამისი განცხადების წარდგენის შემთხვევაში.

კომისია აღნიშნავს, რომ კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ განაცხადით მიმართა შპს "გეკვანტმა" (26.11.2004 №2/04 წ.). ამასთან, კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურების განსახორციელებლად არსებობს შემდეგი თავისუფალი ნუმერაციის რესურსი: 8-61, 8-63, "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის 362-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისიამ

**გადაწყვიტა:**

1. გამოცხადდეს კომერციული კონკურსი (შემდგომში "კონკურსი") კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად;

2. კონკურსში გამარჯვებული საერთაშორისო სატელეფონო კავშირის განსახორციელებლად ირჩევს კოდს შემდეგი ნუმერაციის რესურსიდან: 8-61, 8-63;

3. ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება მოხდეს 2005 წლის 13 იანვრის 17:00 საათამდე;

4. სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა განისაზღვროს 32684 (ოცდათორმეტი ათას ექვსას ოთხმოცდა ოთხი) ლარით;

5. კონკურსის ჩატარების თარიღად გამოცხადდეს 2005 წლის 11 თებერვალი 13:00 საათი;

6. კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი განცხადებით მიმართავს კომისიას, რომელსიც მითითებული უნდა იყოს:

ა) ინდივიდუალური მეწარმისათვის - სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების მისამართები;

ბ) იურიდიული პირისათვის - საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი), სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი;

გ) ლიცენზიის სახე, რომლის მიღებასაც მოითხოვს ინდივიდუალური მეწარმე ან იურიდიული პირი.

7. ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე:

**-ბანკი: სააქციო კომერციული ბანკი "თი-ბი-სი";**

**-ა/ანგარიში: 609326;**

**-კოდი: 220101830;**

**-საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050;**

ლიცენზიის მიუღებლობის შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს უბრუნდება აღნიშნული თანხა, საბანკო მომსახურების ხარჯების გამოკლებით, კომისიისთვის წერილობითი განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დარჩენილი თანხა გადაიხადოს კონკურსის პირობების შესაბამისად.

გ) განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკური პროექტი;

8. კონკურსის პირობები არ ითვალისწინებს ინვესტიციის განხორციელების ვალდებულებას;

9. გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია - მაქსიმალური სალიცენზიო გადასახდელის გადახდა, რომლის შეთავაზება მოხდება ლიცენზიის მაძიებლის მიერ კონკურსის ჩატარების დროს;

10. კონკურსის ჩატარების დროს ლიცენზიის მაძიებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის დასწრება სავალდებულოა;

11. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საოლქო სასამართლოში (ქ. თბილისი რობაქიძის გამზ. 7ა) 6 თვის ვადაში;

ნინო ცინცაძის სვეტი

## ქართულ "საექსპერტო ბაზარს" კიდევ ერთი დამოუკიდებელი ექსპერტი ემატება!

"ჩვენ უნდა დაგვამსგავსონ ამერიკელ ხალხს, რომლებმაც არ იციან, რა არის ქალიშვილობის, ბიძაშვილობის და მამიდაშვილობის ინსტიტუტი," - ეს სიტყვები საქართველოს დედაქალაქში, თბილისის შუაგულში, ცოდნის თეთრ ტაძარში, ჩვენს დედაუნივერსიტეტში, დღისით-მზისით ახალგაზრდა, მშვენიერი გარეგნობის სტუდენტმა გოგონამ ხმამაღლა წარმოთქვა. ამ გოგონამ რამდენიმე წელიწადში დიპლომი უნდა აიღოს და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროფესიონალი უნდა გახდეს. მას, წესით, უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობის და მათთან თანამშრომლობის არ უნდა ეშინოდეს. ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც ცნობილია, სწორედ ასეთია ჩვენი სახელმწიფო სტრატეგია ამ საკითხთან დაკავშირებით. ასევე, კარგად არის ცნობილი, რომ ჩვენს სახელმწიფოს სხვა სტრატეგიებიც აქვს: კერძოდ, ევროინტეგრაცია, ნატო-ში გაერთიანება და ა.შ. შესაბამისად, ჩვენ - საქართველოს მოქალაქეები, თუ ამ სტრატეგიას ვეთანხმებით და მოგვწონს, მაშინ ევროპის, ამერიკის და, საერთოდაც, ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის მიმართ თავს გახსნილად და კომფორტულად უნდა ვგრძნობდეთ. მაგრამ, არის კი ეს ასე? თუ ეს ასეა, მაშინ საიდან ასეთი ფობიები? რატომ უმოწმებენ ჩვენს საზოგადოებაში ასე ისტერიულად სოროსს კუდს და ჩლიქებს? რატომ მიიჩნევა ნატო სატანისტურ ორგანიზაციად? რატომ ფიქრობს ბევრი, რომ "პროქტერ ენდ გემბელის" პროდუქციაზე დადებული შტრიხ-კოდები სატანის ნიშანია? რატომ არის გათვითცნობიერებული ნებისმიერი ტაქსის მძღოლი "მასონთა ლოჟის საქმიანობაში"? რატომ ჰგონიათ უნივერსიტეტის სტუდენტებს პირამიდები ეშმაკის აშენებული? რატომ?... იმიტომ, რომ მათ ასე ასწავლეს, ასე უთხრეს, ან ასე უქადაგეს. ასე ასწავლეს სკოლაში, ასე მოისმინეს საპატრიარქოს რადიოში, ასე წაიკითხეს მართლმადიდებლურ ჟურნალ-გაზეთებში, ასე იქადაგეს შეზარხოშებულმა მღვდლებმა ეკლესიების ამბიონებიდან. ნურავინ შემომედავება - საკუთარი თვალით წამიკითხავს და საკუთარი ყურით მომისმენია; ასევე, საკუთარი ყურით მომისმენია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიზანტინისტიკის კურსი, რომლის 80 პროცენტი სომხებისა და ებრაელების გინებას და მასონთა ლოჟის შეთქმულების გამოაშკარავებას ეთმობოდა. უნივერსიტეტში ამ კურსს საპატრიარქოსთან დაახლოებული ერთ-ერთი ქალბატონი დღემდე კითხულობს. მისი მსგავსები ჩვენს საამაყო სასწავლებელში კიდევ ბევრნი არიან. ეს, უკვე მრავალი წელია, ხდება. ხმას კი არავინ იღებს, რადგან ეს თემა დახურულია. დახურულია, რადგან ჩვენს სახელმწიფოში, ოფიციალური კურსის პარალელურად, სხვა მიმართულებაც არსებობს, რომელიც ჩვენს ქვეყანას ზუსტად საპირისპირო მიმართულებით მიექაჩება. მთვარობამ კი რა ქნას? იმისათვის, რომ მან სახელმწიფოს მიერ არჩეული კურსი წარმატებით განახორციელოს, ხალხის ხმები და ხალხის მხარდაჭერა სჭირდება. ხალხს კი, როგორც ჩანს, სულ სხვა იდეალები აქვს და სულ სხვა რამ უნდა. იქნებ დროა, დავსვათ შეკითხვა, ვინ კვებავს ამ ხალხს ასე ძალუმად ამ იდეალებით? პასუხი, სამწუხაროდ, ერთია - ჩვენს მოქალაქეებს საპატრიარქოში, საპატრიარქოს რადიოსა და ჟურნალ-გაზეთებში და ზოგიერთ ეკლესიაში მოკალათებული ფანატიკოსები ასულელებენ. მთავრობამ კი რა ქნას? მას ყოველთვის სჭირდებოდა და სჭირდება ხმები. ასე იყო ზვიადის დროს, ასე იყო შევარდნაძის დროს, ასეა ახლაც. თუმცა, ბოლო ორი წელიწადია, მთლად ასე მაინც არ არის. მართალია, მთავრობაში, ამ მხრივ, არაფერი შეცვლილა, მაგრამ ცვლილება საზოგადოებაში მოხდა. საზოგადოებაში გაჩნდა კითხვები. ეს კითხვები, ერთი შეხედვით, ძალიან მარტივია. თითქოს, მათზე პასუხის გაცემა საქართველოს საპატრიარქოს არ უნდა უჭირდეს, ამას სიამოვნებით უნდა აკეთებდეს და ამით კიდევ უფრო მეტი ადამიანის ნდობასა და მხარდაჭერას უნდა მოიპოვებდეს. მაგრამ, ეს რატომღაც ასე მაინც არ არის.

თურმე, თუ მღვდელს და მის მრევლს გაუჩნდება შეკითხვა, ვინ არის დამნაშავე ხაშმის ეკლესიის დაგირავებაში და ვინ უნდა აგოს ამაზე პასუხი, ეს თავხედური კამპანიაა და ამ კითხვის დამსმელი უნდა დაისაჯოს. თურმე, თუ რომელიმე სასულიერო პირი სიმართლეს იტყვის და საჯაროდ განაცხადებს, რომ, ეკუმენური მოძრაობიდან გამოსვლისა და ეკლესიის მიერ ამ ბოლო წლებში წარმოებული კარჩაკეტილი პოლიტიკის გამო, არა მხოლოდ სხვების, არამედ თავად მართლმადიდებლური სამყაროს - რუმინული, სერბული, ბერძნული და სხვა ეკლესიების დასაცინი გავხდით, ეს თავხედური კამპანიაა და ამის მთქმელს მღვდელთმსახურება უნდა აეკრძალოს. თურმე, თუ სტუდენტები ხმამაღლა განაცხადებენ, რომ მათ სასულიერო აკადემიაში "ახალ აღთქმაში" ლექცია წელიწადში ორჯერ უტარდებათ ხოლმე, ეს თავხედური კამპანიაა და ამის განმცხადებლებმა სასტიკი საყვედური უნდა დაიმსახურონ.

როგორც გუშინ ბატონი გიორგი ანდრიაძისგან გავიგე, ეს თავხედური კამპანია, თურმე, ბოლო ერთი წელიწადია, მიმდინარეობს. ბატონ გიორგის მეტის მოთმენა აღარ შეუძლია - იგი საპატრიარქოს საპარლამენტო მდივნისა და საპატრიარქოს რადიოს გენერალური დირექტორის პოსტს ტოვებს და მალე დამოუკიდებელ ექსპერტად მოგვევლინება, რათა ამ თავხედურ კამპანიას საკადრისი პასუხი გაეცეს, თანაც - რაც მთავარია, ნებისმიერი ფორმით. პირველ რიგში, გუშინვე მათ სიონის წინ უმაღლესებიდან იმ ყაიდის სტუდენტები შეკრიბეს, რომლებიც რამდენიმე წლის წინ პარლამენტთან ყვიროდნენ, - ძირს ქართველი კათოლიკეებიო, - და სახელმწიფოს ვატიკანთან ხელშეკრულება არ დაადებინეს. შემდეგ, ალბათ, სხვა ფორმებს გამონახავენ. თუმცა, ეს ბატონი ანდრიაძისა და მისი თანამოაზრეებისაგან გასაკვირი არ უნდა იყოს. თავის დროზე, მკალავიშვილის დაჭერისას სწორედ ბატონი ანდრიაძე ახმოვანებდა საპატრიარქოს პოზიციას - კი ბატონო, მკალავიშვილი დაიჭირეთ, მაგრამ, ნურც სხვებს (ანუ იეღოველებს) დაივიწყებთო. მაგრამ ანდრიაძის გუშინდელ განცხადებაში სულ სხვა რამაა საინტერესო: ის, რითიც დავიწყეთ - თურმე, ეს "თავხედური კამპანია", ერთი წელიწადია, მიმდინარეობს. რატომ გვატყუებს ბატონი აწ უკვე ყოფილი საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანი? თუ იგი ამ "თავხედურ კამპანიაში" ეკლესიის თემებზე ტაბუს მოხსნას გულისხმობს, ეს ერთ წელიწადზე უფრო ადრე მოხდა - თითქმის, ორი წელიწადია; ხოლო თუ ამ საკითხებისადმი განსაკუთრებულ მედია-ინტერესს გულისხმობს, ეს, სულ რაღაც, ერთი თვის ამბავია. განსაკუთრებული დაინტერესება 8 ნოემბერს ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ სტუდენტთა წერილს მოჰყვა. რაში დასჭირდა ბატონ ანდრიაძეს "ერთი წელიწადი"? რა მესიჯს უგზავნიდა იგი ამით საზოგადოებას? ამას დიდი დაფიქრება არ სჭირდება: *ერთი წელია, რაც მთავრობა შეიცვალა და აი, ამის მერე აირია მონასტერი*. რა ხდება? ამ გზით ცდილობენ, ბრალი დასდონ მთავრობას, თუ ამ ხერხით ბატონი ანდრიაძე თავის საქმეს იკეთებს? ამ შემთხვევაში, პასუხი მთლად მარტივი არ არის. ერთი მხრივ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დღევანდელი მთავრობა ეკლესიაში მოკალათებულ გარკვეულ ჯგუფებს მცირე დისკომფორტს უქმნის. იგი ბევრ რამეში უფრო ქმედითუნარიანი და პრინციპულია - მაგალითად, დაიჭირა ბასილ მკალავიშვილი, უარი თქვა ხაშმის ფულის გადახდაზე და ა.შ. ასე რომ, გამორიცხული არც პირველი ვარიანტია, მაგრამ ძაღლის თავი სწორედ აქ გახლავთ დამარხული - მიუხედავად პირველი ვერსიის სავარაუდო სისწორისა, არც მეორე ვერსიის უარყოფა ივარგებს. საქმე ისაა, რომ ბატონი ანდრიაძის პოლიტიკურ ამბიციებზეც ბევრს საუბრობენ. ერთი რამ ცხადია, ძალიან ბევრი პოლიტიკური დაჯგუფება მოხარული იქნება, "თავისუფალი ექსპერტის" "თავისუფალი იდეები" გამოიყენოს. რწმენითა და მართლადიდებლობით სპეკულირება ხომ, როგორც დრო გვიჩვენებს, ყველა პარტიას ერთნაირად სჭირდება.



9 დეკემბერს სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა 21 წლის კახა იორდანიშვილი. იგი ღამის 11 საათსა და 15 წუთზე მეტროსადგურ "ვარკეთილის" მოპირდაპირე მხარეს დაშორდა მეგობარს და შემდეგ აღარავის უნახავს. თუ ვინმემ რამე იცის დაკარგული კახა იორდანაშვილის შესახებ, გთხოვთ, დარეკოთ ტელეფონის ნომერზე - 899-25-83-91, 66-40-68 (ალექსი იორდანიშვილი).

# "საქართველოს ეკლესია მარტო არ არის"

თამარ მაისურაძე

*საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანმა გიორგი ანდრიაძემ თანამდებობა დატოვა. ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის 11-წლიანი "შუამავლობის" შემდეგ იგი - დღეს უკვე საპატრიარქოს რადიოს ყოფილი ხელმძღვანელიც, აცხადებს, რომ იმ იაფფასიან, სამარცხვინო პროვოკაციებს, რაც ბოლო პერიოდში საპატრიარქოს მისამართით ისმის, პასუხი უნდა გაეცეს და უერთდება იმ რიგით მოქალაქეებს, რომლებიც მართლმადიდებელი ეკლესიის დასაცავად გამოდიან.*



იური ლობოდინის ფოტო

*"კიდევ ერთხელ ვაფიქსირებთ, რომ მართლმადიდებლები ვართ, გვიყვარს ეს სარწმუნოება და არავის მივცემთ მისი შეურაცხყოფის უფლებას," - ასეთი იყო აქციის მონაწილეთა განწყობა.*

იმ მსვლელობის მონაწილეები, რომელიც გუშინ საღამოს წმინდა ბარბარეს ხსენების დღეს სიონის საკათედრო ტაძარს სანთლებით ხელში უვლიდნენ წრეს, მშვიდად განმარტავდნენ, რომ ეს აქცია ქართული ეკლესიისა და საპატრიარქოს დასაცავად მოეწყო. "ცოცხალ კედელს" შეუერთდა საპატრიარქოს ყოფილი მდივანიც, რომელმაც თქვა, რომ იგი თანამოაზრეებთან მოვიდა, რათა იმ მრავალრიცხოვანი საზოგადოების გვერდით დადგეს, რომელიც მხარს უჭერს ეკლესიას.

**"გარკვეული ჯგუფების მიერ, ბოლო თვეების განმავლობაში მიზანმიმართულად ხორციელდებოდა მრავალსაუკუნოვან ტრადიციებზე აგებული ქართული სახელმწიფოებრიობის შეურაცხყოფა. გარკვეული პირები ცდილობდნენ, საპატრიარქოში მიმდინარე მოვლენები პოლიტიკურ ჭრილში განეხილათ, რაც ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია. საპატრიარქოს შიდა საქმეებში ჩარევა არ შეიძლება, ამას აღარ დავუშვებთ და შესაბამისი პასუხი გაეცემა ყველა იმ ჯგუფს, რომელიც საპატრიარქოს შეურაცხყოფას მოინდომებს,"** - განაცხადა მან.

მღვდელმსახურებააკრძალული ბასილ კობახიძის ბრალდებებს ანდრიაძე მორიგ იაფფასიან პროვოკაციას უწოდებს და მოუწოდებს, როცა ეკლესიისა და რუსული სპეც-სამსახურების თანამშრომლობაზე საუბრობს, კონკრეტული პირები დაასახელოს და საქმე ბოლომდე მიიყვანოს. **"წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი დამნაშავე გამოდის. საქმე ისაა, რომ განათლებით იურისტმა კობახიძემ კარგად იცის, საქმის აღძვრის შემთხვევაში, მას საკადრისი პასუხი გაეცემა. ამდენად, ამ საკითხით ასე მანიპულირებას არჩევს,"** - ამბობს ანდრიაძე.

სიონის საკათედრო ტაძართან შეკრებილი თბილისის სახელმწიფო უნივერისიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სასულიერო სემინარიისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, სიონის მრევლი მიიჩნევდა, რომ თავიანთი აქციით კიდევ ერთხელ, ამჯერად ხმამაღლა გამოხატეს საქართველოს მოქალაქეთა 83,9 პროცენტის - მართლმადიდებელი ქრისტიანების აზრი, რომ **"საქართველოს ეკლესია მარტო არ არის".**

**"კიდევ ერთხელ ვაფიქსირებთ, რომ მართლმადიდებლები ვართ, გვიყვარს ეს სარწმუნოება და არავის მივცემთ მისი შეურაცხყოფის უფლებას,"** - გვითხრა აქციის მონაწილე ვაჟა ძიძიგურმა.

# ვინ გირჩია

*ოცნებას კაცი არ მოუკლავს. წარმოვიდგინე, ქვეყნის პირველი პირი თავის ნაზირ-ვეზირებს ეთათბირება - ისინი საახალწლო შოუს შესახებ მსჯელობენ. პრეზიდენტის მრჩევლებიდან ორი წინა პრეზიდენტსაც არიგებდა ჭკუას, ამ ორიდან ერთი კი საქართველოს პირველ პრეზიდენტსაც კვებავდა საჭირო რჩევა-დარიგებებით. უცებ დგება რომელიმე მათგანი და მოკრძალებულად ახსენებს, რომ ახლა პომპეზური სანახაობების დრო არ არის. იმასაც დასძენს, რომ თუ არჩევანი პურსა და სანახაობას შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ კეთდება, ციგურებით სრიალი მთლად კარგი იდეა არ უნდა იყოს. ეს, რასაკვირველია, ჩემი ფანტაზიის ნაყოფია, რეალობა კი ისაა, რომ ან პრეზიდენტს არავინ არიგებს ჭკუას, ან არიგებენ, მაგრამ ქვეყნის პირველი პირი მათ რჩევებს ერთი ყურიდან მეორეში უშვებს.*

სოფიო თოდუა

ხელისუფლება გვპირდება, თუ კარგად მოვიქცევით, ინგლისიდან ყინულის საფარს ჩამოგვიტანენ და 31 დეკემბერს მშფოთვარე მოგონებებით აღსავსე გასულ წელს სულ სრიალ-სრიალით გავაცილებთ. გული კი მიკვდება, ამ ღირსშესანიშნავი სანახაობით პატივაყრილი თუ ექსორიაქმნილი ოქიტაშვილი რომ ველარ მოიწონებს თავს, მაგრმა არა უშავს - ახლა "ისთერნ პრომოუშენის" დროა. ქართული შოუბიზნესის ეს ყველაზე გემოვნებიანი კომპანია კი გერმანულ "ლაზერ-შოუს", ინგლისურ "ყინულის კოქტეილს" და ქართულ ვინეგრეტს გვთავაზობს, რომლის მთავარი ინგრედიენტი ფოლკლორული თეატრი "ნაბადია". ინგლისელები ყინულზე ისრიალებენ, გერმანელები ინგლისელებს გაანათებენ, ქართველები რასაც გააკეთებენ, ისედაც გასაგებია. ეს ყველაფერი ძალიან კარგი, მაგრამ როცა ირგვლივ ამდენ გაჭირვებულს უყურებ, ხელისუფლება კი ამ დროს ჩვენი ყოფისთვის სრულიად შეუფერებელი ფუფუნებით იწონებს თავს, გინდა არ გინდა, ადგილობრივი მემერცხენეები გაგონდება.

თუ შეიძლება გვაღიზიანებდეს სამების ტაძრის მასშტაბები მის მრავალრიცხოვან კარიბჭეებთან ჩამწკრივებული მათხოვრების ფონზე; თუ შეიძლება სასაცილოდ გვეჩვენებოდეს თბილისობის რეანიმაცია და მწვადის ჰამბურგერით ჩანაცვლებაზეც ვხალისობდეთ; თუ შეიძლება ევროპასთან დაახლოების საუკეთესო საშუალებად საათების გადაწევა-გადმოწევა სიბრიყვედ მიგვაჩნდეს, პომპეზური შოუების გამართვას ორი-სამი თვის ინტერვალით განსაკუთრებული აღტყინებით რატომღა უნდა ვეგებებოდეთ? იქნებ ვინმე ჩვენც დაგვეკითხოს - გვიღირს კი ამ ფასად თავისუფლების მოედანზე ციგურებით სრიალი? ფასს რაც შეეხება: შოუს ორგანიზატორები ირწმუნებიან, რომ სინთეტური ყინულის დაგება მერიის წინ, ინგლისური დასის ჩამოყვანა, გერმანული განათების დამონტაჟება და ქართველი ვარსკვლავების, უკაცრავად, სუპერვარსკვლავების, ჰონორარები სახელმწიფოს 326 000 ლარი დაუჯდება, დანარჩენს "ისტრნ პრომოუშენის" ტრადიციული სპონსორები - "კოკა-კოლა" და "ნესკაფე" გაიღებენ. რამდენს გადაიხდის თითოეული მათგანი, რა ჩვენი საქმეა, ჩვენ ის 326 ათასი მოვიკითხოთ, ხელფასებიდან რომ დაგვექვითება. არც თუ დიდი ხნის წინათ, როგორც კი ერთი ენერგიული რეჟისორი ქალბატონი თაეტრალური ფესტივალის ჩასატარებელ სანქციას შევარდნაძეს გამოსტყუებდა, გარეთ ვაი-უშველებელი ტყდებოდა ხოლმე. დავიჯერო, ჩვენი მდგომარეობა ამ ერთი წლის განმავლობაში ასე საგრძნობლად გაუმჯობესდა?

წარმომიდგენია, როგორ ეამაყებათ ფრანგებს წლეულს ეიფელის კოშკის ქვეშ საციგურაო მოედანი რომ გამართეს. მაგრამ ასე მგონია, საფრანგეთის პრეზიდენტმა და პარიზის მერმა არც იციან, ხელფასების გაყინვაც თუ შეიძლება. როგორც ყოველთვის, ხელისუფლება თავისუფლების მოედანზე თავმოყრილი ახალგაზრდებისკენ გაიშვერს ხელს. 31 დეკემბერს მართლა ბევრი ხალხი გავა თბილისის ქუჩებში, მაგრამ, უკაცრავად პასუხია და, რომელიმე ცნობილი სახე მოშიშვლებულ უკანალს თუ დაგვანახებს, აი, მერე ნახეთ ზედახორა თავისუფლების მოედანზე! შარშანდელი საახალწლო შოუსაგან განსხვავებით, წლევანდელი სანახაობა შეიძლება კარგი გამოვიდეს, ოღონდ არა მათთვის, ვინც წლეულსაც ისეთივე შეჭირვებული ეგებება ახალ წელს, როგორც შარშან, შარშანწინ, იმის წინ... სამწუხაროდ, ისინი ძალიან ბევრნი არიან. რაც შეეხება ხალხის თავყრილობას, ბევრი ხალხი გასახსენებლად ნაკლებად სასაიამოვნო მოვლენების დროსაც გვინახავს: მაგალითად, პენსიონერები შემნახველ სალაროებთან, მრავალშვილიანი დედები მერიასთან, მიწისძვრით დაზარალებულები გამგეობებთან და ყველა ერთად - პარლამენტის წინ. მაგრამ დღევანდელ ხელისუფლებას, როგორც ჩანს, ამნეზია დაემართა. ვეღარ იხსენებს, რომ ვარდების რევოლუცია ერთი გროტესკული სანახაობა იქნებოდა, შევარდნაძის ხელისუფლებით უკმაყოფილება უპირველესად სოციალურ ფონს რომ არ განესაზღვრა. იმ დღეებში კი პარლამენტთან ისეთებიც გვინახავს (თანაც მრავლად), სხვა დროს უფულობის გამო თბილისის ცენტრამდე რომ ვერ მოაღწევდნენ.

ინგლისელები კი ხელს დაგვიქნევენ, თვითმფრინავის ტრაპიდან თავაზიანად გადმოგვძახებენ goodbay Georgia და მეორე დღესვე ყინულის საფარს თან წაიღებენ. კი, ბატონო, ვიცეკვოთ, ვიმღეროთ, ყინულზეც ვისრიალოთ, ოღონდ მერე ისე არ მოხდეს, ჩარლი ჩაპლინის ერთ ცნობილ პერსონაჟს რომ ემართება. მშიერ კუჭზე ეს ჩვენი წითელი ვარდები ქარქაშიდან ამოწვდილ ხმლებად არ მოგვეჩვენოს. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ რევოლუციამ იმედები საბოლოოდ გადამიწურა, უბრალოდ ხმალი ბოლო დროს მეტად საშიში მეტაფორა გახდა, სულ ესაა და ეს.

# შრომის ბაზარი და საგარეო ვაჭრობა საქართველოში

*გუშინ სტატისტიკის დეპარტამენტში ორი სტატისტიკური კრებულის პრეზენტაცია შედგა. აქედან ერთ-ერთი - "შრომის ბაზარი საქართველოში 1998-2003 წლებში", პირველად გამოვიდა საქართველოში. მასში ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ქვეყანაში შრომის ბაზრის ჩამოყალიბების პროცესი და არსებული მდგომარეობაა აღწერილი. მეორე კრებული 2000-2003 წლებში საქართველოს საგარეო ვაჭრობის ტენდენციებს ასახავს.*

თამარ დვალი

"შრომის ბაზარი საქართველოში 1998-2003 წლებში" წელს პირველად გამოვიდა. მისი მომზადება დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის დახმარებით მოხერხდა. კრებულში გამოყენებულია შრომის ბაზრის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების ყველა წყარო: მოსახლეობის საყოველთაო აღწერები; საწარმოების, ორგანიზაციებისა და შინამეურნეობების შერჩევითი კვლევები; ადმინისტრაციული რეგისტრები და სხვა.

2002 წლის სტატისტიკური მონაცემებით, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის წილმა საქართველოში 64 პროცენტი შეადგინა. მოსახლეობიდან ყოველი მეხუთე შრომისუნარიან ასაკზე უმცროსია. საქართველოს 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის ორი მესამედი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობაა. აღსანიშნავია, რომ ამ კატეგორიის ადამიანების 21 პროცენტი დედაქალაქში ცხოვრობს. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საშუალო ასაკი კი 44 წელს შეადგენს.

დასაქმებულთაგან ნახევარზე მეტი სოფლის მეურნეობაშია, 34 პროცენტი დაქირავებული შრომითაა დასაქმებული; თითქმის, ყოველი მეორე ქალია და მეოთხედზე მეტი - უმაღლესი განათლებით.

1998-2003 წლებში 20 წლამდე ასაკის დასაქმებულ ახალგაზრდათა რაოდენობა 1,4 -ჯერ შემცირდა. სამაგიეროდ, 10,3 პროცენტით გაიზარდა 65 წელზე უხნესი დასაქმებულების რაოდენობა. უმუშევრობის დონემ, რომელიც, ფაქტობრივად, თანაბარია მამაკაცებსა და ქალებს შორის, 2003 წელს 11,5 პროცენტი შეადგინა. უმუშევრების საშუალო ასაკი 36 წელია.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერით, მოსახლეობის მხოლოდ 12,6 პროცენტს ჰქონდა ხელფასი ან სხვა რეგულარული ანაზღაურება; აქედან 18 პროცენტი ქალაქად მაცხოვრებლებზე მოდიოდა, 6,7 პროცენტს კი სოფლის მოსახლეობა შეადგენდა.

სტატისტიკური მონაცემებით, საგრძნობლად იკლო შობადობამ. ოთხსულიანი ოჯახი საქართველოში სტანდარტულ ნორმად იქცა.

რაც შეეხება საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვას, 2003 წელს, 2000-თან შედარებით, ზრდის ტემპმა 55,5 პროცენტი შეადგინა; მათ შორის - ექსპორტი 43,6 პროცენტით, ხოლო იმპორტი 60,9 პროცენტით გაიზარდა. ამ პერიოდში გაიზარდა საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული არეალიც, თუმცა იმპორტშიც და ექსპორტშიც საქართველოს უმნიშვნელოვანეს პარტნიორებად მეზობელი რუსეთი, აზერბაიჯანი და თურქეთი რჩებიან.

საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი საიმპორტო პროდუქცია ისევ ნავთობი და ნავთობპროდუქტებია, რომლის 74 პროცენტი აზერბაიჯანიდან შემოდის; აგრეთვე, ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადი, რომლის 91,7 პროცენტი რუსეთიდან არის იმპორტირებული. შემდეგი პოზიცია უჭირავს დაფასოებულ სამკურნალო საშუალებებს. მათი იმპორტი საკმაოდ სტაბილურია. ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით გაიზარდა შავი ლითონის მილებისა და მილაკების იმპორტი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოდან. მნიშვნელოვანი წილი უკავია მსუბუქი ავტომობილების იმპორტსაც. სურსათისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან იმპორტში პირველ ადგილზეა შაქარი. საიმპორტო საქონლის ათეულში მოხვდნენ, ასევე - ხორბალი, თამბაქოს ნაწარმი და ელექტროენერგია.

2000-2003 წლებში ექსპორტში კვლავ ჭარბობს ნედლეული და ბუნებრივი რესურსები. ამ წლების განმავლობაში უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფი იყო "შავი ლითონების ნარჩენები და ჯართი". აღსანიშნავია, რომ შავი ლითონების ჯართის 82, 92 პროცენტი თურქეთის რესპუბლიკაში გადის. ექსპორტის შემდეგი სასაქონლო ჯგუფია ყურძნის ნატურალური ღვინოები, რომლის წილიც ექსპორტის მთლიან მოცულობაში 9, 10 პროცენტს შეადგენს. მოცულობით მესამე ადგილზეა "საფრენი აპარატები", რომელსაც ექსპორტის მოცულობაში ყველაზე დიდი წილი 2002 წელს ეკავა. აღსანიშნავია, რომ სწორედ შაქრისა და საფრენი აპარატების ექსპორტით ხდება თურქმენეთის ვალის დაფარვა.

ერთ კვირაში საზოგადოებას შესაძლებლობა ექნება, კიდევ ერთ ახალ კრებულს გაეცნოს. ეს კრებული საქართველოში სოციალური ტენდენციების შესახებ მოგაწვდით ინფორმაციას.

# ირაკლი როსტომაშვილის თანამდებობრივი მემკვიდრეობა

სოფიკო ჩხაიძე

*სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ირაკლი როსტომაშვილი დედაქალაქის რიგით მეოთხე ყოფილი მთავარი არქიტექტორია, რომლის მიმართაც სამართალდამცველებს პრეტენზიები გაუჩნდათ, თუმცა, გუშინ მას წინამორბედთა ბედი არ გაუზიარებია და, მართალია, ეჭვმიტანილის სტატუსით, მაგრამ მაინც დატოვა თბილისის პროკურატურის შენობა.*



*ირაკლი როსტომაშვილმა, მართალია, თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ეჭვმიტანილის სტატუსით, მაგრამ მაინც უპრობლემოდ დატოვა დედაქალაქის პროკურატურა.*

ჯერ თბილისის მთავარი არქიტექტორის, არც ისე დიდი ხნის წინათ კი სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშნული ირაკლი როსტომაშვილი ძნელად თუ იფიქრებდა, რომ მეტად მძიმე თანამდებობრივი მემკვიდრეობა ერგო. როგორც ერთ, ისე მეორე თანამდებობაზე მისი წინამორბედები სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მიცემული, იგივე ბედი ემუქრება ირაკლი როსტომაშვილსაც. თბილისის სამმა ყოფილმა მთავარმა არქიტექტორმა: დავით ახვლედიანმა, მამუკა ჩხაიძემ და ირაკლი ლოლაშვილმა სხვადასხვა მშენებლობებზე უკანონო ნებართვების გაცემისთვის უკვე აგეს პასუხი საკმაოდ მსხვილი თანხის გადახდით, აი, სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ყოფილი უფროსის ირაკლი ანდრიაძის საქმე უფრო რთულად არის - იგი დღემდე წინასწარ პატიმრობაშია. თუმცა, სავარაუდოდ, ირაკლი როსტომაშვილი, რომელსაც გამოძიება სწორედ მთავარი არქიტექტორის თანამდებობაზე ყოფნისას უკანონო ნებართვების გაცემას ედავება, პატიმრობას თავს დააღწევს. ყოველ შემთხვევაში, გუშინ მან, მართალია, თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ეჭვმიტანილის სტატუსით, მაგრამ მაინც უპრობლემოდ დატოვა დედაქალაქის პროკურატურა. და მაინც, დედაქალაქის პროკურორმა გიორგი ღვინიაშვილმა, რომელმაც გუშინვე სპეციალური ბრიფინგი მიუძღვნა როსტომაშვილის ეჭვმიტანილად ცნობის ფაქტს, განაცხადა, რომ მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საკითხი, საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, 30 დღის ვადაში გადაწყდება.

როგორც გიორგი ღვინიაშვილმა განაცხადა, მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურატურაში უკვე რამდენიმე თვეა მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, თბილისის არქიტექტურის სამსახურში ხელმძღვანელი პირების მიერ 1996-2002 წლებში ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტების ირგვლივ. სწორედ ამ საქმის ძიების პროცესში მიეცნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში ჩხაიძე, ახვლედიანი და ლოლაშვილი. თავად როსტომაშვილი თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2002-2004 წლებში ხელმძღვანელობდა, რა დროსაც, ღვინიაშვილის თქმით, **"იგი გასცემდა ნებართვებს უკანონო მშენებლობებზე და სამსახურებრივ უფლებამოსილებას არაერთგზის გადაამეტა."**

გამოძიების პრეტენზიები რამდენიმე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე გაცემულ ნებართვებს უკავშირდება. საქმე ეხება ჭავჭავაძის N55, ჯანაშიას N28-ში, გამწვანების ზოლებში და სხვა აკრძალულ ადგილებში მრავალსართულიანი სახლების მშენებლობის ფაქტებს.

გიორგი ღვინიაშვილის თქმით: **"არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლების გარდა, ამ საქმესთან დაკავშირებით, გამოძიების შედეგად, სხვა თანამდებობის პირებიც მხილებული იქნებიან. რაც შეეხება უშუალოდ როსტომაშვილს, არ გამოვრიცხავთ, რომ აკრძალულ ადგილებში კიდევ არაერთი შენობა აღმოჩნდეს, რომლის მშენებლობაზე ნებართვა მთავარმა არქიტექტორმა გასცა. შესაბამისად, ეჭვმიტანილ ირაკლი როსტომაშვილისთვის ბრალის დამძიმებაც არ გამოირიცხება."**

პროკურატურის გამომძიებლებს თავდაღწეულმა როსტომაშვილმა განაცხადა, რომ იგი თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს, მისი ადვოკატის მამუკა ჭაბაშვილის თქმით კი, მისი დაცვის ქვეშ მყოფის დამნაშავედ გამოცხადება ჯერ ნაადრევია, რადგან სისხლის სამართლის საქმე არა როსტომაშვილის წინააღმდეგ, არამედ მხოლოდ მომხდარი ფაქტის გამოა აღძრული.

# ყაჩაღები მარტოხელა მოხუცებსაც არ ინდობენ

*კახეთის რეგიონში კრიმინალური ვითარება დღითიდღე იძაბება. ყაჩაღურ თავდასხმებს მკვლელობებიც ემატება. გუშინწინ საღამოს, თავდამსხმელმა სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის მკვიდრი, 64 წლის ნასყიდა ალავერდაშვილი მოკლა. ამ ფაქტის მიუხედავად, კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსი, თეიმურაზ ანჯაფარიძე ირწმუნება, რომ რეგიონში კრიმინალური ვითარება 80 პროცენტით გაუმჯობესდა და საგანგაშო არაფერი ხდება.*

ზვიად რუაძე
კახეთიდან

კახელი სამართალდამცველების დიდი მცდელობის მიუხედავად, რეგიონში კრიმინალური ვითარება მაინც იძაბება. ბოლო ერთი თვის განმავლობაში აქ ყაჩაღური თავდასხმების ათეულობით შემთხვევა დაფიქსირდა. მიუხედავად მძიმე კრიმინოგენული მდგომარეობისა, კახეთის მთავარი პოლიციელი თეიმურაზ ანჯაფარიძე ამბობს, რომ კახეთში დანაშაულის რაოდენობა ოთხმოცი პროცენტით შემცირდა. თუმცა, იგი აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ახალი წლის წინა დღეებში რეგიონში ყაჩაღური თავდასხმები გახშირდება და ამის მიზეზად რეგიონში შექმნილ ეკონომიკურ კრიზისს ასახელებს. **"ჩვენ ვიცით, რომ კახეთს ამ ზამთარს ძალზე გაუჭირდება და, აქედან გამომდინარე, ყაჩაღური თავდასხმები განსაკუთრებით ახალი წლის წინა დღეებში გახშირდება. ამიტომ, რეგიონის პოლიცია მკაცრ სამუშაო რეჟიმში გადავა და მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით, ყველანაირი ბერკეტი ამოქმედდება,"** - აცხადებს ანჯაფარიძე.

პოლიციელების მობილიზების მიუხედავად, ბოროტმოქმედები მაინც არაფერს უშინდებიან და ჩადენილ დანაშაულს ახალს უმატებენ. ისინი მსხვერპლს მთელი სისასტიკით უსწორდებიან და შემდეგ კლავენ. მათი სამიზნე ამჯერად მარტოხელა მოხუცი აღმოჩნდა. მკვლელობა სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანში მოხდა. პენსიონერი, 64 წლის ნასყიდა ალავერდაშვილი საკუთარ სახლში ბოროტმოქმედმა მოკლა. ალავერდაშვილის გვამი კი მეორე დღეს მისმა მეზობლებმა ნახეს.

**"ნასყიდა ძალზე უწყინარი კაცი იყო. მისი ავი არავის გაგვეგო. იგი გარეთ არც კი გამოდიოდა. სულ სახლში იყო და მხოლოდ ეზოში თუ გამოვიდოდა...რომ არ გამოჩნდა, ეჭვი შეგვეპარა, ვიფიქრეთ, ავად ხომ არ არისო. სახლში შესულებს კი საშინელება დაგვხვდა - ნასყიდა პირქვე ეგდო, მკვდარი,"** - იხსენებენ გარდაცვლილის მეზობლები.

მომხდარის შესახებ მეზობლებმა პოლიციას აცნობეს, მაგრამ ბოროტმოქმედის ძებნას ძალოვნები უშედეგოდ ცდილობენ. მკვლელობის მოტივირაიონული პროკურატურისთვის, ჯერჯერობით, უცნობია. გამომძიებლის, ნუგზარ ლაზარიაშვილის თქმით, თავდამსხმელს დაზარალებულის ოჯახიდან არაფერი წაუღია, მკვლელობა კი ცივი იარაღით არის ჩადენილი.

**"გვამის წინასწარი დათვალიერების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ნასყიდა ალავერდაშვილს სხეულზე ძალადობის კვალი აღენიშნება. ჭრილობა კი, სავარაუდოდ, დანით აქვს მიყენებული. არის თუ არა მკვლელობა ყაჩაღური ქმედების ნიადაგზე ჩადენილი, ძნელი სათქმელია, რადგან თავდამსხმელს მოკლულის სახლიდან არაფერი აქვს წაღებული,"** - ამბობს პროკურატურის გამომძიებელი ნუგზარ ლაზარიაშვილი.

მომხდართან დაკავშირებით კი, რაიონის პოლიციის უფროსს იოსებ ხოხონიშვილს სხვა ვერსიები აქვს. იგი ვარაუდობს, რომ მკვლელობა სწორედ ყაჩაღობის ნიადაგზე მოხდა.

**"როგორც მეზობლების საუბრიდან გაირკვა, აწ გარდაცვლილი ნასყიდაშვილი ყოველთვის ამბობდა, რომ მას თავისი დასამარხი ფული გადანახული ჰქონდა, მაგრამ რაიმეს მტკიცება, ჯერჯერობით, ნაადრევია,"** - ამბობს ხოხონიშვილი.

მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის გამო, ძიებას კი სიღნაღის რაიონის პროკურატურა აწარმოებს.

## მოკლედ

### არასამთავრობო ორგანიზაცია წამების საწინააღმდეგო ვიდეორგოლების ტელევიზიით ჩვენების შეჩერებას აპროტესტებს

არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" წამების წინააღმდეგ მიმართული მათი სარეკლამო კლიპების ქართული ტელეარხებით ჩვენების აკრძალვას აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვად აფასებს.

როგორც ორგანიზაციის წევრი გელა ნიკოლაიშვილი აცხადებს, წინასწარი დაკავების საკნებში ადამიანთა ცემა-წამების აღკვეთის მიზნით დამზადებული ხუთი ვიდეო-კლიპი ტელეარხებით 2004 წლის თებერვლიდან გადიოდა. აღნიშნული კლიპების ეთერში გაშვება ტელევიზიებს შს სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე აეკრძალათ.

"სამინისტროს არგუმენტებით, აღნიშნული რგოლებით პოლიციელის პროფესიის დისკრედიტაცია ხდება, რაც ქვეყანაში მართლწესრიგის განვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენს. აღნიშნულის გამო, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ანტიმონოპოლიურ სამსახურს კლიპების ჩვენების აღკვეთა სთხოვა, რის შემდეგაც, სამსახურმა ტელეკომპანიებს წერილი გაუგზავნა საკითხის შესწავლამდე ვიდეო-რგოლების ჩვენების შეჩერების შესახებ," - აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციის "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისთვის" წევრები. მათივე თქმით, ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა "რეკლამის შესახებ" კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი დაარღვია, რომლის თანახმადაც, ის ვალდებული იყო, წერილობითი მიმართვა გაეგზავნა არა მარტო ტელევიზიებისთვის, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციისთვისაც. ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" ანტიმონოპოლიური სამსახურის გადაწყვეტილებას, ოფიციალური წერილობითი მიმართვის მიღების შემდეგ, სასამართლოში გაასაჩივრებს. ორგანიზაციის ინფორმაციით, ვიდეორგოლების ჩვენების პროექტს ევროკომისია აფინანსებს. **ინტერ-პრესი**

### ძებნილი გამგებლის საქმე სასამართლოს გადაეცა

იმერეთის საოლქო პროკურატურაში ვანის ყოფილი გამგებლის ალეკო ბელთაძის კანონსაწინააღმდეგო ქმედებებთან დაკავშირებით, რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარე გამოძიება დასრულდა და საქმე საბრალდებო დასკვნით ქუთაისის სოლქო სასამართლოს გადაეცა. როგორც სამხარეო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი გიზო უგულავა აცხადებს, ალეკო ბელთაძეს დაუდასტურდა, რომ მან ჯართის სახით გაასხვისა მექანიკური სარწყავი სისტემა, რითაც სახელმწიფოს 200 ათას ლარამდე ზარალი მიაყენა. მან ასევე მიითვისა სამსახურებრივი მანქანის შესაძენად ბიუჯეტიდან გამოყოფილი 9.800 ლარი. სასამართლო საქმის განხილვას ყოფილი გამგებლის დასწრების გარეშე შეუდგება, ხოლო მასზე ძებნა გაგრძელდება. **ინტერ-პრესი**

### საპატრულო პოლიცია ქუთაისშიც გამოჩნდება

25 დეკემბერს ქუთაისში საპატრულო სამსახური ამოქმედდება და, შესაბამისად, ქალაქში პირველი მანქანები გამოჩნდება.

"ამჟამად გაუსაძლის პირობებში ვართ, საპარტულო სამსახურის დახმარების გარეშე საახალწლოდ კრიმინალები წაგვლეკავდნენ," - აცხადებს ქუთაისის პოლიციის ახალი უფროსი რომან მამრიკიშვილი. მისივე განმარტებით, პირველ ეტაპზე ქუთაისს "შკოდის" და "ნივის" მარკის 15 ავტომანქანას გამოუყოფენ. 70 პოლიციელი საპატრულო მანქანებით იმოძრავებს, 40 კი - ქვეითად.

პატრულის გამოძახება, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ქუთაისშიც 022-ს საშუალებით იქნება შესაძლებელი. პოლიციის თანამშრომლები ხელფასს ცენტრალური ბიუჯეტიდან მიიღებენ. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ჩხოროწყუს რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი, ე.წ. "მეგრელთა საძმოს" ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები - ნასამართლევი, აფხაზეთიდან დევნილი ბესარიონ ქებურია და ასევე წარსულში ნასამართლევი კობა ჭითანავა დააკავეს. შსს-ს ცნობით, აღნიშნული პირები თანამზრახველებთან ერთად მიმდინარე წლის 23 ნოემბერს ყაჩაღურად თავს დაესხნენ ენრიკო სიმონიანის ოჯახს, რომლის დროსაც სიმონიანმა ტაბელური პისტოლეტიდან გასროლით ადგილზე მოკლა 2 თავდამსხმელი - მურთაზ ქარდავა და თემურ ხუბუა, ხოლო დანარჩენებმა მიმალვა შეძლეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებმა ტრეფიკინგში ეჭვმიტანილი ქალი, 54 წლის თამარ ნანუაშვილი დააკავეს. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, აღნიშნულმა პიროვნებამ მიმდინარე წლის პირველ სექტემბერს, ვითომდა საგარეჯოს რესტორანში მუშაობის დაწყების მიზნით, მოტყუებით წაიყვანა 23 წლის ქალი, რომელიც 13 დეკემბრამდე ჩაკეტილი ჰყავდა სახლში და შანტაჟისა და ფიზიკური ზეწოლის გზით აიძულებდა სხეულით ვაჭრობას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ძარცვაში ეჭვმიტანილი, "შავი სამყაროს" წარმომადგენლები - ოთხჯერ ნასამართლევი დავით ქვრივიშვილი, მეტსახელად "ჩურთი" და სამჯერ ნასამართლევი რობერტ გიორგაძე დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული პირები ღამის ოთხ საათზე, ცოტნე დადიანის ქუჩაზე თავს დაესხნენ ტაქსის მძღოლს და დანის მუქარით სძალავდნენ ფულს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსმა მესაზღვრეებმა საქართველოს ორი მოქალაქე, 15 წლის ალმაზ მამედოვი და 21 წლის აკიფ რამაზანოვი აზერბაიჯანი-რუსეთის საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით დააკავეს. ორივე მათგანი მოსკოვი-ბაქოს მატარებელში მას შემდეგ დააკავეს, რაც დოკუმენტები შეუმოწმეს და ისინი გაყალბებული აღმოჩნდა. საქართველოს მოქალაქეები შემდგომი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზნით სასაზღვრო პუნქტ "დაღესტანში" გადაიყვანეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დმანისის რაიონის სოფელ ჯავახში მცხოვრებმა 39 წლის მამუკა ადუაშვილმა ურთიერთშელაპარაკებისას დანის ყელში დარტყმით მოკლა მეუღლე, 34 წლის ლეილა ფაილოძე, ხოლო მუცელში დაჭრა მეზობელი, 43 წლის ნოდარ ოქრიაშვილი. დაკავებისას, თვითმკვლელობის მიზნით, დანით დაიჭრა თავი ყელისა და მუცლის არეში, რის შედეგადაც საავადმყოფოში მოათავსეს. **მედია-ნიუსი**

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**..........................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..........................................

**საკონტაქტო ტელეფონი**..........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "ელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

## ენერგეტიკა

### გუშინ, დღეს, ხვალ

# ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტი ამკაცრებს შიდა კონტროლს

ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის უმთავრეს ამოცანას საზედამხედველო ობიექტების შემოწმება წარმოადგენს. ამასთანავე, ძალზე გამკაცრებულია კონტროლი დეპარტამენტის აპარატისა და რეგიონული სამმართველოების საქმიანობაში არსებული დარღვევებისა და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რასაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აქვს ადგილი 2004 წლის განვლილ პერიოდში.

ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს, ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის 2004 წლის 6 ოქტომბრის N71/ო ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის მიერ საზედამხედველო ობიექტებში ჩატარებული შემოწმებების კანონიერების შესწავლა, ანუ, შემოწმებათა თემატური გადამოწმება.

შემოწმებულია 2004 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე განვლილი პერიოდი და პირდაპირ უნდა ითქვას, რომ შედეგები მეტად სავალალოა. ჩვენ, უფლება არ გვაქვს, ღიად და დაუფარავად არ ვაუწყოთ საზოგადოებას შემოწმების შედეგები.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დეპარტამენტის მთავარ ენერგეტიკულ სამმართველოს, დამტკიცებული გეგმის მიხედვით, რეგიონულ სამმართველოებთან ერთად, უნდა ჩაეტარებინა 72 ობიექტის კომპლექსური შემოწმება, ფაქტობრივად შემოწმებულია 20 (მათ შორის 2 არაგეგმიური), ერთობლივად კი მხოლოდ - ექვსი.

საზედამხედველო ობიექტების შემოწმების მიზნით, შესამოწმებელ პერიოდში, მთავარ ენერგეტიკულ სამმართველოზე გაცემულია 25 განკარგულება. არაგეგმიური კომპლექსური შემოწმება ჩაუტარდა ორ ობიექტს: სს "თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკას" და შპს "ჰერმესის" ხისა და ქვის დამამუშავებელ საამქროებს.

განკარგულების გარეშე ობიექტების შემოწმება არ უნდა ჩატარებულიყო, კომპლექსურად შემოწმებული 20 ობიექტიდან განკარგულების გარეშე შემოწმებულია სამი ობიექტი. სამმართველოს უფროსს, განკარგულების გარეშე ობიექტების შემოწმების ფაქტის გამოვლენისთანავე, წერილობით უნდა ეცნობებინა ხელმძღვანელობისათვის და გაერკვია არაგეგმიური შემოწმების საფუძველი და აუცილებლობა.

დეპარტამენტის ა.წ. 27 აპრილის N32, N33, N34 განკარგულებების თანახმად, კომპლექსურად უნდა შემოწმებულიყო - შპს "ზიგი", შპს "რაინდი" და შპს "მლ". 13 მაისს გაცემული N48 განკარგულებით, მთ. ენერგეტიკული სამმართველოს მთ. სპეციალისტს ლ. ქევანიშვილს და თბილისის სამმართველოს მთ. სპეციალისტებს კ. ლაგრაძესა და გ. ჭიჭინაძეს, დაევალათ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელ.მეურნეობის მდგომარეობის კომპლექსური შემოწმება. კ. ლაგრაძისა და გ. ჭიჭინაძის ახსნა-განმარტების თანახმად, სტუ-ს ტექნიკური ხელმძღვანელობის განცხადებით, ელ.მეურნეობის კომპლექსური შემოწმება ტარდება სამ წელიწადში ერთხელ და რადგანაც ობიექტი კომპლექსურად შემოწმებული იყო 2003 წელს, მათ აღარ ჰქონდათ ხელახალი შემოწმების უფლება. აღნიშნულის შესახებ, შემმოწმებლებმა მოახსენეს ხელმძღვანელობას, ხოლო N000511 აქტი კი დააბრუნეს მთ. ენერგეტიკულ სამმართველოში. მთ. ენერგეტიკული სამმართველოს უფროსის განმარტებით, დეპარტამენტის 2004 წლის 13 მაისის N48 განკარგულებით გათვალისწინებული, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შემოწმება, არ განხორციელებულა.

დეპარტამენტის კომისიის მიერ, შემმოწმებლების არგუმენტები არ იქნა გაზიარებული, რადგანაც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, არსად არის განსაზღვრული ობიექტების ელ.მეურნეობის კომპლექსური შემოწმებების სამ წელიწადში ერთხელ ჩატარება. კომპლექსური შემოწმების ორსამ წელიწადში ერთხელ ჩატარება განსაზღვრული იყო 1983 წლის ინსტრუქციებით - "Инструктивные материалы Главенергонадзора" - რომელიც ამჟამად ძალაში არ არის.

სავარაუდოდ, ტექნიკური უნივერსიტეტის შემოწმების აუცილებლობა, იმ გარემოებიდან გამომდინარეობდა, რომ ოთხი ობიექტის (შპს "ალგეთი", ი/მ ძ ლ. მერაბიშვილი", შპს "ჯორჯია" და შპს "კომფორტი-50") ელ.მომარაგება სათანადო ნებართვის გარეშე, სტუ-ს სატრანსფორმატორო ჯიხურიდან ხორციელდებოდა

შპს "საქართველოს რკინიგზის" ქ. თბილისის სამგზავრო სადგურის კომპლექსური შემოწმების მიზნით, ობიექტის ხელმძღვანელობას გაეგზავნა შეტყობინება და ა.წ. 26 და 27 აპრილს გაიცა ორი განკარგულება, ორივე მათგანში ერთი და იგივე კომპლექსური შემოწმების აქტი N00509 არის მითითებული. მიუხედავად იმისა, რომ ობიექტის ხელმძღვანელობისაგან მიღებულია თანხმობა, შემოწმება არ ჩატარებულა. ხოლო აქტი N00509 შემმოწმებლების - მთავარი ენერგეტიკული სამმართველოს მთ. სპეციალისტების ა. ქათამაძისა და ზ. ჩოხელის მიერ, დღემდე დაბრუნებული არ არის და არც განკარგულებებია გაუქმებული.

დეპარტამენტის ა.წ. 26 იანვრის N03 განკარგულებით, ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის ზესტაფონის სამმართველოს განყოფილების უფროსს გ. ონიანს და თბილისის სამმართველოს განყოფილების უფროსს ი. ფიჩხაძეს დაევალათ სს "ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის" კომპლექსური შემოწმება.

განკარგულებაში მითითებულია, რომ მათზე გაიცა კომპლექსური შემოწმების აქტი, რომლის გაცემაც შეუძლებელი იყო იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ, აქტი, 2003 წლის 6 ოქტომბრის N14 განკარგულების თანახმად, სს "ფეროს" კომპლექსური შემოწმების მიზნით უკვე გაცემულიც იყო და შედგენილიც. შემოწმება არ ჩატარებულა (აქტი ვერ წარმოადგინეს) და არც განკარგულება გაუქმებულა.

"მუშაკთა მივლინების შესახებ" ა.წ. 2 თებერვლის Nმ/1 ბრძანებით, მთავარი ენერგეტიკული სამმართველოს მთავარ სპეციალისტს გ. ზუკაკიშვილს და ქ. თბილისის სამმართველოს მთავარ სპეციალისტს - ტ. საღარაძეს დავალებული ჰქონდათ სს "ფეროს" ელ.მეურნეობის ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება. როგორც გაირკვა მოხდა ობიექტის გადამოწმება და შედგენილია შესაბამისი აქტი N00001 (არ არის განკარგულება).

ასევე განკარგულების გარეშე, ა.წ. 16 თებერვალს Nმ/2 ბრძანებით, მცხეთა-მთიანეთის სამმართველოს უფროსი ა. ხერგიანი მივლინებულ იყო ქ. ზესტაფონში სს "ფეროს" ელ.მომარაგების ტექნიკური მდგომარეობის შემოწმების მიზნით, მივლინების თანხა ანაზღაურებულია, აქტი კი ვერ წარმოადგინა.

თექვსმეტ ობიექტში ჩატარებული ტექნიკური შემოწმებიდან, განკარგულება გაცემულია მხოლოდ ორზე, დანარჩენი თოთხმეტი შემოწმებულია განკარგულების გარეშე.

ტექნიკური შემოწმების აქტებიდან გამომდინარე, ქვემოთ ჩამოთვლილი ხუთი ობიექტის ხელმძღვანელ-თანამდებობის პირთა მიმართ უნდა შედგენილიყო ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა ოქმები, ხოლო ენერგომომმარაგებელი ორგანიზაციებისადმი უნდა დაგზავნილიყო მიწერილობები ობიექტების გათიშვაზე. ესენია: შპს "ჰერმესის" ქვის დამამუშავებელი საამქროები "ღრმაღელე", "პეტრე-პავლე", "ავჭალა", "ნავთლუღი", "მუხათგვერდი". ამ უკანასკნელი ობიექტის შემოწმების აქტის დასკვნაში ცალსახად არის მითითებული, რომ "საამქრო ექვემდებარება დაუყოვნებლივ გამორთვას ქსელიდან", რაც ენერგომომმარაგებელი ორგანიზაციებისთვის არ შეუტყობინებიათ და არც დეპარტამენტის იმჟამინდელი ხელმძღვანელობის მხრიდან მოჰყოლია რეაგირება.

შპს "საქართველოს რკინიგზის" ფილიალის სალიანდაგო-სამანქანო N1 სადგურის შემოწმების აქტში (შემმოწმებლები: მთ. სპეციალისტები - ა. ქათამაძე, ზ. ჩოხელი) აღნიშნული დარღვევებიდან გამომდინარე, ობიექტის თანამდებობის პირზე, უნდა შედგენილიყო ადმინისტრაციულ- სამართალდარღვევათა ოქმი, რაც არ შესრულებულა. შპს "საქენერგონავიგაციის" შემოწმების აქტში არ არის მითითებული მაღალი ძაბვის კაბელის ჩაწყობის აქტის ნომერი. შპს "ბიემ-პი-ის" შემოწმების აქტში არ არის მითითებული: ობიექტის საქმიანობის სახე, დამიწების კონტურზე ჩატარებულ სამუშაოებზე აქტის ნომრები და ძალოვანი ტრანსფორმატორის პარამეტრები. ობიექტის ელ.მომარაგების პროექტი შეთანხმებული არ არის შესაბამის ორგანიზაციებთან, აქედან გამომდინარე არ არსებობს შესაბამისი ოქმი. კომპლექსური შემოწმების აქტებში აღნიშნული დარღვევების თანახმად, შემმოწმებლებს, უნდა მოეთხოვათ შვიდი ობიექტის ქსელიდან გათიშვა და შემდგარიყო ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა ოქმები, რაც არ განხორციელებულა. კერძოდ: სს "თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა", თსუ-ის ცენტრალური კლინიკა, შპს "წინანდალი - საქართველოს ღვინის საგანძური", "დედოფლისწყაროს ქვის კარიერი "არწივის ხეობა", ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ, შპს "რუსთავწყალი", საქართველოს ზოოტექნიკური სავეტერინარო უნივერსიტეტი.



კომპლექსური შემოწმებები (სამი) ჩატარებულია განკარგულებების გარეშე, ხოლო ტექნიკურ შემოწმებებზე და გადამოწმებებზე, როგორც წესი, განკარგულებები საერთოდ არ გაიცემოდა. ადგილი ჰქონდა დაუსაბუთებელ, არაგეგმიური კომპლექსური შემოწმებების ფაქტებს. იყო შემთხვევები, როცა გაცემული განკარგულებებით განსაზღვრული დავალებები არ სრულდებოდა, ხოლო დავალების შეუსრულებლობის ხელშემშლელი ფაქტორების შესახებ, თანამშრომლებს, არც ერთ შემთხვევაში ხელმძღვანელობისათვის მოხსენებითი ბარათით არ მიუმართავთ. ობიექტების უმრავლესობა არ არის გადამოწმებული. შემოწმების აქტების უმრავლესობა უხარისხო და არასრულია. შემმოწმებლების მიერ გამოვლენილი დარღვევებისას, ობიექტების თანამდებობის პირთა მიმართ არ არის შედგენილი ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა ოქმები, ობიექტების ქსელიდან გათიშვის შესახებ მიწერილობები არ ეგზავნებოდა ენერგომომმარაგებელ ორგანიზაციებს. კომისიის დასკვნა ასეთია: შემოწმებები ტარდებოდა ფორმალურად, მხოლოდ შესრულებული სამუშაოს მოცულობის გაზრდის მიზნით და არა გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად.

რაც შეეხება, დეპარტამენტის სერტიფიკაციისა და ენერგეტიკული პროდუქციის ხარისხის მართვის მთავარი სამმართველოს საქმიანობას, აქ სურათი უფრო მძიმეა.

აღნიშნულ სერტიფიკაციის სამმართველოში, სათბობ-ენერგეტიკის სექტორში მომხმარებლებისათვის ხარისხიანი (სერტიფიცირებული) პროდუქციის მიწოდებაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მიზნით, გაცემულია 25 განკარგულება მათ შორის 14 დეპარტამენტის ყოფილი უფროსის მიერ, ხოლო 11, დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ხელმოწერით, საიდანაც დეპარტამენტის კანცელარიის უფროსის სახელზე, სერტიფიკაციის სამმართველოს უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე გაუქმებულია ხუთი განკარგულება. გაუქმების მიზეზად, მოყვანილია მთ. სპეციალისტის ნ. ფრიდონაშვილის სამსახურიდან განთავისუფლება. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გაუქმებული განკარგულებები, რომელთა მიხედვითაც მთ. სპეციალისტებს ნ. ფრიდონაშვილისა და გ. რურუას დავალებული ჰქონდათ გაურკვეველი ობიექტების (განკარგულებებში არ არის მითითებული კონკრეტული ობიექტები) შემოწმება, განკარგულება გაცემულია ა.წ. 7 მაისს, მაშინ, როდესაც მთ. სპეციალისტი ნ. ფრიდონაშვილი შრომით ხელშეკრულების ვადის გასვლასთან დაკავშირებით, სამსახურიდან განთავისუფლდა ა.წ. 5 ივლისს. თუმცა ამ გარემოების გათვალისწინების შემთხვევაშიც კი (რაც ყოვლად მიუღებელია), მოხსენებითი ბარათი განკარგულების გაუქმების შესახებ უნდა დაწერილიყო მხოლოდ დეპარტამენტის უფროსის, ან მისი მოვალეობის შემსრულებლის სახელზე.

სერტიფიკაციის სამმართველოს უფროსის მიერ წარმოდგენილი, შემოწმებებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის, აღრიცხვის ჟურნალისა და ობიექტების შემოწმების მასალების თანახმად, სამმართველოს მიერ, შესაბამისი აქტების შედგენით, შემოწმებულია 19 ობიექტი, მათ შორის: 5 ობიექტი შემოწმებულია განკარგულების გარეშე. კერძოდ, მაღაზია "JVC", შპს "ომეგა", მაღაზია "BEKO", შპს "ემფორი", ი/მ "მზია მახარაძე", მაღაზია "ვანსისონი" (შემმოწმებლები: კ. თოფურია, გ. ბახტაძე), ი/მ "დ. შუბლაძე" (შემმოწმებლები: ზ. ბულბულაშვილი და გ. რურუა, გადამოწმება). ობიექტების ხელმძღვანელთა განმარტებების საფუძველზე გადამოწმებულია 6. გამოვლენილ დარღვევებზე, 15 შემთხვევაში შედგენილია 22 ადმინისტრაციულ- სამართალდარღვევათა ოქმი. აღნიშნული შეუსაბამობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 6 შემთხვევაში ერთი და იმავე ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევაზე შედგენილია რამდენიმე ოქმი, რაც შემდგენლების არაკვალიფიციურობაზე მეტყველებს. კერძოდ, ი/მ "მაია ფუტკარაძის" (ოქმები შედგენილია 1 მარტსა და 5 აპრილს) ,ა/მანქანების აკუმულატორების მაღაზიის შემოწმების შედეგად (შემმოწმებლები: ნ. ფრიდონაშვილი, ი. ლილუაშვილი და ზ. ბულბულაშვილი) დადგინდა, რომ 19 დასახელების აკუმულატორს არ ჰქონდა შესაბამისობის სერტიფიკატი, რაზეც შედგა ადმინისტრაციულ- სამართალდარღვევათა ოქმი (ნ. ფრიდონაშვილი). ამის საფუძველზე, 25 მარტის დადგენილებით, ი/მ "მზია ფიტკარაძე" დაჯარიმდა 1350 ლარით. მეწარმის ახსნა-განმარტების თანახმად, მაღაზიაში ჰქონდა არა 19, არამედ 5 დასახელების აკუმულატორი, 3 შესაბამისობის სერტიფიკატით, 2 - უსერტიფიკატო, დანარჩენი 14 კი წარმოადგენდა ბუტაფორიას (გამოიყენებოდა ვიტრინის გასაფორმებლად), რაც დადასტურებულია 5 აპრილს ჩატარებული გადამოწმებით (შემმოწმებლები: ნ. ფრიდონაშვილი, ზ. ბულბულაშვილი), ამ შემთხვევასთან დაკავშირებით შედგა ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევების მეორე ოქმი (ნ. ფრიდონაშვილი) და 7 აპრილს N09 დადგენილებით მეწარმე დაჯარიმდა 150 ლარით (გადახდილია 03.05.04 წ.). აღსანიშნავია, რომ ახსნა-განმარტება დაწერილია 25 მარტს, კანცელარიაში შემოსულია და სერტიფიკაციის სამმართველოს დაეწერა 5 აპრილს, განკარგულება გადამოწმებაზე კი გაცემულია 9 მარტს. ობიექტების ხელმძღვანელთა ახსნა-განმარტებების მიხედვით, ანალოგიური მდგომარეობაა სხვა მასალებშიც.

შემმოწმებლების მხრიდან მსგავსი დარღვევებისა და არაკომპეტენტური საქმიანობის შესახებ მასალები კიდევ მრავლად არის, მაგრამ ამჯერად მათზე აღარ შევჩერდებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ენერგეტიკული პროდუქციის ხარისხის მართვის მთავარი სამმართველოს მიერ შესამოწმებელ პერიოდში გაწეული მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია, შემოწმების ჯგუფმა ვერ მოიძია, არა და, სამმართველოს საქმიანობაში არსებობდა სერიოზული დარღვევები. მიუხედავად ამისა, სამმართველოს უფროსს ნ. რჩეულიშვილს, გამოეცხადა მადლობა.

დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის მიერ, საზედამხედველო ობიექტების შემოწმებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დასკვნაში აღნიშნულია, რომ ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის და მოადგილის მიერ გაცემული განკარგულებები, შემოწმებების ჩატარება, ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევის ოქმების შედგენა, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება და დადგენილებების გამოტანა, არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობის მოთხოვნებს. განკარგულებები სამმართველოში გაიცემოდა ისე, რომ მათში მითითებული არ იყო შემოწმებული ობიექტების დასახელება და მისამართი; 5 შემოწმება ჩატარებულია განკარგულების გარეშე. შემოწმებული 17 ობიექტიდან მხოლოდ 5 წარმოადგენს იურიდიულს, დანარჩენი 12 კი ფიზიკურ პირს (ინდ. მეწარმე). ობიექტების შემოწმების პროცესში, შემმოწმებლები, რატომღაც ერთმანეთისაგან ვერ არჩევდნენ აკუმულატორებსა და ბუტაფორიებს. სამ ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევის ოქმზე გადაწყვეტილება მიღებული არ არის. 1 დადგენილება ხელმოუწერელია, 1 საერთოდ არ არის მიღებული, თანხები კი ჩარიცხულია; 6 შემთხვევაში დაგვიანებულია ადმინისტრაციულ- სამართალდარღვევის ოქმის განხილვის ვადები (15 დღე). დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს 11 განკარგულება გაცემული აქვს მაშინ, როდესაც ამის უფლებამოსილება მინიჭებული არ ჰქონდა, რადგან დეპარტამენტის უფროსს, პირველ მოადგილესა და მოადგილეს შორის ფუნქციების განაწილება მოხდა მხოლოდ დეპარტამენტის უფროსის (ი. ქაჩლიშვილი) 2004 წლის 25 მაისის N29/ო ბრძანებით. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მხოლოდ საკანონმდებლო აქტები განსაზღვრავენ ადმინისტრაციულ-სამართალთარღვევათა საქმეების განმხილველ და დადგენილების გამომტან თანამდებობის პირებს, გაურკვეველია, რით ხელმძღვანელობდა დეპარტამენტის უფროსი, როდესაც მან 2004 წლის 25 მარტის N12/ო ბრძანებით, "ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის" 2292-ე მუხლის, მე-2 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სერტიფიკაციის სამმართველოს უფროსს ვ. კევლიშვილს მიანიჭა უფლებამოსილება ხელის მოწერით დაადასტუროს დადგენილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე, კოდექსის 1774-ე და 1775-ე მუხლებით საჯარიმო სახდელის დადებაზე. ასევე გაურკვეველია, რა უფლებით ხელმძღვანელობდა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ი. აბესაძე, როდესაც 2004 წლის 21 მაისის N27/ო ბრძანებით, ანალოგიური პრივილეგია მიანიჭა ენერგეტიკული პროდუქციის ხარისხის მართვის სამმართველოს ყოფილ უფროს ნ. რჩეულიშვილს.

დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეებს, თითქმის ყველა შემთხვევაში, შემოწმებული აქვთ სხვადასხვა მაღაზიებში გასაყიდად გამოტანილი ელექტროსაქონლის სერტიფიცირების მდგომარეობა, ე.ი. შემოწმებას დაუქვემდებარეს სავაჭრო ქსელი, რაც საქსტანდარტის პრეროგატივაა;

საყურადღებოა, რომ "ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის" 239-ე მუხლის თანახმად, ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამდებობის პირები, 1775-ე მუხლით (სერტიფიკაციის შესახებ დადგენილი ნორმებისა და წესების დარღვევა), ოქმს ადგენენ მხოლოდ ენერგეტიკის სფეროში გათვალისწინებულ სამართალდარღვევის ფაქტზე. უფრო მეტიც, ამავე კოდექსის 2292 მუხლის შესაბამისად, 1775-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავენ და ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება გამოაქვთ ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის უფლებამოსილ თანამდებობის პირებს, მხოლოდ ენერგეტიკის სფეროში ჩადენილ დარღვევებისათვის. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, უხეშად დაირღვა, "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" 33, 36, 200, 201, 204, 208, 2292, 239, 252, 262, 266, 268, 277, 278-ე მუხლების იმპერატიული მოთხოვნები.

ამრიგად, ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეების მიერ უხეშად არის დარღვეული საქართველოს კანონის "საჯარო სამსახურის შესახებ" 52-ე მუხლის მოთხოვნები, რითაც ჩადენილია ამავე კანონის 78-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომა.

ხშირ შემთხვევაში, განკარგულებები არ გაიცემოდა, ხოლო თუ გაიცემოდა არ ჩანს არანაირი რეაგირება, რადგან შემოწმების აქტები იწერებოდა და მას არ მოჰყოლია არანაირი შედეგი. დიდი რაოდენობა კომპლექსური შემოწმებებისა ჩატარებულია განკარგულების გარეშე. ტექნიკურ შემოწმებებზე და გადამოწმებებზე კი საერთოდ არ გაიცემოდა განკარგულებები. ადგილი ჰქონდა დაუსაბუთებელი არაგეგმიური კომპლექსური შემოწმებების ფაქტებს. გაცემული განკარგულებებით დავალებები ხშირად არ სრულდებოდა და ხელისშემშლელ მიზეზებზე არ იწერებოდა არანაირი მოხსენებითი ბარათები.

აბსოლუტურად ყველა აქტში წერია, რომ ობიექტებს არა აქვთ ტექნიკური პირობები და რომ ისინი გასათიშია ქსელიდან, არც ამას მოჰყოლია არანაირი რეაგირება. ანალოგიური მდგომარეობაა ყველგან. გარდა ამისა, ადგილი ჰქონდა განკარგულებების თვითნებურ გაუქმებას.

ენერგოზედამხედველობისა და სათბობისხარისხის დეპარტამენტის სტრუქტურული დანაყოფების მიერ ჩატარებული შემოწმების მასალების განმხილველმა კომისიამ, კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, გადაწყვიტა, რომ თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, შემოწმების პროცესში გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და დეპარტამენტის მომავალი საქმიანობის სრულყოფისა და ეფექტურობისათვის, აუცილებელია, გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. მომზადდეს ნორმატიული აქტის პროექტი, რომელიც განსაზღვრავს შემოწმებების ჩატარების წესს და პროცედურებს;

2. შემუშავდეს და დამტკიცდეს დეპარტამენტის თითოეულ საჯარო მოხელეზე სამუშაოს აღწერილობა;

3. მომზადდეს ნორმატიული აქტის პროექტი, რომელიც განსაზღვრავს საქმის წარმოების წესს და დამტკიცდეს საქმეთა ნომენკლატურა;

4. საჯარო მოსამსახურეების მიმართ, რომელთა მხრიდანაც, შემოწმების პროცესში გამოვლინდა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე დისციპლინური გადაცდომა, ამავე კანონის 79-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისდ გამოყენებული იქნას დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები:

"საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონების მოთხოვნების საფუძველზე, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების მიზნით:

5. შემოწმების მასალები გაეგზავნოს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს.

ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტმა შეამოწმა რა თბილისის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, რაჭა-იმერეთის, აფხაზეთისა და ცენტრალური აპარატის სამმართველოების საქმიანობა, სადაც სხვადასხვა სახის მნიშვნელოვანი დარღვევები გამოავლინა, მიიღო უმკაცრესი გადაწყვეტილება და სხვადასხვა სახის დისციპლინარული სასჯელი შეუფარდა 40-ზე მეტ თანამშრომელს. ენერგეტიკის მინისტრის წინაშე დაისვა თანამდებობის ცხრა პირის დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხი.

ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტი, გარდა ზემოთ აღნიშნული რაიონებისა, ახალი წლიდან დაიწყებს საქართველოს დარჩენილი რაიონების შემოწმებას, კერძოდ, შემოწმებები ჩატარდება კახეთში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, აჭარაში, გურიაში და სამეგრელო-ზემო სვანეთში. ჩვენ, ტრადიციისამებრ, შემოწმების შედეგებს დაუყოვნებლივ გავაცნობთ საზოგადოებას.

# ბონს მოებეთ, ბატონებო!

### თაღლითებთან ნუ ითანამშრომლებთ!

ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის მიერ მომზადებულ და გაზეთ "24 საათის" შაბათის ნომრებში გამოქვეყნებულ მასალებში (მოყოლებული ა.წ. 23 ოქტომბრიდან), ჩვენ, არაერთხელ აღვნიშნავდით, მივუთითებდით და ვაფრთხილებდით ენერგომომხმარებლებს, რომ თავიანთ ობიექტებზე არ დაეშვათ შემმოწმებლები სათანადო წერილისა და ელექტრომეურნეობის შემოწმების თაობაზე გაცემული სპეციალური განკარგულების გარეშე. დეპარტამენტისათვის, როგორც სატელეფონო ზარებიდან გახდა ცნობილი, უცნობი პირები, ვითომ შემოწმების მიზნით, მაინც შედიან სხვადასხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებში და ფულს სძალავენ მათ ხელმძღვანელებს. მაგრამ, აქ მთავარი ის კი არ არის, რომ თაღლითები ფულის შოვნის გზებს ეძებენ და ყველაფერზე მიდიან, უმთავრესი და საგანგაშო ისაა, რომ ელექტრომომხმარებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელები თავად გვევლინებიან ამ საქმიანობის ხელშემწყობებად. აბა, რას უნდა მივაწეროთ ის გარემოება, რომ "შემოწმებაზე" მისულ პირებს, არც საბუთებს სთხოვენ, არც ვინაობას ეკითხებიან და ისე "უხდიან" "შეთანხმების" შედეგად დადგენილ "გადასახადს". აქ, საკმაოდ კარგად იკითხება ამ ობიექტებში ელექტროენერგიის მოხმარების "კანონიერება". წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოების ხელმძღვანელი, რომელიც წესიერად და პატიოსნად იხდის გახარჯული ელექტროენერგიის საფასურს, რატომ გადაუხდის ხელზე ინკოგნიტო "შემმოწმებელს" იმ თანხას, რასაც ეს "შემმოწმებელი" მოითხოვს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საუწყებოსაზედამხედველო სამსახურები გააჩნია სხვა ენერგეტიკულ ორგანიზაციებსაც (გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია, თელასი და ა.შ.), მაგრამ, ვინაიდან ჩვენი დეპარტამენტის უმთავრესი ამოცანა, მთელი ქვეყნის მასშტაბით ენერგოზედამხედველობა და კონტროლია, რეაგირების გარეშე ვერ დავტოვებთ თუნდაც ერთ სატელეფონო ზარს, რომლითაც, მომხდარი ფაქტის შემდეგ არკვევენ, შემმოწმებელი ჩვენი უწყებიდან იყო თუ არა გაგზავნილი. ამასთან, სატელეფონო საუბრების დროს, "დაზარალებულები" ერიდებიან საკუთარი ვინაობის გამხელას და "შემოწმებული" ობიექტების დასახელებას.

**ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტი, კიდევ ერთხელ არისხებს განგაშის ზარს და მიმართავს ელექტრომომხმარებლებს: გამოფხიზლდით ბატონებო! კმარა ბედოვლათობა და შეეშვით ენერგიის დატაცებას, რითაც თქვენი "შემმოწმებლები" სარფიანად სარგებლობენ, დაიცავით ყველა წესი და იურიდიული ნორმა, გადაიხადეთ გახარჯული ელექტროენერგიის საფასური და მაშინ არც "ხელზე" გექნებათ ფული მისაცემი უსაბუთო შემმოწმებლებისათვის და ვერც ვერანაირი შემმოწმებელი შეგაშინებთ.**

**როგორც აღვნიშნეთ, საზედამხედველო სამსახურები სხვა ენერგეტიკულ ორგანიზაციებშიცაა, მაგრამ, ხშირად, "შემმოწმებელი" ჩვენი დეპარტამენტი სახელით სარგებლობს, ამიტომ, იყავით ფხიზლად და თუკი ვინმე ელექტროობიექტების "შემოწმებისათვის" ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის სახელით დაგიწყებთ ვაჭრობას, სასწრაფოდ დარეკეთ დეპარტამენტში (ტელ: 35 71 13). ისე კი, ყველამ უნდა იცოდეს, რომ დეპარტამენტის სპეციალური განკარგულებისა და წერილის გარეშე, შემოწმებაზე ვერავინ წავა, მაგრამ, თუკი რომელიმე თანამშრომელი, დეპარტამენტის მიერ გაცემული სპეციალური განკარგულების, სათანადო წერილისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე, მაინც შევა ობიექტზე, რის შესახებაც ეცნობება დეპარტამენტს, ამ თანამშრომლის მიმართ, დაუყოვნებლივ გატარდება კანონით გათვალისწინებული უმკაცრესი ღონისძიებები.**

შემოსული მასალების საფუძველზე, გვერდი მოამზადა ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა.

„დებიუტი" დასრულდა



B3

„დინამო" არდადეგებზე წავიდა



B4

„მშრალ ხიდს" წყალი ჩაუდგა



B6

ნომრის სტუმარი

# ახალ პრემიერს დროშა არ უფრიალებია, მაგრამ...

*თბილისის ახალი პრემიერი ქალაქის მერიის არსებობის მანძილზე უპრეცედენტო შემთხვევას უშვებს და მომავალი წლის ბიუჯეტის დამტკიცებას ამა წლის დეკემბრის ბოლოსთვის გვპირდება. მის დაპირებებთან ერთად საზოგადოებას ისიც არანაკლებ აინტერესებს, ძველი მთავრობის წარმომადგენელმა თემურ ქურხულმა, რომელსაც გასული წლის ნოემბერში წითელჯვრიანი დროშა არ უფრიალებია, ჯერ ვიცე-პრემიერის თანამდებობის შენარჩუნება, შემდეგ კი დაწინაურება როგორ მოახერხა. თემურ ქურხულს საკმაოდ შთამბეჭდავი ბიოგრაფია აქვს. პროფესიით ინჟინერ-მშენებელმა და ეკონომისტმა კარიერა სამშენებლო ფირმაში ინჟინერ-მშენებლის თანამდებობიდან დაიწყო. 2004 წლის 10 დეკემბრამდე ეკავა კრწანისის რაიონის საგადასახადო ინსპექციის უფროსის, ისანი-სამგორის რაიონის გამგებლისა და ვიცე-პრემიერის თანამდებობები. ქალაქის მერიაში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ძველი მთავრობის წარმომადგენელთაგან იგი ერთადერთი დარჩა თანამდებობაზე. ხოლო თუ როგორ, ამაზე თვითონ გაგვცემს პასუხს.*



ლევან ხერხეულიძის ფოტოები

ნანა ქადაგიშვილი

- ამას ყველა მეკითხება. გამგებლის თანამდებობიდან ვიცე-პრემიერად მიხეილ სააკაშვილმა წამომიყვანა. დროშა არ მჭერია ხელში, მაგრამ პოლიტიკურ ინტრიგებში არ ვერევი, ჩემი პოლიტიკა საქმის კეთებაა. ალბათ, ეს არის ჩემი ჯერ ვიცე-პრემიერად დანიშვნის, შემდეგ კი დაწინაურების მიზეზი. მართალია, ცოტ-ცოტა ეშმაკობა, მოქნილობა და დიპლომატია ყველას გვაქვს, მაგრამ ზღვარს არ უნდა გადავაბიჯოთ.

**- ახალი პრემიერის დანიშვნის შემდეგ ყველაზე აქტუალურ თემად მოსალოდნელი საკადრო ცვლილებები იქცა. როდის დამტკიცდება ქალაქის მთავრობა და თუ არის უკვე გამოკვეთილი კანდიდატურები?**

- თბილისის მთავრობა თვის ბოლოს დამტკიცდება. კანდიდატურები საკრებულოს 24 დეკემბრამდე უნდა წარვუდგინო. დასაზუსტებელი ჯერ კიდევ ბევრი რამეა, თუმცა, მოსალოდნელ ცვლილებებზე საუბარი უკვე შეიძლება. მთავრობის სტრუქტურაში ძირეული ცვლილებები არ მოხდება. თუმცა, შეიძლება, რამდენიმე სამსახური გაერთიანდეს ან, პირიქით, ცალკე გამოიყოს. მაგალითად, არ გამოვრიცხავ, რომ სპორტის სამსახურმა ისევ დამოუკიდებლად იარსებოს. ჩვენი ხელისუფლება სპორტის განვითარებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. კულტურის სასამხური კი შეიძლება. განათლების სამსახურს შევუერთოთ, ოღონდ, ორივე მათგანს სამეურნეო ფუნქცია უნდა მოვაცილოთ. არის მოსაზრება, რომ შეიქმნას ცალკე სამსახური, რომელიც ქალაქის სამეურნეო საქმიანობას, ტენდერების მოწყობის ფუნქციას გადაიბარებს. ეს მოვალეობა შეიძლება, კაპიტალური მშენებლობის სამსახურმაც შეასრულოს.

**- კაპიტალური მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამსახურების გაერთიანებაზეც საუბრობენ?**

- ორივე იმდენად დიდი სამსახურია, რომ მათი გაერთიანება, ამ ეტაპზე, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. სამაგიეროდ, ტურიზმის სამახური, შეიძლება, ეკონომიკის ან სპორტის სამსახურს შევუერთოთ. ენერგეტიკის სამსახურის შექმნასაც ვაპირებთ. ქალაქის მთავრობას მოსახლეობისთვის პასუხის გაცემა უნდა შეეძლოს, რატომ არ გვაქვს ელექტროენერგია, წყალი თუ ბუნებრივი აირი. ამასთან, ამ სამსახურს მაკონტროლებლის ფუნქციაც დაეკისრება. ელექტროენერგიის გადასახადის სახით ქალაქის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 25 მილიონ ლარს ვიხდით. ხომ უნდა ვიცოდეთ, როგორ იხარჯება ეს ფული?

**- რაც შეეხება კადრებს, ქალაქის მთავრობის ყოფილი წარმომადგენლობიდან თანამდებობას ვინ შეინარჩუნებს?**

- ყველა ძველი გამგებელი დარჩება (თუკი ვინმე არ დააწინაურეს). ცვლილებები უფრო საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელებს შეეხება. ჯერჯერობით, დაზუსტებით შემიძლია ვთქვა, რომ ტრანსპორტისა და ჯანდაცვის სამსახურების უფროსები (ზურაბ ჩიკვილაძე და ზაზა გოროზია) თანამდებობებზე დარჩებიან. არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსის გამოთავისუფლებულ ვაკანსიაზე რამდენიმე კანდიდატურა გვყავს, მათ შორის - უფროსის მოადგილე ბექა ქარსიძე, დასავლური ორიენტაციის, პროფესიონალი და პატიოსანი ადამიანი. კულტურის, სპორტისა და ტურიზმის საქალაქოს სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელის დავით ოქიტაშვილის ბედი ჯერ გაურკვეველია. განათლების სამსახურის უფროსი ნინო ჩაჩავა კი თანამდებობაზე აღარ დაბრუნდება. დანარჩენი თანამდებობის პირების ბედსა და ახალ კანდიდატურებს ნელ-ნელა დავაზუსტებთ.

**- ამჯერად მერი და პრემიერი საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელთა კანდიდატურებს, ალბათ, შეთანხმებულად შეარჩევენ...**

- მე ჭიაბერაშვილმა წარმადგინა, აქედან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, რომ მე და ზურა ერთი გუნდის წარმომადგენლები ვართ და ყველაფერზე ვთანხმდებით. ქალაქის მერი, რა ფუნქციაც არ უნდა ჰქონდეს მას, მაინც ქალაქის პირველი პირია და პრეზიდენტის წინაშეა პასუხისმგებელი. პრემიერი კი უფრო სამეურნეო მუშაკია. ორივემ საკუთარი საქმე უნდა ვაკეთოთ და ერთმანეთს ტელევიზიისა და პრესის საშუალებით არ უნდა ვესაუბროთ.

**- საკრებულოსთან თუ მოახერხებთ შეთანხმებულად მუშაობას? მართალია, ბოლო დროს საკრებულოს უმრავლესობამ მერთან ურთიერთობა "დაათბო", მაგრამ თავის დროზე სერიოზული პრეტენზიები ჰქონდა...**

- საკრებულოსთანაც დავალაგებთ ურთიერთობებს. სხვანაირად ვერ ვიმუშავებ.

**- საკრებულოს სხდომაზე, პრემიერის თანამდებობაზე დანიშვნისას, განაცხადეთ, რომ მალე 2005 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტით წარდგებით. როდის გვექნება ახალი ბიუჯეტი?**

- გპირდებით, რომ 29 დეკემბერს მომავალი წლის ბიუჯეტს დავამტკიცებ. მსგავსი რამ ისტორიას არ ახსოვს.

**- მომავალი წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები თუ იცვლება?**

- პრიორიტეტები თითქმის იგივე რჩება - გზების აღდგენა, ტრანსპორტის მოძრაობის მოწესრიგება და მიწისძვრით დაზარალებულთა პრობლემის მოგვარება. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დანარჩენ პრობლემებს ყურადღება არ მიექცევა. მომავალი წლის ბიუჯეტში თანხა ყველა სფეროს ემატება. მაგალითად, განათლებაზე წელს 1,5 მილიონი იყო გამოყოფილი, მომავალი წლის ბიუჯეტი კი თითქმის სამჯერ იზრდება.

**- როგორც ჩვენთვის ცნობილია, მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთათვის 27 მილიონი ლარია გათვალისწინებული. აქედან 10 მილიონი მუნიციპალური მშენებლობებისა და საინვესტიციო პროგრამებისთვის არის გათვლილი. როგორც საკრებულოს ერთი-ერთი ფრაქციის წარმომადგენლები ვარაუდობენ, ინვესტორთაგან უპირატესობა უცხოურ კომპანიებს მიენიჭება.**

- ქალაქი აგვიშენოს და გინდ ქართველი იყოს და გინდა უცხოელი. ოღონდ, ქალაქის მთავრობის მოთხოვნები და პოლიტიკა უნდა გაითვალისწინოს.

**- ძველ თბილისში როგორ აპირებთ ინვესტორების მოზიდვას? ისტორიულ ნაწილში მრავალსართულიანი სახლების აშენება იკრძალება, მოგების გარეშე ინვესტორის დაინტერესება კი გაჭირდება...**

- ეს საკითხი ჯერ მოსაფიქრებელია. შეიძლება, ინვესტორს მოგების სანაცვლოდ კომპენსაცია შევთავაზოთ. ასეთი იდეაც მაქვს, დანგრეული ისტორიული ძეგლის ადგილას ახალი შენობა ცნობილი ევროპელი არქიტექტორის პროექტით ავაშენოთ. დროთა განმავლობაში ესეც ისტორიულ ძეგლად იქცევა.

**- ინვესტორებისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესებაზეც საუბრობდნენ...**

- ასეთი მოსაზრებაც არის, მაგრამ მსგავსი პრეცედენტის დაშვება რამდენად გამართლებული იქნება, ჯერ მოსაფიქრებელია. თუმცა, შეიძლება სანებართვო მოსაკრებელზე ან მუნიციპალურ ფონდში შენატანზე ვთქვათ უარი. მაგალითად, ფიროსმანის ქუჩაზე მდებარე ავარიული სახლების პრობლემა ოღონდ მოგვარდეს და ინვესტორისგან მერია არც ფულს მოითხოვს და არც ბინებს.

**- საქალაქო ტრანსპორტის მოწესრიგება მომავალ წელსაც პრიორიტეტულ საკითხად რჩება. როგორც ქალაქის მერმა განაცხადა, მიკროავტობუსების გადამზიდავი ფირმების ტენდერი ნოემბერში უნდა დასრულებულიყო. თუმცა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჯერ სატრანსპორტო სქემაც კი არ არის მზად...**

- მართალია, ტენდერი ნოემბერში უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ავტობუსების შემოყვანამ ბევრი რამე შეცვალა. მიკროავტობუსის რამდენიმე სამარშრუტო ხაზი გაუქმდა. უნდა გადავწყვიტოთ, რა სჯობს, მიკროავტობუსები ერთიანად შევამციროთ და ავტობუსები შემოვიყვანოთ თუ ვაცადოთ, ბაზარმა ეს პრობლემა ნელ-ნელა თვითონ დაარეგულიროს. მომავალ წელს 300 ავტობუსს თუ შემოვიყვანთ, მიკროვატობუსების რაოდენობა ავტომატურად შემცირდება. ყოველ შემთხვევაში, ეს ყველაფერი ახალ წლამდე უნდა გადაწყდეს.

**- 2005 წლის პროექტის პირველად ვარიანტში, რომელიც ქალაქის მთავრობამ საკრებულოს უკვე წარუდგინა, "თბილტრანსის" მძღოლებისა და კოოპერატიულ ბინათმშენებლობებში მონაწილე მოქალაქეებისთვისაც არის თანხები გათვალიწინებული. პროექტის საბოლოო ვარიანტში ეს თანხები დარჩება თუ წლევანდელივით, ბოლო წუთს ამოვარდება?**

- 2005 წლის 400 მილიონიანი ბიუჯეტიდან დაზარალებული მოქალაქეებისთვის თანხის გამოყოფა არ გაჭირდება. "თბილტრანსის" მძღოლებისა და კოოპერატიულ ბინათმშენებლობებში მონაწილე მოქალაქეების პრობლემა მომავალ წელს გარკვეულწილად მოგვარდება.

**- რა ბედი ეწევა უკანონო მშენებლობების კომისიას, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობდით?**

- კომისია გავაუქმეთ, რადგან სახელმწიფო უწყებების დუბლირება გამოგვდიოდა. არსებობს ქალაქის არქიტექტურის სამსახური, არქმშენინსპექცია, რომელთაც ამ პრობლემის მოგვარება ევალებათ.

**- დაახლოებით, ორი კვირის წინათ საკრებულოს ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ ნანული ქაჩიბაიამ სხდომაზე გაიტანა დადგენილების პროექტი, რომლის მეორე პუნქტშიც წერია: "იმ შემთხვევაში, თუკი შექმნილი ვითარება სასწრაფო რეაგირებას მოითხოვს და ობიექტურ ფაქტორთა გამო, მშენებლობის ნორმატიულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა ვერ ხერხდება, ეთხოვოს თბილისის მერს, ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსს ამგვარ მშენებლობებზე შესაბამისი ნებართვების გაცემა დაავალოს". მაშინ, ოპოზიციური ფრაქციების წინააღმდეგობის გამო, ამ დადგენილების დამტკიცება ვერ მოხერხდა. რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ ასეთი დადგენილების მიღება?**

- სანამ პრემიერი ვარ, მთავრობა ამ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს. უკანონობას ვერ დავაკანონებთ. როცა მშენებელი დაწესებულ რეგალამენტს აჭარბებს, ასეთი მშენებლობის გასაგრძელებლად ნებართვის გაცემა კანონის დარღვევაა. თუკი რაიმე განსაკუთრებული შემთხვევაა, გადაწყვეტილება ყველამ ერთად, მერიამ, საკრებულომ და პრეზიდენტმა, უნდა მიიღოს.









## აფიშა

### კონცერტები

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
"ჯეოსტარი"
დას: 20:30 სთ.

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
კამერული მუსიკის კონცერტი
დას: 19:00 სთ.

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
გაგა ნახუცრიშვილი, ზურა ქიქოძე
"ზეწოლა"
რეჟისორი: ზურა ქიქოძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
პიერ ბომარშე
"ფიგაროს ქორწინება"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
ჯონ სინგი
"გმირი"
რეჟისორი: ზურაბ გეწაძე
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
პრემიერა
კახა ბაკურაძე
"ლაბირინთი"
რეჟისორი: კახა ბაკურაძე
ფასი: 3-დან 7 ლარამდე
დას: 19:00 სთ.

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
"მეფე ლირის თავშესაფარი"
რეჟისორი: ოთარ ბაღათურია
დას: 18:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

**გლობუსი**
ნინო ნაკაშიძე
"ვინ არის დამნაშავე?"
რეჟისორი: სოსო ნემსაძე
ფასი: 2-3 ლარი
დას: 19:00 სთ

### კინოთეატრები

**რუსთაველი**
"ანაკონდა 2"
დას: 15:30; 17:30 სთ.

"ღრუბლებთან თამაში"
დას: 13:00; 19:30; 22:00 სთ.

**ამირანი**
"წყალქვეშა საძმო"
დას: 20:00; 22:00 სთ.
ფასი: 6-დან 14 ლარამდე

"მობილური ტელეფონი"
დას: 14:00; 16:00; 18:00 სთ.

მცირე დარბაზი
"ბანდიტები"
დას: 22:00 სთ.

**ცირკი**
რუსეთის საცირკო პროგრამა.
ნაჩვენები იქნება ხუთი კონტინენტის 89 სახეობის ცხოველი.
ფასი: 3-7 ლარი
ლოჟა: 15 ლარი
დას: 12:00; 15:00 სთ.

### გამოფენები

**ეროვნული ბიბლიოთეკა**
გამოფენა: "გადავარჩინოთ და ხელი შევუწყოთ ტრადიციულ ხალხურ ხელოვნებას"
(ორგანიზატორი ფონდი "ჰორიზონტი")
გახსნა: 13:00 სთ.

**სურათების ეროვნული გალერეა**
გამოფენა-ფოტოკონკურსი "ქოლგა 2004"

**ვერნისაჟი**
თენგიზ მირზაშვილის ნამუშევრების გამოფენა

**გოეთეს ინსტიტუტი**
ბეატ პრესნერის ფოტონამუშევრების გამოფენა

**ბაია გალერეა**
საშობაო გამოფენა
"სათამაშო"
(კერამიკა)

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

**TMS**
ნინო ფერაძის გრაფიკულ ნამუშევართა საშობაო გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"სამკაული და ისტორია"
მოძრავი გამოფენა-გაყიდვა

**ჰობი**
"კალეიდოსკოპი"

**ძველი გალერეა**
ავთანდილ გურგენიძის ფოტოგამოფენა

**ბავშვთა სურათების გალერეა**
"ზამთარი ჩვენს სახლებში"

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
"გიორგობისთვე"

**კლუბები**
**"აჭარა მიუზიქ ჰოლი"**
ნათან კოლუელსი (ლონდონი)
კლუბის გახსნა: 22:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# გაფანტული და თავმოყრილი

## საქართველოს კუთხეებიდან საგამოფენო დარბაზებამდე

ვერა ნეფარიძე

*ყველას, ვისაც საკუთარი ქვეყნის ლაბირინთებში მოგზაურობა და მისი უკეთ გაცნობა სურს, ვისთვისაც ძვირფასია ტრადიციები, ვისაც სურს, შემოქმედებითი სტიმული მისცეს ადამიანებს, რომლებიც უჩუმრად ქმნიან საქართველოს კულტურას, ფონდი "ჰორიზონტი" ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ეპატიჟება. დღეს აქ გაიხსნება გამოფენა "გადავარჩინოთ და ხელი შევუწყოთ ტრადიციულ ხალხურ ხელოვნებას". 22 დეკემბერს კი ექსპოზიცია საგანგებოდ გახსნილ მაღაზიაში გადაინაცვლებს.*

გამოფენა დასაწყისია იმ პროექტის, რომლის ამოცანაა არა ერთჯერადი გამოფენების ორგანიზება, არამედ უფრო პროცესის ხელშეწყობა. ხალხური რეწვის ოსტატების მხარდაჭერა, მათი ეკონომიკური და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ასევე ხელოვნების ტრადიციული დარგებისადმი ახალგაზრდობის ინტერესის გაძლიერება, - ასეთია ფონდ "ჰორიზონტის" ახლად წამოწყებული პროექტის მიზნები. ამ ყველაფრის საწყისი ეტაპი კი იქნება საქართველოს კუთხეებში შეგროვებული კერამიკული, ნაქსოვი თუ ხესა და ლითონზე შესრულებულ ნაკეთობათა გამოფენა. ექსპოზიციას ეყოლება საკუთარი გმირებიც -გახსნისთვის რეგიონებიდან საგანგებოდ ჩამოვიდნენ ამ ნამუშევრების შემქმნელებიც.



იური ლობოდინის ფოტო

*ფართო საზოგადოება დღეს ეროვნული ბიბლიოთეკის კედლებში იხილავს, რა სახით შემოგვრჩა ტრადიციული ხელოვნება.*

ყველაფერი ძალიან ადრე დაიწყო, როდესაც მესამე სექტორის ფონდი "ჰორიზონტი" რეგიონებში მუშაობით დაინტერესდა. "რეგიონებში ჩვენი მუშაობის მთავარი მიზანი ადგილობრივი მოქალაქეების გააქტიურება იყო. ვცდილობდით, ამ ხალხისთვის დაგვებრუნებინა რწმენა; გვინდოდა დაეჯერებინათ, რომ მათ შეეძლოთ, ყოფილიყვნენ შრომისუნარიანები როგორც პირადი სარგებლობისთვის, ისე საზოგადოებისთვის. ჩვენთვის მთავარი ამოცანა აქტიური მოქალაქეების ჩამოყალიბება იყო. ამ მიზნით ჩვენმა მუშაობამ თითქმის მთელი საქართველო, ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ყველა რეგიონი მოიცვა", - გვიამბობს ფონდის პრეზიდენტი ნინო სააკაშვილი. თავის მხრივ, ამგვარი საქმიანობა, საინტერესო აღმოჩნდა ფონდის წარმომადგენელთათვისაც. "კუთხე-კუთხე, სოფელ-სოფელ, უბრალო ხალხთან თანამშრომლობამ "ჰორიზონტს" საკუთარი ქვეყნისა და ხალხის შესახებ სრულიად განსაკუთრებული ცოდნა და გამოცდილება შესძინა", - მიიჩნევენ მესამე სექტორის ფონდში.

მომავალში "ჰორიზონტის" მუშაობის გასაგრძელებლად მნიშვნელოვანი იყო რეგიონებში საზოგადოებრივი აზრის შესწავლა. გამოკითხვების შედეგად გამოიკვეთა პრიორიტეტები. ცხადია, მოსაგვარებელი იყო სოციალური პირობები, ინფრასტრუქტურა, გზები, სკოლები და ა.შ. თუმცა, ფონდმა არანაკლებ მნიშვნელოვნად მიიჩნია აქა-იქ შემორჩენილ, ტრადიციული ხელოვნების დარგების ოსტატებში არსებული ცოდნის დაფასება და მისი გადარჩენა.

ამ მიზნით საქართველოს კუთხეებში შეგროვდა ტრადიციული ხელოვნების ნიმუშები (გამოფენაზე, ცხადია, ყველა მათგანი ვერ გამოიფინება); შეკრიბეს ოსტატებიც (რომელთა მცირე ნაწილიც დაესწრება დღეს გამოფენის გახსნას); პირველ ეტაპზე ფართო საზოგადოება ჯერ ეროვნული ბიბლიოთეკის კედლებში იხილავს, რა სახით შემოგვრჩა ტრადიციული ხელოვნება. როგორც ორგანიზატორები გვპირდებიან, ექსპოზიცია საინტერესო იქნება როგორც რიგითი დამთვალიერებლისთვის, ისე ტრადიციული ქართული ხელოვნების დარგებში მომუშავე ოსტატებისთვისაც. მაგალითად, აქ იქნება წარმოდგენილი ერთი და იგივე სახის ნივთები სხვადასხვა კუთხიდან; თავად ოსტატები კი, მათი დამზადების, ამ კუთხეებში დაგროვილ განსხვავებულ გამოცდილებას გაუზიარებენ დაინტერესებულ ადამიანებს. გამოფენა 20 დეკემბრამდე გაგრძელდება; 22-დან კი ექსპოზიცია გადაინაცვლებს საგანგებოდ ამ პროექტისთვის გახსნილ მაღაზიაში (რუსთაველის 22/ბესიკის 2), სადაც ეს ყველაფერი გაიყიდება. ღონისძიება საქველმოქმედოა. შემოსავალი მოხმარდება როგორც ამ ნამუშევართა ავტორებს, ისე ამა თუ იმ თემის განვითარებას. "თქვენი მონაწილეობა გამოფენა-გაყიდვაში სულიერი და მატერიალური მხარდაჭერაა არა მარტო მათთვის, ვისი შემოქმედების ნაყოფიც ამ დღეს გაიყიდება, არამედ იმ თემისთვისაც, ვის წიაღშიც ეს ხელოვნება აღმოცენდა; შემოსული თანხის ნაწილი თემის ინფრასტრუქტურისა და ყოფითი პირობების გაუმჯობესებას მოხმარდება", - წერია გამოფენის პრესრელიზში. პროექტის ავტორები იმედოვნებენ, რომ ინტენსიური გამოფენები, ტენდენცია, რომ გამოფენა-გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლით წახალისდებიან ოსტატები, ტრადიციული ხელოვნებისადმი ახალგაზრდების ინტერესსაც გააძლიერებს.

# ბაროკოდან - თანამედროვე ჯაზამდე

## კონსერვატორიაში მეშვიდე საერთაშორისო ფესტივალი იხსნება

მადი სერებრიაკოვა

კონსერვატორიაში საახალწლო მუსიკალური შეხვედრების ციკლი უკვე მეშვიდედ ტარდება. ფესტივალი ყოველწლიურად სულ უფრო მასშტაბური ხდება. წელს კონსერვატორიაში განსაკუთრებულ სტუმრიანობას ელიან. დაგეგმილი ათი კონცერტისთვის თბილისში 20-ზე მეტი გამოჩენილი მუსიკოსი ჩამოდის. ტრადიციულად მუსიკალური შეხვედრები მრავალმხრივია სტილური თვალსაზრისითაც: კამერული, სიმფონიური, ჯაზური მუსიკა, საორღანო და საგუნდო კონცერტები. ძალზედ კომპაქტურად დაგეგმილი ფესტივალი 17-დან 30 დეკემბრამდე გასტანს კონსერვატორიის დიდ დარბაზში.

დღეს, კონსერვატორიის საახალწლო მუსიკალური შეხვედრების ციკლს ლატვიელი ორგანისტი ტალივალდის დეკსნისი გახსნის. **"უკანასკნელად საქართველოში 15 წლის წინათ ვიყავი. დიდი სიამოვნებით დავთანხმდი ამ წინადადებას, რადგან საქართველოში საყვარელი მეგობრები მეგულებიან, მათ შორის ჩემი კოლეგა ეთერ მგალობლიშვილი, რომელიც პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში ერთ-ერთი საუკეთესო, დახვეწილი მუსიკოსია."**

დეკსნისმა კარიერა 70-იან წლებში დაიწყო. მას ბრწყინვალე პიანისტის მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა მუსიკოსმა ორღანი აირჩია და საკუთარი შემოქმედება მთლიანად საორღანო საეკლესიო მუსიკას მიუძღვნა. ის არა მარტო ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელია ორღანზე, არამედ ამ ინსტრუმენტის ექსპერტიც გახლავთ. თავად აწყობს და რესტავრაციას უკეთებს ორღანებს. ამჟამად დეკსნისი რიგის დომის ტაძრის საკონცერტო ორღანისტია, კონცერტებს მართავს მთელს ევროპაში, ამერიკასა და კანადაში. ასრულებს როგორც ძველ საეკლესიო მუსიკას, ასევე ამ ჟანრის ახალ ნიმუშებსაც - მესიანის, ებენის, ჰაკიმის ნაწარმოებებს. თბილისში დეკსნისი ფართო და საინტერესო პროგრამით წარდგება - ტელემნიდან და ბახიდან - ვასკსისა და ჰაკიმის ნაწარმოებებამდე.



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*კონსერვატორიაში საახალწლო მუსიკალური შეხვედრების ციკლისთვის ემზადებიან.*

საახალწლო მუსიკალური შეხვედრებისთვის თბილისში ჩამოდიან მუსიკოსები დიდი ბრიტანეთიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, თუ ნიდერლანდებიდან. დიდი ბრიტანეთიდან ყაზახური წარმოშობის მევიოლინე მარატ ბისენგალიევი და პიანისტი ჯონ ლენეჰანი ჩამოდიან. ჩეხ ჩელისტთან - ჟირი ბარტასთან ერთად კონცერტს გამართავს ცნობილი პიანისტი ჰემიშ მილნიც. საფრანგეთიდან კონსერვატორიის ხშირი და მეტად საყვარელი სტუმრები ჟერომ პერნო და ჟერომ დიუკრო ჩამოდიან. ეს დუეტი წელს ტრიოდ გადაკეთდება, მათ მევიოლინე ჟულიენ შოვენი შეუერთდება.

ყველაზე წარმომადგენლობითი დელეგაცია ნიდერლანდებიდან ჩამოდის. მევიოლინეები ლიზა ფერშტმანი და კლერ ჰაიდცი, ჩელისტი სოფი ადამი, კლარნეტისტი ფრანკ ვან დენ ბრინკი თბილისში ცნობილი დირიჟორის ლევ მარკიზის ინიციატივით ჩამოდიან. ეს უკანასკნელი კონსერვატორიის სტუდენტური ორკესტრის ხელმძღვანელი და კონსერვატორიის დიდი მოამაგეა. მან ჰოლანდიაში შექმნა სპეციალური ფონდი კონსერვატორიის დასახმარებლად და ამარაგებს სასწავლებელს ინსტრუმენტებით, სანოტო ლიტერატურით, სტიპენდიებს უნიშნავს სტუდენტებს და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ყველა მოწვეული მუსიკოსი თბილისში უჰონორაროდ ჩამოდის.

განსაკუთრებულ ხალხმრავლობას კონსერვატორიაში ჯაზის საღამოზე ელოდებიან. "თაგის არტსისა" და ამერიკის საელჩოს ხელშეწყობით ფესტივალზე ამერიკელი ჯაზური პიანისტი რიჩი ბაირაქი და გერმანიაში მოღვაწე კვარტეტი "შინ" ჩამოდის. ეს უკანასკნელი ზაზა მიმინოშვილის, ზურაბ გაგნიძის, რეი კაჩინსკის და მამუკა ღაღანიძის შემადგენლობით არის წარმოდგენილი.

ტრადიციულად, საახალწლო მუსიკალური შეხვედრები გარკვეულ საგანმანათლებლო პროგრამასაც მოიცავს. მოწვეული მუსიკოსების ნაწილი მასტერ-კლასებს ჩაატარებენ კონსერვატორიის სტუდენტებისთვის. თავისუფალ მასტერ-კლასს გამართავს ჯაზის საღამოს მთავარი სტუმარი რიჩი ბაირაქიც, რომელიც ფორტეპიანოზე ჯაზური იმპროვიზაციის თავისებურ ტექნიკას ნებისმიერ დაინტერესებულ პიანისტს გაუზიარებს.

საქართველოს მხრიდან ფესტივალის რამდენიმე კონცერტში კონსერვატორიის სტუდენტური ორკესტრი მიიღებს მონაწილეობას ლევ მარკიზის ხელმძღვანელობით. ერთ-ერთ კონცერტზე გამოვა ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი მანანა დოიჯაშვილი, ასევე კონსერვატორიის რამდენიმე წარჩინებული სტუდენტი (კლარნეტისტი ლევან ცხადაძე და პიანისტი ნინო გვეტაძე). **"დარწმუნებული ვარ, სტუდენტების გამოჩენილი მუსიკოსების გვერდით გამოსვლა წარმატებული ექსპერიმენტი იქნება"** - აღნიშნავს მანანა დოიჯაშვილი **- "ეს ყველაზე დიდი სტიმული და საუკეთესო გაკვეთილია მათთვის".**

გარდა, ოფიციალური პროგრამისა, ფესტივალი კიდევ რამდენიმე ღირსშესანიშნაობას მოიცავს. პირველი ღირსშესანიშნაობა მუსიკალური აპარატურის მწარმოებელი ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა "იამაჰას" საჩუქარი - ელექტრონული ინსტრუმენტი კლავინოლაა, რომელიც "იამაჰამ "კონსერვატორიას ნიუპორტის ფესტივალის გენერალური დირექტორის და თბილისის კონსერვატორიის დიდი მეგობრის მარკ მალკოვიჩის თხოვნითა და ხელშეწყობით გადასცა. კლავინოლას პრეზენტაცია მანანა დოიჯაშვილმა სტუდნტების დახმარებით გუშინ პრესკონფერენციაზე მოაწყო. მსმენელმაც და შემსრულებლებმაც დიდი სიამოვნება მიიღეს ინსტრუმენტის არაჩვეულებრივი ტექნიკური შესაძლებლობების გამოცდით. როგორც რექტორმა აღნიშნა, კლავინოლა, პირველ რიგში, კონსერვატორიის ორკესტრს დასჭირდება. ინსტრუმენტი ბევრად გაუადვილებს საქმეს კომპოზიტორებს, მასზე ექსპერიმენტირება შეეძლებათ პიანისტებსაც.

საახალწლო მუსიკალური შეხვედრების არაოფიციალური პროგრამის ნაწილია დისკის პრეზენტაცია. ესეც ფესტივალის ერთგვარ ტრადიციად დამკვიდრდა. შარშან, კონსერვატორიის ძალისხმევით ცნობილი პიანისტისა და პედაგოგის ნანა დიმიტრიადის ალბომი გამოიცა. წელს, კი კონსერვატორიის კამერული ორკესტრის ალბომის პრეზენტაცია შედგება. ეს ჩანაწერი 1978 წელს არის გაკეთებული კარაიანის სახელობის კონკურსზე, სადაც ჩვენმა ორკესტრმა პირველი პრემია მოიპოვა. ორკესტრს ოთარ საფარიშვილი ხელმღვანელობდა, თუმცა კონკურსისთვის მის მომზადებაში დიდი წვლილი ლევ მარკიზმაც შეიტანა.

ფესტივალის გახსნასთან დაკავშირებულ პრესკონფერენციაზე მუსიკალური შეხვედრების ორგანიზატორებმა განსაკუთრებით აღნიშნეს კულტურის სამინისტროს დამსახურება. ეს უკანასკნელი ბოლო დროს ძალიან გააქტიურდა და დიდ დახმარებას უწევს კონსერვატორიის ძველი თუ ახალი პროექტების განხორციელებაში. ფესტივალის გამართვაში წვლილი შეიტანეს ასევე საფრანგეთის, ნიდერლანდების და ამერიკის საელჩოებმა.

# „დებიუტი" დამთავრდა

სალომე კიკალეიშვილი

*ხმამაღალი ოვაცია და ჟიურისგან ოდნავ მოულოდნელი, თუმცა, ობიექტური გადაწყვეტილებისგან დაბნეული სტუდენტები - ასეთი იყო გუშინდელი დღე კინოთეატრ "რუსთაველში", სადაც დასრულდა შოთა რუსთაველის სახელობის კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და ასპირანტთა კონკურს-ფესტივალი "დებიუტი".*

სტუდენტური ფესტივალი "დებიუტი" უკვე მესამედ გაიმართა და, ტრადიციისამებრ, კინოსა და თეატრის ახალგაზრდა მოღვაწეებს უმასპინძლა. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ნამუშევრების: ფილმების, ვიდეორგოლებისა თუ სპექტაკლების ნახვისა და შეფასების საშუალება კი მაყურებელს ექვსი დღის მანძილზე ჰქონდა.

უდავოდ მნიშვნელოვანი და აუცილებელია სტუდენტური ფესტივალის არსებობა, მით უფრო, თუ ის საკმაოდ მაღალ დონეზე, კარგად ორგანიზებულია. სწორედ ფესტივალის დახმარებით გვეძლევა საშუალება, თვალი ვადევნოთ იმ ცვლილებებს, რაც სტუდენტთა შემოქმედებაში იჩენს თავს და რაც პირდაპირ კავშირშია ქართული კინოსა თუ თეატრის მომავალთან. ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა შემოქმედება მეტ-ნაკლებად ცნობილია სტუდენტური ფესტივალებიდან თუ კინოს სახლში გამართული პერსონალური ჩვენებებიდან. ხოლო ის, თუ რას და როგორ აკეთებენ ახალგაზრდა თეატრალური მოღვაწენი, ვინ შეიძლება დადგეს მომავალში რუსთაველის, მარჯანიშვილის თუ სხვა თეატრების სცენაზე და რამდენად საინტერესოდ მუშაობენ სტუდენტები და მათი პედაგოგები, უდავოდ საინტერესო სანახავი იყო.

ფესტივალის დახურვისას წარმოდგენილი რამდენიმე ვიდეორგოლიდან (რაც წინა ფესტივალების მსვლელობის ამსახველ ვიდეო და ფოტომასალას წარმოადგენდა) ერთ-ერთმა დარბაზში მსხდომთა ყურადღება მიიქცია (რაც ახალგაზრდებმა მქუხარე ტაშით და შეძახილებით გამოხატეს), კერძოდ, ვიდეორგოლის იმ ნაწილმა, რომელშიც ფესტივალის მიმართ ჟიურის წევრთა კრიტიკული გამონათქვამები ისმოდა. კრიტიკა მიმართული იყო პედაგოგებისა და აღმზრდელებისკენ: ჯობს, თეატრის რეჟისორებმა უფრო მეტი იფიქრონ სტუდენტთა ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენაზე, ვიდრე საკუთარი მასშტაბურობისა და შესაძლებლობების ჩვენებაზე. კინორეჟისორების ნამუშევართა უმრავლესობაში საერთოდ არ იგრძნობოდა პედაგოგის არსებობა, რაც, თავისთავად, კიდევ უფრო აფერხებს მათ ჩამოყალიბებასა თუ განვითარებას - ეს კი, ჩემი აზრით, ყველაზე ობიექტური შეფასება იყო, რაც კი ოდესმე ფესტივალებზე გამოთქმულა.


*ჟიურის წევრი - გუჯა ბურდული შედეგებით კმაყოფილია.*

სიახლე წლევანდელი ჟიურისგან მართლაც ბევრი იყო, რომელმაც როგორც მოხსნა, ისე დაამატა რამდენიმე ნომინაცია. დამატებული ნომინაციებიდან ერთ-ერთი იყო უშუალო ეკრანული სახისთვის გადაცემული პრიზი, რომელიც ერგო გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტის ნუნუ ფრიდონაშვილის ფილმის მთავარ გმირს... ქალბატონ სანდრა რულოვსს; ფესტივალის მთავარმა სპონსორმა კომპანიამ "ძველი თბილისი" ვიდეორგოლების კონკურსი ჩაატარა თემაზე "ძველი თბილისი" სტუდენტის თვალით". საუკეთესო ვიდეორგოლის ავტორები დაჯილდოვდნენ სამახსოვრო პრიზებით; გამოვლინდნენ საუკეთესო სტუდენტი კინომცოდნე და თეატრმცოდნეები, რასაც მოჰყვა ფესტივალის დახურვის კულმინაციური მომენტი - ძირითადი ნომინაციების გამოცხადება. წლევანდელ "დებიუტზე" წარმოდგენილ სპექტაკლებს შორის არ დასახელდა საუკეთესო რეჟისორის, სცენოგრაფისა და მუსიკალური გამფორმებლის ვინაობა. დანარჩენი ნომინაციები ორ სპექტაკლზე განაწილდა: დიმა ხვთისიაშვილის "ღია შუშაბანდი" და სოსო ნემსაძის "გუშინდელნი". მამაკაცის როლის საუკეთესი შემსრულებლად დასახელდნენ მამუკა მუმლაძე ("ღია შუშაბანდი") და ნიკა კუჭავა ("გუშინდელნი"); ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის თეკლა დათებაშვილი ("ღია შუშაბანდი"); ხოლო წლის საუკეთესო სტუდენტურ სპექტაკლად სოსო ნემსაძის "გუშინდელნი" დასახელდა. ალბათ, სულ მალე თქვენც შეძლებთ სტუდენტთა მონაწილეობით შექმნილი "ღია შუშაბანდისა" და "გუშინდელნის" ნახვას, რადგან ფესტივალის პრიზიორი სპექტაკლები რეჟისორმა სანდრო მრევლიშვილმა თეატრ "გლობუსის" სცენაზე მიიპატიჟა.

ვისთვის მოულოდნელი, ვისთვის კი ძალზე ბუნებრივი და ობიექტური იყო ჟიურის გადაწყვეტილება - მან მხოლოდ ერთი პრიზი "გაიმეტა" ქართველი კინორეჟისორისთვის. ეს იყო დავით ჩოკოლაშვილის ფილმი "უბრალოდ ამბავი" რომელმაც საუკეთესო სცენარის ნომინაციაში გაიმარჯვა. წლის საუკეთესო ოპერატორული ნამუშევარი და გრან-პრი გადაეცა ნიდერლანდების კინოსა და ტელევიზიის აკადემიის სტუდენტს არჩილ ხეთაგურს ფილმისთვის "მემკვიდრე"; საუკეთესო რეჟისურისთვის კი ასევე ნიდერლანდელ ვიტაუტას დამბრაუსკასს ფილმისთვის "ორმაგი ისტორია".

ასე რომ, დასრულდა კიდევ ერთი სტუდენტური ფესტივალი ყოველგვარი აღმოჩენებისა და ფავორიტების გარეშე. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ, წინა კონკურსებისგან განსხვავებით, ყოველი ახალი ჩვენება პატარა, მაგრამ მაინც წინ გადადგმული ნაბიჯია. ეს კი ფესტივალის ყველაზე მთავარი მიღწევაა.

# ჟიზელის დასასრული

## გარდაიცვალა ალისია მარკოვა

მელორ სტურუა
საქ. კორი. აშშ

ინგლისის ქალაქ ბეთში, 94 წლის ასაკში გარდაიცვალა მე-20 საუკუნის ყველაზე სახელგანთქმული არარუს ბალერინათა შორის, თუმცა კი ის რუსულ სახელს ატარებდა. 2004 წლის 2 დეკემბერს ლეგენდარული ალისია მარკოვა გარდაიცვალა.

ლილიან ალისია მარქსი 1910 წლის 1 დეკემბერს, ლონდონში დაიბადა. თავდაპირველად პატარა ლილიანი საბალეტო სკოლაში, რომელსაც მის ტორნის ცეკვის აკადემიას უწოდებდნენ, ექიმის რჩევით მიაბარეს და არა იმიტომ, რომ მას განსაკუთრებული მონაცემები შენიშნეს. სუსტი ფეხების გასაკაჟებლად მისულმა ბავშვმა კი მასწავლებლები გააოგნა. ის ბრწყინვალედ ასრულებდა ყველაფერს, რასაც აჩვენებდნენ. მალე კი საშობაო პანტომიმის წარმოდგენებში დაიწყო მონაწილეობა.


*ალისია მარკოვა.*

შვილის წარმატებებით ფრთაშესხმულმა დედამ გადაწყვიტა, შვილი ლონდონის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ საბალეტო სასწავლებელში გადაეყვანა, რომელსაც სერაფინა ასტაფიევა ხელმძღვანელობდა. დედამ მომავალ მასწავლებელს შვილი ისე წარუდგინა, როგორც მას პანტომიმის რეკლამებში მოიხსენებდნენ - "პატარა ალისია - მინიატურული პავლოვა". ამგვარი თავხედობით აღშფოთებულმა ასტაფიევამ დედა-შვილს ცხვირწინ კარი მიუჯახუნა და სიბრაზემ მხოლოდ გარკვეული პერიოდის მერე, მაშინ გადაუარა, როცა გოგონას ცეკვა იხილა. მან "მინიატურული პავლოვა" მოსწავლედ აიყვანა.

1924 წელს ლილიან ალისია მარქსის "გარუსების" საბოლოო აქტი ჩატარდა. 14 წლის მოზარდი იმ დროისათვის ყველაზე ცნობილი ბალეტის - სერჟ დიაგილევის "ბალე რიუსის" მოცეკვავე გახდა. პირველი სოლო 1926 წელს იგორ სტრავინსკის მუსიკაზე ჯორჯ ბალანჩინის მიერ დადგმულ სპექტაკლში Le Rossignol-ში იცეკვა. ტრადიციულად, დიაგილევის ბალეტის ყველა მონაწილე, თუკი წარმოშობით რუსი არ იყო, ფსევდონიმად მაინც იღებდა რუსულ გვარს. ალისიას ნათლია თავად დიაგილევი გახლდათ, რომელმაც "მარქსი" "მარკოვად" შეცვალა. მაგრამ დიაგილევს ალისიასთვის მარტო რუსული გვარი არ მიუცია, მან მას რუსი გუვერნანტი ქალიც მიჰგვარა, რომელიც მუდმივად თვალს ადევნებდა გოგონას, მის დღის რეჟიმს აკონტროლებდა, დაჰყვებოდა მიღებებზე და, რაც მთავარია, ტკბილეულის მოყვარულ ალისიას შოკოლადით გატაცების უფლებას არ აძლევდა - წონა ბალერინის სუსტი წერტილია.

1929 წელს დიაგილევი გარდაიცვალა და ალისია ლონდონში დაბრუნდა. მის ირგვლივ ჩამოყალიბება დაიწყო პირველმა სერიოზულმა ინგლისურმა საბალეტო დასებმა, მაგალითად, ისეთებმა, როგორიც იყო "ბალეტ რემბერტი" და "ვიკ-ველს ბალეტი", რომლისგანაც მოგვაინებით "სამეფო ბალეტი" "გამოიჩეკა". რუსული გვარის მქონე ინგლისელმა ბალერინამ სუსტ მხრებზე ძალზე მძიმე მისია იტვირთა - დაემტკიცებინა, რომ კლასიკური ბალეტის ცეკვა რუსების გარდა, სხვასაც შეუძლია. და ამის დამტკიცება მან კლასიკურად შეძლო.

1934 წელს ალისიამ ჩამოაყალიბა საკუთარი დასი "მარკოვა-დოლინ ბალეტი". ანტონ დოლინი მარკოვას კარიერისთვის ნიშანდობლივი პარტნიორი გამოდგა. 1938 წელს მარკოვამ სოლო პარტია იცეკვა "ბალე რიუს დე მონტე-კარლოში", სადაც დარჩა კიდეც 1941 წლამდე. მერე კი ბედმა კვლავ დოლინთან მიიყვანა და მათ 1945 წელს ახალ თეატრს ჩაუყარეს საფუძველი, ოღონდ ამჯერად ამერიკაში. ინგლისში მარკოვა მხოლოდ ომის შემდეგ დაბრუნდა და დოლინთან ერთად კვლავ ახალი "ლონდონის საფესტივალო ბალეტის" (ამჟამად "ინგლისის ნაციონალური ბალეტი") ფუძემდებლები გახდნენ. მარკოვა ამ თეატრში პრიმა-ბალერინად 1952 წლამდე რჩება. ამის შემდეგ კი მხოლოდ და მხოლოდ სპეციალურ სპექტაკლებში, მიწვეული ვარსკვლავის სტატუსით ცეკვავს, 1963 წელს კი საბოლოოდ ემშვიდობება სცენას. იმავე წელს დედოფალმა ელიზაბეტ მეორემ ლედის წოდება უბოძა (ეკვივალენტიურია მამაკაცის წოდებისა "სერ").

ავტობიოგრაფიულ წიგნს, რომელიც 1960 წელს გამოვიდა, მარკოვამ მოკლე, მაგრამ ამომწურავი სახელი უწოდა - "ჟიზელი და მე". ჟიზელის როლი მისთვის გზის მანათობელი შუქურა და უკვდავებისკენ გზის გამკვალავი აღმოჩნდა. რაღაც სასწაულით შეძლო მან მე-19 საუკუნის საბალეტო რომანტიზმის ეს სიმბოლო მშფოთვარე და ველურ მე-20 ასწლეულში გადმოეტანა. პირველად ჟიზელი 1938 წელს იცეკვა, როდესაც "ბალე რიუს დე მონტე-კარლოსთან" ერთად ამერიკაში გასტროლებზე გაემგზავრა. ჟიზელის პარტიას ის მოგვიანებითაც ასრულებდა, როდესაც "ამერიკის საბალეტო თეატრის სოლისტი" იყო. მარკოვა - ჟიზელი, ის ამ როლის შესრულების ეტალონი გახლდათ. რამდენიმე წლის შემდეგ მან მითხრა: "ინგლისში ჩემი მემკვიდრე მარგო ფონტეინი გახდა, მაგრამ "ჟიზელში" ჩემი მემკვიდრე გალინა ულანოვაა".

მაყურებელს არ წყინდებოდა მარკოვა-ჟიზელის ცქერა, მარკოვა არ იღლებოდა ჟიზელის ცეკვით. "ნიუ იორკ ტაიმსის" საბალეტო კრიტიკოსი ჯონ მარტინი 1958 წელს წერდა: "მარკოვას იმდენჯერ უცეკვია ჟიზელი, რომ, უეჭველია, იგი მის ცეკვას ძილშიაც შეძლებს. მაგრამ გასაკვირიც ის გახლავთ, რომ იგი არასოდეს ცეკვავს ჟიზელს, როგორც ძილში. მისი ჟიზელი ყოველთვის ნორჩია, მგრძნობიარე და შემოქმედებითია, თითქოს ის პირველად ცეკვავდეს ამ როლს. მაგრამ ამასთანავე, რა სიმდიდრე დააგროვა ჟიზელის ცეკვით!".

ჟიზელის გვერდით დგანან მარკოვას მიერ შექმნილი სახეები "გედების ტბასა" და "ზილფიდებში". მაგრამ მარკოვა მაყურებელს ყოველთვის კლასიკური გამჭვირვალობით როდი აკვირვებდა. ზოგჯერ მის პატარა სხეულში ვულკანი შფოთავდა (მარკოვა სიმაღლით 5 ფუტი და 2 დიუიმი იყო, მისი წონა კი 98 ფუნტს არ აღემატებოდა). ასეთი იყო ის "რომეოსა და ჯულიეტაში". ბალეტის ისტორიკოსი გრეის რობერტსი წერდა: "დაუვიწყარია მისი შველისებური სიმორცხვე პირველ სცენაში, მისი ტრაგიზმი და განწირულობა აკლდამაში ძალით და დახვეწილობით გასაოცარია". წარმოუდგენელი იყო ასევე, როგორ ვირტუოზულად ახერხებდა ფანტასტიკური მარკოვა-ჟიზელი ფეთქებადი ზემფირას პარტიის ცეკვას.

1990 წლის 2 დეკემბერს ლონდონში "სედლერს ველსის" სცენაზე მარკოვას 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გალა-კონცერტი გაიმართა. მას ინგლისური ბალეტის დედოფალი, ასევე "ლედი", ნინეტ დე ვალუა მიესალმა. დე ვალუა სულაც არ აზვიადებდა, როდესაც ამბობდა, რომ ალისია მარკოვას მთელი ცხოვრება მხოლოდ და მხოლოდ ცეკვისთვის იყო მიძღვნილი. მას არ ჰქონია პირადი ცხოვრება - არასოდეს ჰყოლია ქმარი, შვილები და "ცეკვისთვის იშვიათად თუ უღალატია... კლასიკურ მუსიკასა და ბანქოსთან, რომლის თამაშის დროსაც, როგორც წესი, მოგებული რჩებოდა".

ალისია მარკოვას, ყველაზე დიდი, არარუსად დაბადებული, რუსი ბალერინის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი უდიდებულესობა ტერფსიხორას ქვეშევრდომთა გულებში.

## ათეულები

| კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მიხედვით | | | |
|---|---|---|---|
| წიგნი | ავტორი | გამომცემლობა | რეიტინგი |
| მზია სურგულაძე | საქართველოს ისტორია მასწავლებლისთვის | "ლიტერა" | 5.2 |
| ო. გოლიაძე | ქართველ მწერალთა ბიოგრაფიები | "ლიტერა" | 3.2 |
| ირაკლი კაკაბაძე | "თანაგრძნობის სიმღერა" | "სიესტა" | 1.6 |
| ალენ კარი | "ბოლო სიგარეტი – მარტივი გზა" | "რუსთავი 2 პრინტი" | 1.6 |
| ბორის პასტერნაკი | "ექიმი ჟივაგო" | "ინტელექტი" | 1.6 |
| გურამ მაჭავარიანი | "მგლები" | შპს "თბილისელები" | 1.2 |
| თომას მელმროუზი | "ბავშვის ცხოვრების 365 დღე" | "კამარინი" | 0.8 |
| ირმა მალაციძე | "სატკბილეულის ქვეყანა" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 0.8 |
| აკაკი ბაქრაძე | "თხზულებები ტომი I" | "მერანი/ლომისი" | 0.8 |
| რეი გიბსონი | "მე შევიძინე ცხოველების ბაღი" | "ჯიო ქარჩხაძის გამომცემლობა" | 0.8 |



| კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფილმი | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
| "ოუშენის 12 მეგობარი" | სტივენ სოდერბერგი | ჯორჯ კლუნი, ბრედ პიტი, მეტ დეიმონი, კეტრინ ზეტა-ჯონსი, ჯულია რობერტსი | 39,153,380 | 39,153,380 |
| "ბლეიდი: სამება" | დეივიდ ს. გოიერი | უესლი სნაიპსი, კრის კრისტოფერსონი | 16,061,271 | 24,484,815 |
| "ეროვნული განძი" | ჯონ ტერტელტაუბი | ნიკოლას კეიჯი, შონ ბინი, დაიან კრუგერი | 9,832,622 | 124,871,959 |
| "პოლარული ექსპრესი" | რობერტ ზემეკისი | ტომ ჰენქსი, კრის კუპერი | 9,588,412 | 109,826,909 |
| "შობა კრენქებთან ერთად" | ჯო როთი | ტიმ ალენი, ჯეიმი ლი კერტისი, დენ ეიკროიდი | 7,610,848 | 54,781,892 |
| The Incredibles | ბრედ ბერდი | კრეიგ ნელსონი, ჰოლი ჰანტერი, სემუელ ლ. ჯექსონი | 5,036,631 | 232,573,246 |
| "სპანჯბობ სკვეარპენტსის კინო" | მარკ ოსბორნი, ს.ჯ. ჰილენბურგი | ტომ კენი, როჯერ ბამპასი | 4,357,811 | 73,996,022 |
| "სიახლოვე" | მაიკ ნიკოლსი | ნატალი პორტმანი, ჯულია რობერტსი, ჯუდ ლოუ, კლაივ ოუენი | 3,735,153 | 13,740,180 |
| "ნეტარების ძიებაში" | მარკ ფორსტერი | ჯონი დეპი, კეიტ უინსლეტი, ჯული კრისტი, ... | 1,688,620 | 14,209,515 |
| "ალექსანდრე" | ოლივერ სტოუნი | კოლინ ფარელი, ანჯელინა ჯოლი, ენტონი ჰოპკინსი, ვალ კილმერი, ჯარედ ლეტო | 1,479,348 | 32,994,911 |

| თანამედროვე როკის საუკეთესო სიმღერები ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით | | | |
|---|---|---|---|
| შემსრულებელი | სიმღერის სათაური | წინა კვირის მაჩვენებელი | ჩარტებში გატარებული პერიოდი |
| "გრინ დეი" | Boulevard of Broken Dreams | 1 | 10 კვირა |
| "თრი დეიზ გრეისი" | Pain | 2 | 15 კვირა |
| "შეველი" | Vitamin R | 4 | 18 კვირა |
| "კროსფეიდი" | Cold | 5 | 24 კვირა |
| U2 | Interscope | 3 | 11 კვირა |
| "მოდესტ მაუსი" | Ocean Breathes Salty | 6 | 15 კვირა |
| "ქილერსი" | Mr. Brightside | 7 | 10 კვირა |
| "ბრეიკინგ ბენჯამინი" | So Cold | 8 | 30 კვირა |
| "ჯეტი" | Look What You've Done | 11 | 9 კვირა |
| "პაპა როუჩი" | Getting Away With Murder | 9 | 21 კვირა |

ფეხბურთი

# „დინამო" არდადეგებზე წავიდა

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე პრესკონფერენცია გამართეს საფეხბურთო კლუბ თბილისის "დინამოს" მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა და სპორტულმა დირექტორმა კახა ჭუმბურიძემ. კლუბის ხელმძღვანელებმა ისაუბრეს იმ შედეგებზე, რომლებსაც "დინამომ" 2004 წლის საფეხბურთო სეზონში მიაღწია.

შესაჯამებელი კი "დინამოს", მართლაც, ბევრი ჰქონდა. სეზონი დაიწყო თანამეგობრობის თასის ტურნირში შუშაკის გუნდის ტრიუმფალური გამოსვლით, გაგრძელდა რევოლუციური ცვლილებებით - მთავარი მწვრთნელის პოსტზე გია გეგუჩაძის მოსვლით და ახალი გუნდის შენებით, რასაც ჯერ უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპებზე "დინამოს" ბრწყინვალე გამოსვლა, ხოლო შემდეგ, ჯგუფურ ეტაპზე, სრული ფიასკო მოყვა. რაც შეეხება ეროვნულ ჩემპიონატს, მისი პირველი ნაწილის მსვლელობაში გეგუჩაძის გუნდს გარკვეული პრობლემები შეექმნა, თუმცა, წლის ბოლოსთვის ვითარება გამოსწორდა და "დინამომ" სატურნირო ცხრილის პირველ საფეხურზე, "შემოდგომის ჩემპიონის" არაოფიციალური ტიტულით დაასრულა წელი. დავით ყიფიანის თასის გათამაშებაშიც გუნდი მერვედფინალშია გასული. ასეთი შედეგების მიუხედავად, კლუბის ხელმძღვანელობა თვითკრიტიკულად მიუდგა საკითხს და "დინამო 2004"-ის ცალსახად დადებითად შეფასებისგან თავი შეიკავა.

"სეზონისთვის მზადება ექვსი თვის წინ, გერმანიაში გამართული საწვრთნელი შეკრებით დავიწყეთ, სადაც ძლიერ პარტნიორებთან გავმართეთ სპარინგმატჩები. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად გუნდის ხელახლა მშენებლობა დაიწყო, ძლიერ გუნდებთან თამაშების ჩატარებას არ მოვერიდეთ. ასეთმა სტრატეგიამ გაამართლა, რაც უკვე შემდეგ, უეფას თასზე ასპარეზობისას გამოჩნდა. გავიარეთ ჯგუფურისწინა სამი ეტაპი და უეფას თასის ძირითად ტურნირში მოვხვდით. ქვეჯგუფში "დინამომ" ოთხივე მატჩი წააგო, რის გამოც კრიტიკა არ აგვცდა, თუმცა, ესეც დადებით მოვლენად მიმაჩნია. ის, რომ ისმის შეკითხვა: რატომ ვერ მოუგო "დინამომ" "ნიუკასლს", "სოშოს" და "სპორტინგს", უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს. ამ მატჩებში ჩვენმა ახალგაზრდულმა გუნდმა დიდი გამოცდილება შეიძინა,



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*დავით პეტრიაშვილი: "ის, რომ "დინამომ" უეფას თასის ჯგუფური ეტაპის ოთხივე მატჩი დათმო, ყველაზე უფრო მე მეწყინა".*

რაც სამომავლოდ ძალზე წაგვადგება. ეროვნულ ჩემპიონატშიც გუნდმა პირველ ადგილზე გადაკვეთა შუალედური ფინიში. ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს, დადებითად შევაფასოთ 2004 წელს "დინამოს" მიერ ნაჩვენები შედეგები", - განაცხადა ჭუმბურიძემ.

"ის, რომ "დინამომ" უეფას თასის ჯგუფური ეტაპის ოთხივე მატჩი დათმო, ყველაზე უფრო მე მეწყინა. ბუნებით მაქსიმალისტი ვარ და ეს წაფორხილება ძალზე მტკივნეული იყო. ამიტომ იმის თქმა, რომ სეზონით აბსოლუტურად კმაყოფილი ვართ, არ იქნება სწორი. თუმცა, მეორე მხრივ, ჩვენ განვითარების გარკვეული ეტაპი გავიარეთ და მიმაჩნია, რომ "დინამო" პროგრესის გზით მიდის. გუნდის მიზნები არ იცვლება - ეროვნულ ჩემპიონატში გამარჯვება და, შეძლებისდაგვარად, "დუბლის" შესრულება", - აღნიშნა დავით პეტრიაშვილმა.

პრესკონფერენციას ვერ დაესწრო მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე (ის ბაკურიანშია და უამინდობის გამო ვერ ჩამოვიდა). ამიტომ გუნდის მოსამზადებელ გეგმებზეც მმართველმა დირექტორმა ისაუბრა.

"გუნდი ამჟამად შვებულებაშია და მომავალი სეზონისთვის მზადებას 5 იანვარს, დიღმის საწვრთნელ ბაზაზე დაიწყებს. 20 იანვარს მივემგზავრებით კვიპროსში, სადაც პირველ საწვრთნელ შეკრებას გავმართავთ. იქიდან გუნდი ესპანეთში გაემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს "მარბელას თასად" წოდებულ საერთაშორისო ტურნირში. აქ, "დინამოს" გარდა, გამოვლენ დონეცკის "შახტიორი", სანკტ პეტერბურგის "ზენიტი" და მოსკოვის "სპარტაკი". ტურნირი წრიული სისტემით ჩატარდება და ამ გუნდებს "დინამო" დაუპირისპირდება 5, 7 და 9 თებერვალს," - განაცხადა დავით პეტრიაშვილმა.

ზამთრის არდადეგებზე "დინამო" სატრანსფერო ბაზარზეც გააქტიურდება, თუმცა, იმის გამო, რომ არც ერთი ტრანსფერის საკითხი ჯერ გარკვეული არ არის, "დინამოს" ხელმძღვანელებმა გვარების დასახელებისგან თავი შეიკავეს.

# შესანიშნავი კვარტეტი

*ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის კენჭისყრაზე ისეთი სეირი დატრიალდა, რომლის მსგავსი საფეხბურთო სამყაროს კარგა ხანია არ უნახავს. ერთმანეთს დაუპირისპირდა ოთხი ისეთი წყვილი, რომელიც ფინალურ შეხვედრას დაამშვენებდა - "მანჩესტერ იუნაიტედი" - "მილანი", "რეალი" - "იუვენტუსი", "ბარსელონა" - "ჩელსი", "არსენალი" - "ბაიერნი".*

წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი ლონდონის "ჩელსი" მერვედფინალში ესპანეთის ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერ "ბარსელონას" შეხვდება.

გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში გაიმართა ჩემპიონთა ლიგის 2004-2005 წლების გათამაშების მერვედფინალური ეტაპის კენჭისყრა. ფორტუნამ ასე ინება: ამ ეტაპზე უაღრესად სერიოზული მატჩების ყურება მოგვიწევს.

თექვსმეტი გუნდი, რომლებმაც წარმატებით გადალახეს ტურნირის ჯგუფური ბარიერი, საზეიმო ცერემონიალზე ორ კალათში გაანაწილეს, თანაც, ჯგუფური ეტაპის შედეგების შესაბამისად. პირველ კალათაში მოათავსეს კლუბები, რომლებმაც პირველი ადგილები დაიკავეს, ხოლო მეორეში იმათ მოიყარეს თავი, ვინც ჯგუფურ ეტაპზე მეორე იყო.

არსებული წესების თანახმად, პლეი-ოფის პირველ ეტაპზე ერთმანეთის წინააღმდეგ თამაშის უფლება არ ჰქონდათ ერთი ქვეყნის წარმომადგენლებს და მათ, ვინც პირველ ეტაპზე ერთ ჯგუფში იყო.

გუნდების ამგვარად განაწილება სახუმარო საქმე არ იყო, რადგან მერვედფინალში ერთბაშად იმ ხუთი ქვეყნის წარმომადგენელმა მოიყარა თავი, ვინც ამ ეტაპზე ერთზე მეტი გუნდი მიავლინა. ამ მაჩვენებლით ლიდერია ინგლისი, რომელმაც მერვედფინალში თავისი ოთხივე წარმომადგენელი გაიყვანა. შემდეგ მოდიან იტალია და გერმანია, რომლებსაც, შესაბამისად, სამ-სამი წარმომადგენელი ჰყავთ. ორ-ორი კლუბი საფრანგეთსა და ესპანეთს წარმოადგენს. თითო დელეგატი კი პლეი-ოფში ჰოლანდიასა და პორტუგალიას ჰყავთ.

კენჭისყრის ზოგიერთი დეტალის მცირე განმარტების შემდეგ, როგორც იქნა, დაიწყო საზეიმო ცერემონიალის მთავარი პროცედურა. პირველივე წყვილმა დარბაზში შოკი გამოიწვია. მადრიდის "რეალი" ტურინის "იუვენტუსს" შეხვდა. ევროპული ფეხბურთის ეს ორი გრანდი 1997-1998 წლების გათამაშების ფინალში შეხვდა ერთმანეთს. მაშინ "სამეფო კლუბმა" გაიმარჯვა. ამას რამდენიმე წლის წინათ მოჰყვა ლიგის ნახევარფინალი, სადაც უკვე იტალიელებმა იზეიმეს წარმატება. სავარაუდოდ, ამჯერად ფავორიტი იქნება ტურინის "იუვენტუსი", რომელიც იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატს დამაჯერებლად ლიდერობს.

თუმცა, ეს თურმე მხოლოდ დასაწყისი იყო. ასეთი "ვადამდელი



*კენჭისყრის დასრულების შემდეგ "მილანის" და "მანჩესტერ იუნაიტედის" წარმომადგენლებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.*

**ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი:**

იუვენტუსი (იტალია) - რეალი (ესპანეთი)
ინტერი (იტალია) - პორტუ (პორტუგალია)
ჩელსი (ინგლისი) - ბარსელონა (ესპანეთი)
მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) - მილანი (იტალია)
ვერდერი (გერმანია) - ლიონი (საფრანგეთი)
ლივერპული (ინგლისი) - ბაიერი (გერმანია)
პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) - მონაკო (საფრანგეთი)
ბაიერნი (გერმანია) - არსენალი (ინგლისი)

ფინალი" წლევანდელ ტურნირში ერთბაშად ოთხი იქნება. ჭირვეული კენჭისყრა თითქოს განგებ ახვედრებდა ერთმანეთს დღევანდელი საზომებით შედარებით სუსტ გუნდებს. გრანდებს კი თავიდანვე დიდ ბრძოლას უმზადებდა. მას შემდეგ, რაც ჩემპიონთა ლიგის მოქმედი ჩემპიონი "პორტუ" არაპროგნოზირებად "ინტერს" შეხვდა, კენჭისყრამ საშემოდგომო ციკლის ყველაზე სანახაობრივი კლუბი "ბარსელონა" და წლევანდელი ლიგის, ალბათ, ერთ-ერთი ფავორიტი რომან აბრამოვიჩის "ჩელსი" შეახვედრა ერთმანეთს.

შემდეგ ერთი წყვილი შეადგინეს გერმანიისა და საფრანგეთის შედარებით ნაკლებბიუჯეტიანმა "ჩემპიონებმა - "ვერდერმა" და "ლიონმა". "ლივერპულმა" კიევის "დინამოს" მრბეველი ლევერკუზენის "ბაიერი" მიიღო მეტოქედ. ამის შემდეგ დარბაზმა კიდევ ერთხელ ამოიოხრა, როცა გაირკვა, რომ ჰოლანდიის მორიდებულ ჩემპიონს "პსვ ეინდჰოვენს" ლიგის შარშანდელი ფინალისტი ფრანგული "მონაკო" შეხვდება.

ამ წყვილის შედგენა ავტომატურად ნიშნავდა, რომ მერვედფინალში ევროპული ფეხბურთის ორი აღიარებული გრანდი "მანჩესტერ იუნაიტედი" და "მილანი" შეხვდებოდა ერთმანეთს. ლონდონის "არსენალი" კი მიუნხენის "ბაიერნს" დაუპირისპირდებოდა, ანუ მოხდა კიდევ ორი სუპერდაპირისპირება. "არსენალისა" და "ბაიერნის" შეხვედრაში ამ ორი სუპერამბიციური კლუბის დაპირისპირების გარდა, კიდევ ერთი ინტრიგა არსებობს: ორივე გუნდის კარს გერმანიის ნაკრების მეკარეები იცავენ - "ბაიერნისას" ნაკრების პირველი ნომერი ოლივერ კანი, ხოლო "არსენალისას" მეორე ნომერი იენს ლემანი. საინტერესო კი ის არის, რომ ეს მეკარეები, უფრო სწორად, ლემანი ვერ იტანს კანს. არადა, ერთ-ერთ მათგანს მოუწევს, მეოთხედფინალის გზა მეორეს დაუთმოს.

ამრიგად, მერვედფინალის კენჭისყრამ დიდი ინტრიგა შექმნა. პირველი მატჩები 22-23 თებერვალს იმ გუნდების მინდვრებზე გაიმართება, რომლებმაც ჯგუფურ ეტაპზე მეორე ადგილები დაიკავეს. განმეორებითი შეხვედრები კი 8-9 მარტს ჩატარდება. 25 მაისს დაგეგმილი ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩი კი სტამბულში გაიმართება.

# მეშახტეებთან მებრძოლი

ლევან კობიაშვილის "შალკე 04" მეშახტეებს გადაეყარა და დონეცკის "შახტართან" გამართავს უეფას თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალურ მატჩებს. საერთოდ, უეფას თასზე კენჭისყრის პროცედურა იმავე პრინციპით გაიმართა, როგორც ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრა. მომდევნო ეტაპზე ერთმანეთის წინააღმდეგ ასევე ვერ ითამაშებდნენ ერთი ქვეყნის გუნდები. ასევე ვერ დაუპირისპირდებოდნენ ის გუნდები, რომლებიც ჯგუფურ ეტაპზე შეხვდნენ ერთმანეთს.

თუმცა, ამის მიუხედავად, არსებობს რიგი განსხვავებისა, რომლებიც ტურნირის ჩატარების ახალ ფორმატს უკავშირდება. ჯერ ერთი, პლეი-ოფი, რომელიც მეთექვსმეტედფინალიდან იწყება, გულისხმობს ტურნირში 32 გუნდის არსებობას. მეორეც, იმ 24 გუნდის გარდა, რომლებიც პლეი-ოფში თამაშისთვის იბრძოდნენ, შეჯიბრებაში უნდა ჩართულიყო ის რვა გუნდი, რომლებმაც ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში თავიანთ ჯგუფებში მესამე ადგილი დაიკავეს.

გადაწყვეტილება უბრალო აღმოჩნდა. რვა წყვილს შეადგენს 16 გუნდი, რომლებმაც თავიდანვე უეფას თასის ტურნირში ითამაშეს. ჯგუფში პირველ ადგილზე გასულები მესამე ადგილზე გასულებს შეხვდნენ. ჩემპიონთა ლიგაში ხელმოცარულები კი იმ გუნდებს დაუპირისპირდებიან, რომლებმაც უეფას თასის ჯგუფურ ტურნირში მეორე ადგილები დაიკავეს.

კალათების ნუმერაცია თავისი კანონებით წარიმართა, რომელიც, როგორც წესი, ლოგიკას არ ექვემდებარება. ჯგუფში მესამე ადგილზე გასულები პირველ კალათში აღმოჩნდნენ, პირველები - მეორეში, ხოლო მეორეები - მეოთხეში. ჩემპიონთა ლიგაგამოვლილები მესამე კალათში გაამწესეს.

მათი სავარაუდო მეტოქეები გახდნენ სამი ესპანური გუნდი ("სარაგოსა", "ვილიარეალი" და "სევილია"), ორი ფრანგული ("სოშო" და "ოსერი"), თითო გერმანული ("შალკე 04"), რუმინული ("სტიაუა") და პორტუგალიური ("ბენფიკა"). კაცმა რომ თქვას, ჩემპიონთა ლიგიდან გადმოსული კლუბებიდან სასურველი მეტოქის არჩევა ლევან კობიაშვილის "შალკესთვის" ძნელი იყო.

მცირე წინასიტყვაობის შემდეგ კენჭისყრაც დაიწყო. ორგანიზატორებმა დაიწყეს ჯგუფური ეტაპის გამარჯვებულებით. პირველი წყვილი ავსტრიული "გრაცერი" და ინგლისური "მიდლსბრო" აღმოჩნდნენ. ავსტრიელები ამ შედეგით აშკარად კმაყოფილნი დარჩნენ. უაღრესად საინტერესო იყო იტალიური "პარმასა" და გერმანული "შტუტგარტის" წყვილი. უკრაინული "დნიპრო" კი თავის მეტოქეს დიდხანს ელოდებოდა. სამაგიეროდ, შედეგი საკმაოდ მისაღები აღმოჩნდა. უკრაინელებს სერბეთის "პარტიზანი" შეხვდება.



*უეფას თასზე ლევან კობიაშვილის "შალკე 04" დონეცკის "შახტარს" შეხვდება.*

**უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი:**

გრაცერი (ავსტრია) - მიდლსბრო (ინგლისი)
ჰერენვენი (ჰოლანდია) - ნიუკასლი (ინგლისი)
ბაზელი (შვეიცარია) - ლილი (საფრანგეთი)
პარმა (იტალია) - შტუტგარტი (გერმანია)
სპორტინგი (პორტუგალია) - ფეიენოორდი (ჰოლანდია)
ალემანია (გერმანია) - ალკმაარი (ჰოლანდია)
აუსტრია (ავსტრია) - ატლეტიკი (ესპანეთი)
პარტიზანი (სერბეთი) - დნიპრო (უკრაინა)
ვალენსია (ესპანეთი) - სტიაუა (რუმინეთი)
აიაქსი (ჰოლანდია) - ოსერი (საფრანგეთი)
ცსკა (რუსეთი) - ბენფიკა (პორტუგალია)
ფენერბახჩე (თურქეთი) - სარაგოსა (ესპანეთი)
პანათინაიკოსი (საბერძნეთი) - სევილია (ესპანეთი)
შახტარი (უკრაინა) - შალკე 04 (გერმანია)
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) - სოშო (საფრანგეთი)
დინამო (უკრაინა) - ვილიარეალი (ესპანეთი)

ამის შემდეგ ჩემპიონთა ლიგიდან გადმოსული გუნდების კალათისკენ გადაინაცვლეს. რუმინეთის "სტიაუას" ესპანეთის "ვალენსია" ერგო, ამსტერდამის "აიაქსს" - ფრანგული "ოსერი", მოსკოვის ცსკა-ს კი პორტუგალიის "ბენფიკა" შეხვდა. რუსები წუწუნებენ, ერთ სეზონში მეორე პორტუგალიური კლუბი ნამეტანიაო. სლავები ძალიან შეაშინა - 1:7 დამარცხებამ, რომელიც პორტუგალიის ნაკრებისგან იწვნიეს და აცხადებენ, პორტუგალიური კლუბები ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში ხვდებოდნენ საბჭოეთის გუნდებს, მაგრამ ყოველთვის გამარჯვებულები გამოდიოდნენო. თანაც, "ბენფიკას" ცნობილი იტალიელი სპეციალისტი ჯოვანი ტრაპატონი წვრთნის.

რაც შეეხება კიევის "დინამოსა" და დონეცკის "შახტარს", მათ მცირე ხნით მოცდა მოუხდათ. ხოლო მას შემდეგ, რაც საბერძნეთის "ოლიმპიაკოსს" ფრანგული "სოშო" ერგო, კიეველებს მეტოქედ ესპანური "ვილიარეალი" შერჩათ. "შახტარს" კი "შალკე 04" შეხვდება.

ამ კენჭისყრის კიდევ ერთი თავისებურება ის იყო, რომ ერთ დღეს ერთბაშად ორი ტურის წილისყრა ხდებოდა.

მეთექვსმეტედფინალის პირველი მატჩები 16 და 17 თებერვალს გაიმართება, ხოლო განმეორებითი - 24 თებერვალს. თამაშების გამართვის საბოლოო დღე, მატჩების დაწყების დრო და ადგილი 10 იანვრამდე უნდა შეთანხმდეს.

არჩევნები

# რევოლუცია არ იქნება. იქნება ევოლუცია

## ბადრი პატარკაციშვილს გზა დაუთმეს

გიგა გურასაშვილი

*საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო-საარჩევნო სესიას, რომელსაც გუშინ "ქორთიარდ მარიოტმა" უმასპინძლა, სეოკ-ის ახალი ხელმძღვანელი უნდა დაესახელებინა. ქართული ოლიმპიური მოძრაობის მამამთავრობა ხუთ კანდიდატს სურდა. ასე რომ, წესით, არჩევნები დაძაბული უნდა ყოფილიყო, თუმცა ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*პატარკაციშვილს პრეზიდენტის პოსტი უბრძოლველად ერგო.*

საანგარიშო-საარჩევნო სესიის იმ მონაკვეთში როცა საქმე სეოკ-ის საპრეზიდენტო არჩევნებამდე მივიდა, დღის წესრიგმა ცვლილებები განიცადა. თავდაყირა დადგა საარჩევნო პროცედურა. ამაში "დამნაშავენი" აღმოჩნდნენ პრეზიდენტობის კანდიდატები რამაზ გოგლიძე, ირაკლი მეძმარიაშვილი, ლევან ახვლედიანი და ბეჟან ხურციძე. რაც შეეხება პრეზიდენტობის მეხუთე კანდიდატს, ბადრი პატარკაციშვილს, ერთი მხრივ, მას "დანაშაულში" წვლილი არ მიძღვის, მაგრამ, მეორე მხრივ, მოვლენათა განვითარებაზე რომ გავლენა იქონია, ეს ფაქტია.

ახლა ორი სიტყვით იმაზე, რაც არჩევნებამდე მოხდა. თუმცა სათქმელიც ბევრი არაფერია, გარდა იმისა, რომ ნაშუადღევს დაწყებული სესიის დაჯილდოების ცერემონიალმა თითქმის ერთ საათს გასტანა. ამ ხნის განმავლობაში დაფასდა ყველა ის ადამიანი, ვისაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართული სპორტის წარმატებაში. ჯერ ათენის ოლიმპიური თამაშების პრიზიორები დააჯილდოეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ნიშნებით, სეოკ-ის უმაღლესი ჯილდოთი - "ოლიმპიური ორდენით". დააჯილდოეს სეოკ-ის სპეციალური პრიზითაც - კერძოდ, ლევან ვარდოსანიძის სკლუპტურული ნამუშევრით (ზურაბ ზვიადაური მოსკოვშია და ერთ-ერთ ტურნირზე გამოდის). ჯილდოებსა და ნიშნებს შორის სხვაობა ის არის, რომ ჩემპიონები ოქროს ნიშნებით, ორდენებითა და სკულპტურული ნამუშევრებით დააფასეს, ვერცხლის მედალოსნები კი - ამავე ხარისხის ჯილდოებით.

"ალბათ, არასწორია მარტო ჩემპიონების დაჯილდოება. მგონია, რომ "ოლიმპიურმა ფონდმა" სხვათა შრომაც უნდა დააფასოს, - მოგვიანებით თქვა "ოლიმპიური ფონდის" პრეზიდენტმა ბადრი პატარკაციშვილმა.

დააჯილდოეს აგრეთვე ოლიმპიურ ჩემპიონთა მწვრთნელები შოთა ხაბარელი და ვანო გრიქუროვი.

გუშინ ჯილდოები თუ ორდენები საკმაოდ დარიგდა. ყველას ჩამოსათვლელად ერთი საგაზეთო გვერდიც არ გვეყოფა. თითოეულს უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული სპორტის განვითარებაში. განსაკუთრებული ჯილდო - ოქროს ზეთისხილის რტო ბადრი პატარკაციშვილს ერგო. პრეზიდენტობის კანდიდატი უხერხულად შეიშმუშნა: ეს უკვე ზეწოლააო.

სესიის ყურადღების ცენტრში იყო სეოკ-ის აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი, რომელმაც მოგვიანებით თქვა: "რომ გითხრათ, გული არ მწყდება-მეთქი, მართალი არ ვიქნები. მეც დამიდია ერთი აგური ქართული სპორტის მშენებლობის საქმეში. მჯერა, რომ ახალი პრეზიდენტი, ვინც არ უნდა იყოს ის, მეტს გააკეთებს... თუმცა, არ გეგონოთ, რომ შორს წავალ. მე კვლავაც დავრჩები სპორტში".

მანამდე სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის გადამდგარმა თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა გააკეთა განცხადება: "ოლიმპიურ თამაშებამდე ცოტა ხნით ადრე ვთქვი, რომ დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან წავიდოდი. ახლა ყველას გასაგონად ვამბობ: მე, ირაკლი მეძმარიაშვილი, ჩემი მოადგილეები ლერი ხაბელოვი და დავით გობეჯიშვილი ვტოვებთ სპორტის დეპარტამენტს. ჩვენ მივდივართ მაშინ, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი ამბობს, პროფესიონალები უნდა მუშაობდნენო. პროფესიონალები მიდიან..."

ცოტა ხნით ადრე ირაკლი მეძმარიაშვილმა სეოკ-ის საპრეზიდენტო მარათონიდან მოხსნა საკუთარი კანდიდატურა.

თავში ვთქვი, საპრეზიდენტო საარჩევნო პროცედურა თავდაყირა დადგა-მეთქი. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა ბეისბოლის ფედერაციის პრეზიდენტის რამაზ გოგლიძის სახით კიდევ ერთ მოხსნილ კანდიდატურაზე გვამცნო. მერე კი საპრეზიდენტო მარათონს შემორჩენილი პრეზიდენტობის კანდიდატებიც ჩაერთვნენ საქმეში. ნიჩბოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი ბეჟან ხურციძე ჩოხა-ახალუხით წარდგა დელეგატების წინაშე: "ეროვნულ სამოსში შეგნებულად გამოვეწყვე. კარგი იქნება, თუ პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ოლიმპიური დელეგაცია ეროვნულ სამოსში გამოწყობილი გამოვა... მინდოდა, ჩემი ჩაცმულობით ბადრი პატარკაციშვილი შემეშინებინა, მაგრამ რაკი არ გამომივიდა, საკუთარ კანდიდატურას ვხსნი".

საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ლევან ახვლედიანის ჯერიც დადგა: "არც უფლება მაქვს და არც საშუალება, საკუთარი კანდიდატურა დავტოვო. ბადრი პატარკაციშვილს უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული სპორტის განვითარებაში. ასე რომ, ვულოცავ პრეზიდენტობას".

აქედან გამომდინარე, ცხადი იყო, რომ ყრილობის დელეგატები პატარკაციშვილს ერთხმად დაუჭერდნენ მხარს, მაგრამ ფორმალობა იყო დასაცავი. სეოკ-ის საანგარიშო-საარჩევნო სესიის მონაწილეებმა, უფრო სწორად, ყრილობის დელეგატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ბადრი პატარაკციშვილს.

მოვლენები რომ ასე განვითარდებოდა, ამაზე კარგა ხანია საუბრობდნენ. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ არჩევნებში უდავო ფავორიტი ბადრი პატარკაციშვილი იქნებოდა. სეოკ-ის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა თქვა: "საუბარი იმაზე, მინდოდა თუ არა პრეზიდენტობა, ჩემდამი მხარდაჭერამ განაპირობა. მე თქვენში დავინახე ნდობა... გამოდის, რომ, არჩევნებთან კი არა, დანიშვნასთან გვქონდა საქმე...

მადლობა პრეზიდენტობის კანდიდატებს, რომლებმაც საქმე გამიიოლეს - უხერხულ მდგომარეობაში არ ჩამაგდეს.

რაც შეეხება ჩემს სამომავლო მოღვაწეობას, გეტყვით, რომ დაინერგება ახალი თამაშის წესები. კარგი იქნება, თუ ახლებურ ხედვას ფეხს ავუწყობთ. სამწუხაროდ, არ ვიცი ძველი თამაშის წესები, ამიტომ ახლებურად ვიმოქმედებ.

ქართულ სპორტში რევოლუცია არ იქნება. იქნება ევოლუცია!"

ფეხბურთი

# ვენგერი დაისაჯა



*ვენგერი ჯარიმის სახით 15 ათას ფუნტს გადაიხდის.*

ნინო ტიკარაძე

*ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ (FA) ინგლისური კლუბის "არსენალის" მთავარი მწრთნელი არსენ ვენგერი დამნაშავედ ცნო და ჯარიმის სახით 15 ათასი ფუნტის გადახდა დააკისრა. სასჯელი მწვრთნელმა "მანჩესტერ იუნაიტედის" ჰოლანდიელი ფეხბურთელის რუდ ვან ნისტელროის სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო დაიმსახურა.*

24 ოქტომბერს "ოლდ სტრაფორდზე" "არსენალისა" და "მანჩესტერ იუნიტედს" შორის მატჩის შედგომ განვითარებულმა მოვლენებმა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში დიდი რეზონანსი გამოიწვია. ბუნებრივია, მარცხი არავისთვისაა სასიამოვნო და ადვილად შესაგუებელი, მაგრამ ის სიძულვილი, რომელიც "მეთოფეებმა" მოწინააღმდეგეთა მიმართ გამოავლინეს, ყოველგვარ საზღვრებს სცილდება.

დაპირისპირება, რომელშიც "მანჩესტერ იუნაიტედს" უფრო მოკრძალებული როლი ეჭირა, მართალია, ოდნავ მიწყნარდა, მაგრამ ლოგიკურ დასასრულამდე მაინც ვერ მივიდა. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ მედიატორის როლი იკისრა და მთავარი მწვრთნელები თავისთან დაიბარა, მაგრამ არსენ ვენგერის ქედის მოხრა არც ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა. რაც შეეხება სერ ალექს ფერგიუსონს, იგი ყოველთვის სიმშვიდეს ინარჩუნებს. მან ჩვეულებას არც მაშინ უღალატა, როცა მატჩის შემდეგ, გასახდელისკენ მიმავალს, მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელი წვნიანითა და პიცის ნაჭრით "გაუმასპინძლდა."

რუდ ვან ნისტელროი "მანჩესტერ იუნიტედის" ის ფეხბურთელია, რომელსაც ყველაზე მეტი რისხვა დაატეხა თავს არსენ ვენგერმა. საქმე ის გახლავთ, რომ ჰოლანდიელი ფეხბურთელის ეშლი კოულთან უხეში თამაში მხედველებიდან გამორჩა შეხვედრის არბიტრს მაიკ რაილის (რომელმაც, სხვათა შორის, ამის გამო ვენგერისგან საჯარო კრიტიკა დაიმსახურა). სამაგიეროდ, ეს ინციდენტი უყურადღებოდ არ დატოვა არსენ ვენგერმა - ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას ამ ფაქტის ვიდეოჩანაწერი მიაწოდა და მისი გამოძიებაც სთხოვა. მოკლედ, ფეხბურთელს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, მაგრამ ვერც ვენგერი გადაურჩა სასჯელს. მან პასუხი აგო იმისთვის, რომ მატჩის შემდეგ "ბიბისისთვის" მიცემულ ინტერვიუში ნისტელროის სიტყვიერი შეურაცხოფა მიაყენა და მას "მატყუარა" უწოდა: "ყველამ კარგად ვიცით, როგორ იქცევა ხოლმე რუდ ვან ნისტელროი. მას მხოლოდ ადამიანების მოტყუება შეუძლია და სხვა არაფერი".

FA-მ საქმის გამოძიება დაიწყო. ბრალის წაყენების შემდეგ ვენგერმა განაცხადა: "გაუგებარია, რატომ ატყდა ასეთი ხმაური. საგანგაშო არაფერი მითქვამს. მე, უბრალოდ, ის აღვნიშნე, რასაც იმ დღეს ვგრძნობდი. ბრალი არაფერში მიმიძღვის. მე სიმართლე ვთქვი."

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ მწვრთნელს 23 ნოემბრამდე მისცა თავის მართლების ვადა, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო. ამის გამო რამდენიმე დღის წინათ იგი დამნაშავედ ცნეს - ჯარიმის გადახდა დააკისრეს და სიტყვიერი გაფთხილებაც მისცეს.

სხვათა შორის, თავად მწვრთნელი განაჩენის გამოტანის დღეს დარბაზში არ იყო. ამ საქციელმა "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი (და არა მარტო ის) ძალიან გააკვირვა. მიზეზი მალევე გამოირკვა - ვენგერი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კვირას, 19 დეკემბერს, ეროვნულ ჩემპიონატში "არსენალისა" და "პორთსმუტის" მატჩს, რომ სხვაზე, თუნდაც ისეთ საკითხებზე, როგორიც მის დასჯა-არდასჯას შეეხება, ფიქრი არ შეუძლია. აკი გამოქვეყნდა კიდეც მისი განცხადება კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე, რომელიც მან განაჩენის გამოტანის შემდეგ გააკეთა: "წინ ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი გველოდება. ჩემი ყურადღება მთლიანად მისკენაა მიპყრობილი."

მართალია, მწვრთნელი არც ახლა თვლის თავს დამნაშავედ, მაგრამ განაჩენის გასაჩივრებას მაინც არ აპირებს და ბედს უსიტყვოდ ეგუება.

ჭადრაკი

# ფიშერი რეიკიავიკში დასახლდება

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ჭადრაკში ბობი ფიშერმა ისლანდიაში ცხოვრების უფლება მიიღო. ბოლო დროს ფიშერი იაპონიაში ცხოვრობდა, სადაც ორი თვის წინათ ამერიკის მოქალაქეობაზე უარი განაცხადა.

ბობი ფიშერი, როგორც ჩანს, ყველაზე არაორდინარული პიროვნებაა საჭადრაკო სამყაროში. მართალია, უკვე 12 წელიწადია, რაც ის ჭადრაკს აღარ თამაშობს, მაგრამ მისი ქმედებები კვლავ აოცებს ადამიანებს.

ყველაფერი კი იმ ავადსახსენებელი 1992 წლიდან დაიწყო, როცა ფიშერმა ბორის სპასკისთან თამაში გადაწყვიტა. იმ დროისთვის მას უკვე მოესწრო მსოფლიო ჩემპიონობა და ტიტულის დაკარგვაც. სხვათა შორის, ფიშერი იმიტომ კი არ გახდა ექს-ჩემპიონი, რომ მეტოქესთან მატჩი წააგო, არამედ იმიტომ, რომ ფიდეს წესებს არ შეეგუა და ამისთვის წოდება ჩამოართვეს.

1992 წელს ექს-ჩემპიონმა გადაწყვიტა, ბორის სპასკისთან მატჩების სერია ჩაეტარებინა. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ფიშერმა სწორედ ბორის სპასკის დამარცხების შემდეგ მოიპოვა. სპასკიმ თანხმობა განაცხადა და ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე, როცა ამ ქვეყანასა და ნატოს შორის კონფლიქტური სიტუაცია იყო, მატჩი გაიმართა. შეხვედრა ფიშერის გამარჯვებით დასრულდა. სწორედ ეს გამარჯვება გახდა ფიშერის მომავალი უსიამოვნებების მთავარი მიზეზი.

ამერიკის მთავრობა უკმაყოფილო იყო ფიშერის საქციელით იმის გამო, რომ, იუგოსლავიაზე ემბარგოს მიუხედავად, მოჭადრაკემ გახმაურებული მატჩი ჩაატარა. ის შეეცადა, თავისი მოქალაქე სამშობლოში დაებრუნებინა, მაგრამ ფიშერმა იაპონიას შეაფარა თავი. ის დღემდე ამომავალი მზის ქვეყანაში ცხოვრობს. დაახლოებით ორი თვის წინათ მან ამერიკის მოქალაქეობაზე უარი განაცხადა და ახლა ლტოლვილად ითვლება.

პარასკევს მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი სიახლე მოხდა. დიდ მოჭადრაკეს ისლანდიამ თავშესაფარი შესთავაზა. საქმე ის არის, რომ ფიშერის ინიციატივით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის მატჩი სპასკიმ სწორედ ისლანდიაში გამართა. "1972 წელს, როცა ფიშერი სპასკისთან შესახვედრად რეიკიავიკში ჩამოვიდა, ეს ისლანდიის მანამდელ ისტორიაში ყველაზე ღირსსახსოვარი მოვლენა იყო", - განაცხადა ისლანდიური საჭადრაკო კლუბის "ჰროკურინის" პრეზიდენტმა ჰრაფნ იოკულსონმა.

ერთი წლის შემდეგ რეიკიავიკში შედგა აშშ-ის პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონის შეხვედრა პომპიდუსთან, ხოლო 1986 წელს იქ მიხაილ გორბაჩოვი და რონალდ რეიგანიც შეხვდნენ ერთმანეთს. "ეს ყველაფერი ბობი ფიშერის გარეშე არ მოხდებოდა, - თქვა იოკულსონმა, - მან ჩვენი ქვეყანა მსოფლიო რუკაზე გამოაჩინა. ჩვენ კი მეგობრებს არ ვივიწყებთ".

ფიშერის თანაშემწემ ჯონ ბოსნიჩმა განაცხადა, რომ ამჟამად ფიშერი იაპონიის საიმიგრაციო სამსახურის წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება. ის იმ ქვეყანას აირჩევს, რომელშიც მშვიდად იცხოვრებს. როცა ისლანდიის წინადადება მიიღო, უარი არ უთქვამს. ადრე გერმანიისა და ჩერნოგორიის ვარიანტებიც განიხილებოდა.

იაპონიაში ისლანდიის წარმომადგენელმა მაკი ონდზემ განაცხადა, რომ ფიშერისთვის ისლანდიაში ცხოვრების საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ამის შესახებ ისლანდიის მთავრობამ ჯერ კიდევ ნოემბერში მიიღო თხოვნა, მაგრამ საქმის მოგვარებას თვენახევარი დასჭირდა.

თუმცა, ფიშერის მომავალი არც ახლა გამოიყურება გამჭვირვალედ. საქმე ის არის, რომ ექს-ჩემპიონს პასპორტი არა აქვს, რამაც შეიძლება პრობლემები შეუქმნას. თავის მხრივ, იაპონია თანახმაა, ფიშერი მესამე ქვეყანაში მხოლოდ იმ შემთხვევაში გაგზავნოს, თუ აშშ უარს იტყვის მის მიღებაზე.



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

# გულახდილად

## „მშრალ ხიდს" წყალი ჩაუდგა

ოჯახური ალბომი უკვე შეავსეთ?







*გოგი ალექსი-მესხიშვილის მიერ "მშრალ ხიდზე" შეძენილი ფოტოკოლექციიდან.*





თეატრის მხატვარი გოგი ალექსი-მესხიშვილი, რომელიც ამჟამად საზღვარგარეთ ცხოვრობს, თბილისში ყოფნისას, ყოველ ჩამოსვლაზე მისი სამხატვრო სახელოსნოს გვერდზე მყოფ "მშრალი ხიდის" ბაზრობაზე დადის, სადაც მისი პროფესიისთვის საჭირო ათას საინტერესო წვრილმანს ეძებს და, რაც მთავარია, ყოველთვის პოულობს. ძველი საფოსტო ბარათები, გაყვითლებული ფოტოსურათები, სხვადასხვა პერიოდის, სტილის ამსახველი დეტალები. ძველი, დღეს უკვე ანტიკვარული ფოტოაპარატები, რადიოები და უამრავი ისეთი რამ, რაც ნებისმიერი შემოქმედი ადამიანისთვის საინტერესო, ძვირფასი და გამოსადეგია. "მშრალ ხიდზე" ბოლოს შეძენილი ფოტოსურათებიდან ორი გოგიმ მეც მაჩუქა. ერთი, როგორც ბათუმზე შეყვარებულ ადამიანს და მეორე, როგორც, მის მსგავსად, მსახიობ ლადო ალექსი-მესხიშვილის ერთ-ერთ შთამომავალს. ძალიან ბევრ ისეთ ადამიანს ვიცნობ, რომლებიც თითქმის ყოველ კვირა დღეს "მშრალ ბაზარზე" დადის და იქ ნაპოვნი ნივთებით კოლექციებსაც კი აგროვებს.

"მშრალი ხიდის" ბაზარი საშინელ, არაცივილურ, უბადრუკ მდგომარეობაში რომ იყო, ამაზე არავინ კამათობს. მაგრამ ის, რომ ამგვარი ბაზრები ევროპის დიდ ქალაქებში ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობის რანგში აქვთ აყვანილი და შესაბამისად, მოვლილი, სისტემაში მოყვანილი, ნურც ამაზე ვიკამათებთ. პარიზის "მშრალი ხიდი", ანუ როგორც ფრანგები ეძახიან "Marche au Puce" არანაკლებად საინტერესო, მრავალფეროვანი, მრავლისმთქმელი, პოპულარული და ხალხმრავალია, ვიდრე კულტურულად უმდიდრესი პარიზის ნებისმიერი მუზეუმი. პარიზის დასათვალიერებლად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ტურისტების არმიები ამ ბაზრის ერთგული, მუდმივი დამთვალიერებლები და კლიენტები არიან. ძველი ქინძისთავიდან, გატეხილი ქოლგიდან ან პატარა ფოტოსათვის განკუთვნილი ჩარჩოდან დაწყებული, ლუდოვიკო მეთოთხმეტეს პერიოდის სკამით დამთავრებული, რას არ ნახავ, რას არ შეიძენ. ათას გემოვნებაზე, ესთეტიკაზე, გატაცებაზე, ინტერესზე გათვალისწინებული "Marche au Puce" პარიზის ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი ადგილია, რომელსაც მუნიციპალიტეტი სათუთად უვლის და ქალაქს უნარჩუნებს. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში პარიზის მსგავსი ანტიკვარიატის რაოდენობა ნამდვილად არ გვაქვს, ჩვენი "მშრალი ხიდი" მაინც საკმაოდ საინტერესო, მრავალფეროვანი, კოლორიტული, მაგრამ სრულიად მოუვლელი ადგილი იყო. მასიური პრივატიზაციის, მიწების კანონიერი თუ უკანონო გასხვისების ფონზე საქართველოში კოლორიტული ადგილების სრულიად უცნაური, მხოლოდ ჩვენთვის დამახასიათებელი ტენდენცია წამოვიდა. კოლმეურნეობის ბაზარი" მოშალეს და მის სანაცვლოდ სულელურ-გაპრანჭული სავაჭრო ცენტრი გააკეთეს, რომელშიც მყიდველს ძალითაც ვერ შეიყვან. ახლა კი, იმის მაგივრად, რომ "მშრალი ხიდის" ბაზრის ტერიტორია გაეწმინდათ, გაესუფთავებინათ, ვაჭრობისთვის მეტნაკლებად მოსახერხებელი გაეხადათ, რაღაც სისტემაში მოეყვანათ - აიღეს და გაყიდეს. ახალ მეპატრონეს კი, დარწმუნებული ვარ, რაიმე არაკოლორიტული კვების ობიექტის ან იქვე, გვერდზე მდებარე, უნიტაზების უსახური მაღაზიის მსგავსი სავაჭრო ცენტრის გახსნა ენდომება. არადა, ვაჭრობის ელემენტარული ლოგიკიდან გამომდინარე, "მშრალი ხიდის" ბაზრობა რადგან არსებობდა, ე.ი. ვაჭრობდა და, შესაბამისად, საჭიროც იყო. თუ იქ მოვაჭრე ხალხი წლების განმავლობაში წესად დამკვიდრებულ პოლიტიკურ, კრიმინალურ თუ ბიუროკრატიულ რეკეტს უმკლავდებოდა, უძლებდა, ე.ი. ერთი-ორ კაპიკსაც შოულობდა. იმის მაგივრად, რომ ტერიტორიისთვის მიეხედათ, დახლები დახლებისთვის დაემსგავსებინათ, ელემენტარული კომფორტი შეექმნათ - სულ დაანგრიეს. ლუკმა-პურის საშოვნელად მთელი დღე ქუჩაში მდგომი ხალხი, ყოველგვარი ალტერნატივის გარეშე, ქუჩაში გამოყარეს და თბილისს კიდევ ერთი საყვარელი ადგილი მოუსპეს მხოლოდ იმიტომ, ვიღაც "მფლობელს" ასე უნდა და მორჩა! მფლობელს, თორემ ახლა მისთვის მამა-პაპას არ დაეტოვებინა მემკვიდრეობით!

იმედი მინდა ვიქონიო, რომ "მშრალი ხიდის" მოვაჭრეები შემდეგ "მფლობელთან" შერკინებამდე და დამარცხებამდე ადგილს მოძებნიან, იქვე განლაგებულ მხატვრებს შეუერთდებიან და "მშრალი ხიდის" ხიბლს საბოლოოდ არ დაგვიკარგავენ, მაგრამ რატომ? ნუთუ არ შეიძლება, რომ ნებისმიერი რიგითი სულელური გადაწყვეტილების მიღებამდე, ქალაქის ცენტრალური ტერიტორიის გაყიდვამდე, ბაზრობის მოსპობამდე, დახლების ველურად დანგრევამდე, ხალხის უგულოდ, უპასუხისმგებლოდ გამოყრამდე და თბილისისთვის კიდევ ერთი კოლორიტული ადგილის წართმევამდე, ცოტა დაფიქრდნენ. მოვაჭრეებს ალტერნატიული ვარიანტი, ხელსაყრელი სხვა ადგილი შესთავაზონ და ნებისმიერი დიდი ევროპული ქალაქისთვის ასეთი დამახასიათებელი ძველმანების ბაზარი შეგვინარჩუნონ. "მშრალი ხიდის" ბაზრის ამგვარმა დაუფიქრებელმა, უგულო, უსაფუძვლო მიწასთან გასწორებამ ერთი უნებლიე კითხვა დამიბადა: იმ ხალხს, ვინც ამას წყვეტს და ახორციელებს - წარსული აქვთ? წარსულიდან რაიმე უყვართ, ახსენდებათ? რაიმე არის მათთვის ღირებული?

**P.S.** "მშრალი ხიდის" ერთ-ერთმა გამყიდველმა ერთხელ მითხრა, რომ ყველაზე ხშირად ძველებურ ჯგუფურ, ოჯახურ ფოტოებს ყიდულობენო და საკუთარ წინაპრებად ასაღებენო. ეტყობა, ამაშიც არ გაგვიმართლა და იმან, ვინც ამ ბაზრის მოსპობის გადაწყვეტილება მიიღო, თავისი ოჯახური ალბომი ნაყიდი ფოტოებით უკვე შეავსო და ახლა ნაკვალევს სპობს.

## „ხილიანის„ ჯუნგლები

მსოფლიოს ნებისმიერ დიდ ქალაქში ერთი ისეთი უბანი მაინც არსებობს, სადაც მოხვედრა არც თუ უსაფრთხოა. ნიუ-ორკის ცნობილი კვარტლის - ბრონქსის - საშიშროების შესახებ არაერთი ფილმი გვინახავს, მონაყოლი გვსმენია. ბრონკსიდან, განსაკუთრებით ღამე თუ შეხვედი, ან საერთოდ ცოცხალი ვერ გამოხვალ, ან უკეთეს შემთხვევაში, ხელჩანთის, საათის, ოქროულობის, ან მანქანის გარეშე დარჩები. ჩემი მეგობარი, რომელიც მექსიკიდან ახლახან ჩამოვიდა, მიყვებოდა, რომ მეხიკოს ნებისმიერ ნორმალურ სასტუმროში ტურისტებს დაუფარავად, პირდაპირ აფრთხილებენ: აქა და აქ არ წახვიდეთ, საშიშიაო. ასეთივე კრიმინალური, განუკითხავი უბნები სტამბულში, ბარსელონაში და განსაკუთრებით კი ლათინური ამერიკის ქალაქებში არსებობს. იქ მოხვედრა და მსხვერპლის როლში აღმოჩენა ერთია, ამიტომაც ამის შესახებ უკვე დიდი ხანია, ცნობილია და ამ უბნებს ყველა, განსაკუთრებით კი ჩამოსული ტურისტები ერიდებიან.

ისე როგორ იქნებოდა, რომ თბილისი მსოფლიოს სხვა დიდ ქალაქებს რამეში ჩამორჩენოდა და კრიმინოგენული უბნების რაოდენობით გამორჩეული არ ყოფილიყო. ორ-სამ ცენტრალურ რაიონს თუ არ გავითვალისწინებთ, რომლებშიც შედარებით წესრიგია (შედარებით!), ჩვენი დედაქალაქის დანარჩენი ყველა უბანი კრიმინალურობაში თითქოს ერთმანეთს ეჯიბრება. ლათინური ქალაქების რეკორდს ვინ მოხსნის? მაგრამ საბურთალოს ერთ-ერთი ნაწილი, ე.წ. "ხილიანი" ამ უბნებშიც კი გამოირჩევა. ხილიანის, დოლიძის, ან იოსელიანის ქუჩებზე აშენებულ ერთ დროს "პრესტიჟულ" კინემატოგრაფისტთა, არქიტექტორთა, მწერალთა კავშირების კოოპერატიულ კორპუსებში სტუმრად უმანქანოდ მისვლა უფრო ჭკვიანური და წინდახედულია. ასი პროცენტით გარანტირებულები ხართ, რომ უკან ფეხით დაბრუნება მოგიწევთ. ამ უბნის მაცხოვრებლები ავტოფარეხებში მანქანებს, ლოგიკით, რკინის კასკებში და ტყვიაგაუმტარ ჟილეტებში უნდა აყენებდნენ, რადგან ფარეხებთან, როგორც წესი, ერთი-ორი კბილებამდე შეიარაღებული მძარცველი ელოდებათ. ყველასათვის დიდ ხანია ცნობილია, რომ "ხილიანი" ნარკობიზნესის ერთ-ერთი ცენტრალური უბანია, სადაც ოფიციალურად რამდენიმე "ბარიგა" ცხოვრობს, მოღვაწეობს და მართალია, ჯერ პატარა ნარკო-მარკეტი არ გაუხსნიათ და აზრა არ გამოუკრავთ, მაგრამ ამის მიუხედავად, საქმე შესანიშნავად აქვთ აწყობილი. კრიმინალური კონვეიერი ყოველგვარი ხარვეზებისა და დაბრკოლებების გარეშე მუშაობს.

ნარკომანია, ნარკობიზნესი, შეიარაღებული ყაჩაღობა, ბინების გაქურდვა, მანქანების გატაცება, ქუჩა-ქუჩა, სახლ-სახლს შორის სისხლიანი გარჩევები და უამრავი სხვა "ხილიანის" "გეტოს"დამახასიათებელი ტიპური სავიზიტო ბარათია. მაინტერესებს, ამ უბანში პატრული ან უბნის პოლიცია, (თუ ასეთი საერთოდ არსებობს) სად არის, რას აკეთებს და რას ელოდება? რატომ არის, რომ რუსთაველის გამზირზე გულიც რომ წაგივიდეს, მანქანას ერთი წამიც ვერ გააჩერებ ისე, პატრული რომ არ მოგადგეს. "ხილიანზე" კი ისე გაგძარცვავენ, მოგკლავენ ან დაჭრილი სისხლისაგან დაიცლები, რომ პატრული ან პოლიცია კი არა, კაციშვილი მომკითხავი, მშველელი არ არის. ნუთუ ასეთი ძნელია საპატრულო მანქანების რაოდენობის ლოგიკური, საჭიროებიდან გამომდინარე განაწილება. ნუთუ ასეთი რთული მოსაფიქრებელია, რომ "ხილიანის" მსგავს "გეტოებში"ორმაგი კონტროლი უნდა დაწესდეს? ნუთუ ასეთი წარმოუდგენელია იმ თითო-ოროლა, მაგრამ ასეთი უბნისთვის სრულიად საკმარისი ბარიგების გამოვლენა. ნუთუ არავის უნდა, რომ თბილისის საბურთალოს რაიონის ერთ-ერთი უბანი "ხილიანი" ნიუ-იორკის ბრონქსს ოდნავ ნაკლებად დაემსგავსოს? თუ, რა თქმა უნდა, ისევ 20-30-იანი წლების ამსახველი ბოევიკებით არ ვიმსჯელებთ და ვიფიქრებთ, რომ "ხილიანის" პოლიცია, "ბრონქსის" პოლიციის მსგავსად კრიმინალის ხარჯზე სულდგმულობს, პურს ჭამს. მაგრამ, როგორ ერგებათ ეს "პური", უკვე სხვა საკითხია.

## "кольцо с места"

ღრმა ბავშვობაში, ზაფხულობით, კიკეთში "პალიანკაზე" და მეგობრების დაბადების დღეებზე ერთ სულელურ, ბავშვურ თამაშს - "кольцо с места"-ს ვთამაშობდით. უამრავი წელი გავიდა მას შემდეგ და თამაშის ზუსტი წესები დამავიწყდა, მაგრამ მახსოვს, რომ მოთამაშეთა რაოდენობას ვითვლიდით და ერთით ნაკლები რაოდენობის სკამებს წრეში ვალაგებდით. მერე ამ წრის გარშემო სულელებივით დავრბოდით და რომელიმე კონკრეტული ნიშნის შემდეგ სკამებზე დაჯდომა უნდა მოგვესწრო. ერთი მოთამაშე, რომელიც სკამის გარეშე რჩებოდა, ლოგიკურად წაგებულად ითვლებოდა. თამაშის სიზუსტეზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ მგონი, ასე ვთამაშობდით.

ამ კვირაში საქართველოს მინისტრთა კაბინეტში, მთავრობაში განხორციელებულმა გადაადგილებებმა, სკამების გარშემო სირბილმა, რატომღაც "кольцо с места" მომაგონა. სკამებზე დაჯდომა ზოგმა ვერ მოასწრო. წაგებული ნეტავი ვინ არის?

## აეროპორტი სოფლის კლუბს აღარ გვაგონებს

პირველი, რასაც ნებისმიერ ქალაქში ჩასვლისას ხედავ, აეროპორტი ან რკინიგზის სადგურია, რომლებიც ქვეყნის სავიზიტო ბარათის დატვირთვას ატარებს. თბილისის ცენტრალური რკინიგზის სადგურის შემხედვარეს, ჩვენს დედაქალაქზე რა წარუშლელი შთაბეჭდილება ექმნება ჩამოსულს, ამაზე, მგონი, ლაპარაკიც და ნერვების აშლაც კი არ ღირს. მდგომარეობის გამოსწორების ელემენტარული სურვილი, მცდელობაც არ ჩანს. ჩვენც რატომღაც მორჩილად უნდა შევეგუოთ იმ ფაქტს, რომ საქართველოს მთავარი რკინიგზის სადგური გიგანტურ საზოგადოებრივ ტუალეტს უფრო წააგავს, ვიდრე სადგურს და, მით უმეტეს, ქალაქის სახეს.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო



თბილისის აეროპორტი რკინიგზის სადგურთან შედარებით ოდნავ მოვლილობის მიუხედავად, წლების განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე პროვინციული ელფერის მქონე ადგილი იყო. ვინ საიდან გადიოდა, ვინ შემოდიოდა, რა მიჰქონდა და რა მოჰქონდა, ფულს ვის რაში ახდევინებდნენ და რამდენს, ვინ მოწმდებოდა და ვის ვერც კი აკადრებდნენ, ვინ სარგებლობდა ვიპ-ით და ვინ ემსახურებოდა, არავინ იცოდა და არც არავის აინტერესებდა. თბილისელები ხუმრობდნენ, რომ კონტროლიორების ჯიბეში ჩადებულ თანხას გააჩნია, თორემ თვითმფრინავზე ხახულის ხატიდან დაწყებული, ბომბით ან სპილოთი დამთავრებული, ყველაფერს აიტანდი, გაიტანდი და მშვიდობით ჩაიტანდი. კაცი მომკითხავი არ იყო. ჩვენი აეროპორტი სოფლის კლუბს უფრო წააგავდა, სადაც ყველა წვრილმანი არაცივილიზებურობის მანიშნებელი იყო. გაცილების, დახვედრის, ბარგის შემოწმების, ჩაბარების, მიღების პროცედურები სრულიად ქაოტური, არაორგანიზებული და ალოგიკური იყო. გამცილებლებს რეგისტრაციამდე არ უშვებდნენ და მგზავრი ურიკების არარსებობის პირობებში, იძულებული იყო, საკუთარი დიდძალი, გაქურდვის თავიდან აცილების მიზნით თოკებით შეკრული ბარგი, რეგისტრაციამდე რამენაირად, დახმარების გარეშე, მარტოს, ნაწილ-ნაწილ მიეთრია. რეგისტრაციასთან ვაი-ვაგლახით მიღწეულ მგზავრს ახალი მახე ელოდა, რომელიც ზედმეტი წონის სრულიად ინდივიდუალური საფასურის გადახდას გულისხმობდა. გადასახდელი თანხა პირადი სიმპათიითა თუ ნაცნობობით უფრო დგინდებოდა, ვიდრე რაიმე ჩამოყალიბებული კონკრეტული ტარიფით. ვინმეს დასახვედრად, განსაკუთრებით ღამე, აეროპორტში მისული, ინფორმაციულ ვაკუუმში ხვდებოდი და ნებისმიერ ამინდში, ყინვასა თუ გაუსაძლის სიცხეში ქუჩაში დგომა, დასაჯდომად გამზადებული თვითმფრინავის ხმის გაგონების და საათობით გაჭიანურებული მგზავრთა ბარგის მიღების, გამოსვლის პროცესის ლოდინი გიწევდა. ფანჯრებში უიმედოდ იჭყიტებოდი და ტაქსისტებს იგერიებდი, რომლებიც, სრულიად აუხსნელად, არა მარტო გამოსასვლელთან, არამედ ტრაპთანაც ბლომად იყვნენ. მოკლედ, ეს ყველაფერი ნებისმიერმა ადამიანმა ჩემზე არანაკლებად კარგად იცის, თუ ერთხელ მაინც ჰქონია თბილისის აეროპორტთან შეხება. ასეთი იყო თბილისის აეროპორტი წლების განმავლობაში.

ახლა კი ის მინდა მოგიყვეთ, რაც თქვენ შეიძლება არ იცოდეთ. ამ კვირაში დირექციაშეცვლილ აეროპორტში დამპატიჟეს. ახალი, ძალიან ძვირადღირებული და მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი მაკონტროლებელი აპარატის შემოტანასთან, მონტაჟთან და მისი საზოგადოებისადმი გაცნობასთან დაკავშირებით პრეზენტაცია მოეწყო. დავიწყოთ იქიდან, რომ აეროპორტის ლოგოთი მიღებულმა კონვერტმა, მასში ჩადებულმა მოსაწვევმა, პრეს-რელიზმა და აპარატურის ანოტაციამ სასიამოვნოდ და მოულოდნელად გამაკვირვა. აეროპორტი აეროპორტს დაემსგავსა და სოფლის კლუბთან მისი წარსული ასოციაცია ამჯერად რატომღაც აღარ გამჩენია. მთელ მომსახურე პერსონალს სპეციალური, ახალი, ლამაზი ფორმები ეცვა. რეგისტრაციამდე მისასვლელად არსებული უაზრო, გაუმართლებელ-გამწვალებელი დაბრკოლება მოუხსნიათ. აეროპორტის გასაფრენი დარბაზი დაულაგებიათ, გაუმწვანებიათ, მიუხედავთ და, რაც მთავარია, ფრენა უსაფრთხო გაუხდიათ!

ანტიტერორისტული მოძრაობის ლიდერი აპარატურის Rapiscan-ის, რომლითაც, მაგალითად, ხიტროუს აეროპორტია აღჭურვილი, თბილისში შემოტანამ თითოეული ჩვენგანის ფრენა სრულიად უსაფრთხო, ბარგის კონტროლი კი წარმოუდგენლად, მხოლოდ 21-ე საუკუნისთვის შესაბამისად, ზუსტი, უხარვეზო და უშეცდომო გახადა. ამ აპარატურის რენტგენული ტექნოლოგია უმაღლესი ხარისხის გამოსახულების ჩვენებას უზრუნველყოფს, ავტომატურად ანსხვავებს პოტენციურად საშიშ, აკრძალულ ნივთიერებებს (აი, პრეს-რელიზი როგორ გამომადგა!).

მსოფლიო სტანდარტის შესაბამისი უსაფრთხო ფრენის გარანტია დღეიდან თბილისის აეროპორტსაც გააჩნია და ამის ხარჯზე დღეს, ნელ-ნელა, პატარა პროვინციული აეროპორტიდან ტიპური საერთაშორისო აეროპორტი ხდება. არ მინდა ყველაფერზე "ვარდების რევოლუციის" პრიზმიდან ვილაპარაკო, მაგრამ ბოლო თვეების განმავლობაში აეროპორტის დირექციაში, მის მენეჯმენტში და ზოგადად საქმისადმი დამოკიდებულებაში მომხდარი ცვლილებები ნამდვილად აღფრთოვანებას, აღნიშვნას, დაფასებას და რევოლუციურ შედარებას იმსახურებს. ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი სახე, მისი აეროპორტი, ჯერ კიდევ არსებული პრობლემებისა და გადასაჭრელი ამოცანების მიუხედავად, ათწლეულების განმავლობაში მიძინებული წერტილიდან დაიძრა. დღეს მას ენთუზიასტი, ერთგული, მცოდნე ახალგაზრდა ხელი და თანხების მიზნობრივი მოხმარება დაეტყო. აბა, რა შეიძლება ჩვენს უსაფრთხოებაზე, სიმშვიდეზე, კომფორტზე უფრო მიზნობრივი იყოს?

## ფოტოგალერეა



ორნი ქალაქში.

ავტორი: იური ლობოდინი

## TV პროგრამა

### 18 დეკემბერი

**რუსთავი - 2**

**08.00** კლასიკა **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** "ჯეტიქსი" **11.00** სერიალი "დაკარგული ქალაქის მაძიებლები" **12.20** "გაიღიმეთ ფარული კამერაა" **12.50** მხ. ფილმი "ანგელოზსა და ეშმაკს შორის" (გ) **15.20** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **17.00** სერიალი "ვიდრე ხვალ" **18.00, 21.00, 01.00** კურიერი **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.10** მხ. ფილმი "შეიძლება ასე იყოს" **22.00** "ფსიქო"- მხ. ფილმი "ქმარი თან გაგვიყოლებს". რეჟ. აზას ქიოროსთამი. **01.20** მხ. ფილმი "აუზი" (18)ყ

**პირველი არხი**

**08.00** "მთავარი" **08.15** ანიმ. ფილმი "რედვოლი" 1-ლი ს. **08.45** სერიალი "მაუგლი" 1-ლი ს. **09.15** საცირკო სანახაობა **10.00** სპექტაკლი "უჩინმაჩინის ქუდი" **11.30** "ტაქსი" **12.00** "მთავარი" -საინფორმაციო პროგრამა **12.20** დოკ. ფილმი "გერმანიის ველური ცხოვრება" **13.20** მხ. ფილმი "დანაშაულის ადგილი" **15.00** კონცერტი **16.00** სერიალი "ოთხის ნიშანი" **17.00** "არტე" წარმოგიდგენთ - "გოგენი უკანასკნელი ილუზია" **18.00, 20.00** "მთავარი" -საინფორმაციო პროგრამა **18.10** ხალხური შემოქმედება **19.00** შემეცნებითი პროგრამა "მოგზაურის გიდი" -ამსტერდამი **20.30** დოკ. სერიალი "ჰოლივუდი და კრიმინალი" **21.30** "რაციო" **22.30** ბიოგრაფიული პორტრეტები - მარგარეტ ტეტჩერი **23.30** "ჩვენ" **00.30** მხ. ფილმი "მესამე ბორბალი" (გ) **01.55** საინფორმაციო გამოშვება

**კავკასია**

**12.00** მხ. ფილმი "დაბრუნება" (გ) **14.00** ტუწ-ემ **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** "ცნობილი ადამიანების უცნობი წლები" **19.40** "საწინდარი" **21.00** მხ. ფილმი "ორი ნული" (გ) **23.00** გადაცემა "ყაზანის ღვთისმშობელი" **23.30** ქართული მუსიკა **00.30** ტუწ-ემ

**მზე**

**09.00** მუსიკა მზეზე **09.30** მულტსერიალი "რედვოლი" **10.00** საბ. სერიალი "ოდისეა" **10.30** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **11.30** შემეცნებითი პროგრამა "ექსტრემალური ამბები" **12.30** ტელეჟურნალი "სცენა" **13.00** სერიალი "კარაბინერები" **14.00, 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.15** მხ. ფილმი "კლუბი ბუენოვისტა" (გ) **16.15** მუსიკა მზეზე **16.30** შემეცნ. გასართ. პროგრამა "დები ტრევისის საოცარი სახლი" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **18.50** "ჯეოსტარი" **19.00** სერიალი "კარაბინერები" **20.30** მუსიკ. კონკურსი "ჯეოსტარი" **22.00** მხ. ფილმი "კონცესია" (გ) (ლუი დე ფიუნესი) **00.00** ფეხბურთი. პრიმერა დივიზიონი.

**მეორე არხი**

**19.00** საცირკო სანახაობა **19.50** საქართველო არის ესე **20.15** დოკ. ფილმი "ჟან ლუკ პონტი" **21.10** "იმღერე რამე" **21.30** ფრაგმენტები სურათისთვის **22.00** "ეთნოგრაფიული ჩანახატი" **22.15** ასე ვცხოვრობთ **22.35** მხ. ფილმი "მოკვეთილი" (გ)

**18.00** მხ. ფილმი "უწმინდური" (გ) 1-ლი ს. **19.40** დოკ. ფილმი **20.30** სილუეტი **21.30** კონცერტი **22.40** მხ. ფილმი "ჩრდილი კედელზე" (15) მე-2ს.

**იმედი**

**08.50** ანიმაციური ფილმი "ტარზანი" **09.50** მხ. ფილმი "მეექვსე ელემენტი" (გ) (ლ. ნილსენი) **11.20** "რაო, რაო?" **11.30** "იმედითა შენითა" -ვარძია **11.45** "კლიპ-ლოტო" **12.40, 16.15, 02.40** ტვ-მარკეტი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 23.15, 02.30** ქრონიკა **13.15** მხ. ფილმი "შარადა" (გ) (ო. ჰეპბერნი) **15.15** უცნობი საქართველო **15.45** წუთისოფელში **16.30** "ნბა"-ს ჟურნალი **17.10** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" **18.05** "პირველი ნაბიჯი" **19.30** ვაკაჭი-ნიუსი **20.05** მხ. ფილმი "ვიდოკი" (გ) (ჟ. დეპარდიე) **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. **00.20** "ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად" **01.35** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **03.10** იმედის მელოდიები

**აჭარა**

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.20** კომედია "აგენტი კოდი ბენქსი" **11.00** "გადარჩენილი სიტყვა" **11.30** ბოევიკი "პარტნიორები" **13.00** მუსიკა **13.10** მხ. ფილმი "კურიერი" **14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **14.45** ბოევიკი "ტაქსი-2" **16.10** მულტფილმი **17.45** დრამა "არსად აფრიკაში" **20.05** მუსიკა **21.00** "ფერისცვალება" **21.10** კომედია "პლუტო ნეში" **22.45** მუსიკა **23.15** თრილერი "მსაჯული"

**ОРТ**

**06.00, 10.00, 12.00, 18.00** Новости. **06.10** Мультсериал “Кошки-мышки”. **06.20** Иван Переверзев в фильме **“ЧЕРНЫЙ БИЗНЕС”** **08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря. **09.10** Здоровье. **10.20** "Смак" **10.30** "Любовные истории". Виктор Рыбин - Наталья Сенчукова. **11.10** Спецрасследование. “Фальшивые таблетки”. **12.10** История с географией “Охотник за змеями”. **13.20** “Охотник за змеями”. **14.00** Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда". **14.20** “Пестрая лента”. “Разведчики в кино”. **15.20** “Смешные люди”. Избранное. **17.50** Золотые годы Микки Мауса. Впервые в России. **18.10** Криминальная Россия. “Предъявите валюту”. **2**-я серия. **18.40** ЛАРИСА ДОЛИНА, ИГОРЬ НИКОЛАЕВ В СУББОТНЕМ КОНЦЕРТЕ. **20.00** "Кто хочет стать миллионером?". **21.00** Время. **21.20** "Последний герой". Суперигра. **22.30** "Золотой граммофон". **23.40** Самюэль Л.Джексон в боевике **“ФОРМУЛА 51”** **01.20** Европейский хоккейный тур. Кубок РОСНО. **Сб. России - сб. Швеции.** **03.20** Джон Кэнди в комедии **“КТО ТАКОЙ ГАРРИ КРАМБ?”** **05.00** “Брачные игры животных”. Часть 3-я.

**НТВ**

**05.45** Виктор Авилов в фильме **“УЗНИК ЗАМКА ИФ”**. **1**-2 с. **08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.15** Мультфильм “Боцман и попугай”. **08.25** Сериал **“2,5 ЧЕЛОВЕКА”**. **08.50** “Без рецепта”. Доктор Бранд. **09.25** “Дикий мир” **10.15** Владимир Зельдин в программе “Растительная жизнь”. **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.20** Особо опасен! Дикарь. **14.05** Татьяна Доронина в фильме **“МАЧЕХА”** **16.20** “Женский взгляд”. Максим Дунаевский. **16.55** Своя игра. **17.55** “Школа злословия”. Ток-шоу **19.40** Профессия - репортер. “Лагеря счастья”. Фильм Александра Зиненко. **20.10** Сериал **“ДАЛЬНОБОЙЩИКИ-2: ДЕЗЕРТИР”**. **21.20** Арнольд Шварценеггер в фильме **“ПОСЛЕДНИЙ ГЕРОЙ БОЕВИКА”**. **00.00** Майк Тайсон. Лучшие бои. **Майк Тайсон - Брайан Нильсен.** **00.50** Летиция Каста в фильме **“УЛИЦА НАСЛАЖДЕНИЙ”** **02.45** Футбол в разрезе. **03.20** Сериал **“КЛАН СОПРАНО”**.

## სკანვორდი



# ახალგაზრდები კვირას შარდენზე გეპატიჟებიან

ნინო ცინცაძე

კვირას, თერთმეტ საათზე თბილისში, შარდენის ქუჩაზე საქველმოქმედო აქცია დაიწყება, რომელიც, სავარაუდოდ, ხუთის ნახევრამდე, დაბნელებამდე გასტანს. სიცივის ნუ შეგეშინდებათ; შარდენის ვიწრო ქუჩას ახალგაზრდების ენერგიაც გაათბობს, ცხელი გლინტვეინიც და ცხელი ყავაც. ასე რომ, ვინც შუაგულ თბილისში, ძველ, აღმოსავლურ უბანში ნამდვილი ევროპის ნახვას და თან კეთილი საქმის გაკეთებას მოინდომებს, კვირას შარდენს უნდა ესტუმროს. ამ აქციას ორი მიზანი აქვს: დაეხმაროს გლდანის მე-2 დამხმარე სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს და ასწავლოს საზოგადოებას, რომ განვითარების შეფერხების მქონე მოზარდთათვის ხელის გაწვდენა მხოლოდ სახელმწიფოს, ან რომელიმე კონკრეტული ორგანიზაციის პრეროგატივა არ არის.

ეს აქცია უკვე ტრადიციად იქცა. წელს იგი მეოთხედ გაიმართება. როგორც აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა გია გოთუამ გვითხრა, ოთხი წლის წინ იგი სტუდენტებმა საკუთარი ინიციატივით წამოიწყეს. ამ წლების განმავლობაში ზოგიერთი მათგანი უკვე თავად ასწავლის უმაღლესებში და წლევანდელი აქციის მოწყობაში თავიანთ სტუდენტებს ეხმარებიან.

გლდანის მე-2 სკოლა-ინტერნატში რამდენიმე წლის წინ შემთხვევით რამდენიმე სტუდენტი მოხვდა. მაშინაც და ახლაც ეს სასწავლებელი იმ დაწესებულებათა რიცხვს ეკუთვნოდა და ეკუთვნის, რომელიც საახალწლოდ სამთავრობო ვიზიტთა ობიექტებში არ შედის ხოლმე. შესაბამისად, მისთვის დახმარების გაწევა "მოდაში" არ არის. მაშინ ახალგაზრდები დასხდნენ და დაიწყეს ფიქრი, როგორ შეიძლებოდა ამ ბავშვებს დახმარებოდნენ. საზღვარგარეთიდან ჩამოსულებმა მეგობრებს თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს და გადაწყდა კიდეც საქველმოქმედო ბაზრობის მოწყობა, რომლის მთლიანი შემოსავალიც გლდანის სკოლა-ინტერნატს გადაეცემა.

მე აქციას ყოველ წელს ვესწრები ხოლმე და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ იგი ყოველ წელიწადს სულ უფრო და უფრო დახვეწილი და საინტერესო ხდება. თუ წახვალთ და თან ბავშვებსაც წაიყვანთ, ნამდვილად არ ინანებთ. თქვენ ბევრი საინტერესო ნივთის შეძენას შეძლებთ, თქვენს შვილებს კი საინტერესო და სასაცილო თამაშებით გაართობენ; იქნებიან ჟამბაზები, ქუჩის მუსიკოსები, ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლებიც; აქციის ბოლოს კი კოკა აბზიანიძის პატარა კონცერტიც გაიმართება. მოკლედ, ეს ყველაფერი ჩვენთვისაც და გლდანის ბავშვთა სახლის ბინადრებისთვისაც სასარგებლოც იქნება და სასიამოვნოც.

# უკანასკნელი ცეკვა



იური ლობოდინის ფოტო

*როგორც ცნობილია, თბილისში იხურება ერთადერთი მეგაკლუბი "აჭარა მიუზიქ ჰოლი". ამასთან დაკავშირებით, ვაქვეყნებთ წერილს, რომელიც კლუბის პრომოუტერისგან მივიღეთ.*

როგორც უკვე ყველამ იცის, შაბათს, 18 დეკემბერს, "აჭარა მიუზიქ ჰოლი" იხურება და ამ ტერიტორიაზე არასდროს აღარც გაიხსნება. ორი წლის მცდელობა, რომ სახინკლეების სამეფო ნორმალურ ქვეყნად გადაგვექცია, შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს, წარმატებით დასრულებულად. "აჭარა მიუზიქ ჰოლმა" შეძლო ის, რაც აქამდე წარმოუდგენელი იყო საქართველოში - კლუბური ცხოვრება, კულტურა და კონცეფცია შემოეტანა და დაენერგა თბილისში. რაც მთავარია, ყველას ჰქონდა საშუალება, ორი წლის მანძილზე, ყოველ შაბათს მოსულიყო ჩვენს კლუბში და მოესმინა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული დი-ჯეების მიერ შერჩეული მუსიკა, ეცეკვა მთელი ღამე.

პირადად მე დიდ მადლობას ვუხდი "აჭარა მიუზიქ ჰოლს" და თქვენ, ვინც ამ ხნის მანძილზე ჩვენთან ერთად იყავით. დარწმუნებული ვარ, ეს დრო არასდროს დაგავიწყდებათ.

მომავალში "აჭარა მიუზიქ ჰოლი" შეიძლება ისევ გაიხსნას, ოღონდ ამჯერად უკვე სხვა ადგილას და, რა თქმა უნდა, პირველები თქვენ შეიტყობთ! რაც შეეხება 18 დეკემბერს, კლუბმა ნამდვილად დაიმსახურა, რომ მის დახურვაზე ერთ-ერთმა ყველაზე ვირტუოზმა და გენიალურმა დი-ჯეიმ დაუკრას. ამიტომ შაბათს თბილისში, "აჭარა მიუზიქ ჰოლში" ჩამოვა Nathan Coles ლონდონიდან, მსოფლიოს საუკეთესო კლუბის Fabric (ლონდონი) რეზიდენტი. Nathan Coles techhouse-ის ერთ-ერთ დამფუძნებლად და ელექტრონული მუსიკის სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ სახედ ითვლება. ჩვენც და თქვენც ნამდვილად დავიმსახურეთ საყვარელი კლუბის დახურვაზე ასეთი საჩუქარი. პირადად მე ბედნიერი ვარ, რომ შევძელი მისი დათანხმება.

აუცილებლად მოდით ყველა, როგორმე დავეტევით. ეს ხომ ბოლო ღამეა "აჭარა მიუზიქ ჰოლში"!

მანამდე კი, სანამ "აჭარა მიუზიქ ჰოლი" ხელმეორედ დაიბადება, გპირდებით: მაგარი მუსიკის გარეშე არ დაგტოვებთ. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველას, რომ მხარი აგვიბით, სახინკლეების სამეფოში მოგვეხდინა ელექტრონული რევოლუცია.

# ქართულ-რუსულ-ამერიკული გამოფენა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნანა იაშვილი

2004 წლის 12 დეკემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიხსნა პირველი ქართულ-რუსულ-ამერიკული გამოფენა, რომელიც მიზნად ისახავს ხალხებს შორის კულტურული თანამშრომლობისა და კეთილმეგობრული ურთიერთობების შემდგომ განვითარებასა და გაღრმავებას.



ექსპოზიციას მასპინძლობს თანამედროვე რუსული ხელოვნების მუზეუმი ქალაქ ჯერსი სიტიში. ბატონი ალეხანდრე გლეიზერი, მუზეუმის დამაარსებელი და დირექტორი სიამოვნებით შეხვდა ჩვენს ინიციატივას, მოგვეწყო ერთობლივი გამოფენა, რომელსაც ექნებოდა ერთგვარი პოლიტიკური ჟღერადობა. ხელოვნების ქართველ და რუს მოღვაწეთა შემოქმედებით კავშირებსა და მეგობრობას ხომ მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მომავალ თაობებს უნდა შემოვუნახოთ მეხსიერება ამის შესახებ და ხარისხობრივად უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ ჩვენი ურთიერთობები. მეორე მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატები არის ის ქვეყანა, სადაც ფართო ასპარეზი ეძლევა ყოველგვარ კეთილ წამოწყებას. გამოფენაზე ქართულ მხარეს წარმოადგენდნენ "ჯორჯიან არტ გრუპის" წევრები. ფაქტობრივად, 12 დეკემბერი ჩვენი ჯგუფის ნათლობის დღედ შეიძლება ჩაითვალოს. რუსეთიდან მონაწილეობენ პოპულარული მოსკოველი მხატვრები. აგრეთვე ამერიკელი მხატვრები: ნიკოლაი მელნიკოვი და ისააკ ვიტკინი. დაიბეჭდა კატალოგი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.



ექსპოზიციაზე ფართოდ იყო წარმოდგენილი ქანდაკება. ნიკო აბაზაძისა და ზურა ბუშურიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისეთი ცნობილი მოქანდაკეების გვერდით, როგორიც არიან ნიკოლაი მელნიკოვი და ისააკ ვიტკინი, მათმა ნამუშევრებმა ნამდვილად ღირსეული ადგილი დაიკავეს და დამთვალიერებლის დიდი მოწონება დაიმსახურეს. ჟანრისა და მანერის მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა ფერწერა. დიდი ყურადღება მიიქცია ვანო იმედაშვილის სამმა აბსტრაქტულმა კომპოზიციამ, რომლებიც დაზგური აბსტრაქტული მხატვრობის კლასიკურ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს. ძალიან საინტერესოდ იკითხებოდა თემურ ტაილურიშვილის მონუმენტური აბსტრაქციები, რომლებმაც განსაკუთრებული მაჟორული ჟღერადობა შეიტანეს ექსპოზიციაში. მაღალი დონის აბსტრაქციონისტებით იყო წარმოდგენილი რუსული მხარე: ვიაჩესლავ გოლოვჩენკო, ვიკტორ გრიაზნოვი, იური შეინი - ეს ის მხატვრებია, რომლებსაც ფართოდ იცნობენ ხელოვნების თაყვანისმცემლები. გამოფენის პოეტურ-რომანტიკული ჟღერადობა განაპირობა ისეთი მხატვრების მონაწილეობამ, როგორებიც არიან ცისანა ქავთარაძე, ლეილა მჭედლიშვილი, ლილია პოპოვა აბაზაძე, ალიონა აზიორნაია, ალექსანდრე მახოვი, მარია ვლადიმიროვა და ბორის ივანოვი. ალბათ, ჩემს ნამუშევრებსაც მივაკუთვნებდი მხატვართა ამ ჯგუფს.

გამოფენის გახსნას დაესწრო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქართული წარმომადგენლობა: ბატონი რეზო ადამიასა და კახა ჩიტაიას შემადგენლობით, რომლებმაც ძალიან გულთბილი მხარდაჭერა გამოხატეს ჩვენი აქციისადმი. ჩამობრძანდნენ ქალბატონი ელისო წიკლაური - საზოგადოება "ამირანის" პრეზიდენტი, ბატონი შოთა ვაშაკიძე - საზოგადოება "კვალის" პრეზიდენტი და ელექტრონული გაზეთის "კვალის" გამომცემელი, ბატონი დიმიტრი ტვილდიანი - საზოგადოება "დემოკრატიული საქართველოს ამერიკელი მეგობრების" პრეზიდენტი, ბატონი ნიკოლოზ ჩხეიძე - საზოგადოება "თვისტომის" დამაარსებელი. აგრეთვე რუსული ემიგრაციული ინტელიგენციის წარმომადგენლები: ცნობილი ლიტერატორი და კოლექციონერი, პუშკინის მედალის მფლობელი - ბატონი ფელიქს გონეონსკი, რუსული რადიოს "ნადეჟდას" ერთ-ერთი რედაქტორი ქალბატონი ანეტა მეიმანი, სტუმრები ქართული და რუსული დიასპორიდან, ჩვენი ამერიკელი მეგობრები. საღამოზე გაიმართა იმპროვიზირებული კონცერტი ყველასათვის საყვარელი მომღერლების - თამრიკო დავითაშვილის, ზაირა ჩოხელის, ლეილა მჭედლიშვილისა და ზაზა რევაზიშვილის მონაწილეობით. ვფიქრობ, რომ ჩვენთვის ასეთი ღირსშესანიშნავი და მნიშვნელოვანი დღე ნამდვილად შედგა. დარბაზში სუფევდა ნათელი და გულთბილი განწყობილება და როგორც პავლე მოციქული ბრძანებს: ჩვენთან იყო რწმენა, იმედი და სიყვარული, რასაც, ასევე, ვუსურვებთ ჩვენს ხალხებსა და სრულიად მსოფლიოს.










## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.